

საქართველო

საგონებო
№ 8 1989



ISSN 0130-1624





დედა ტერეზა თბილისში



ხელმოწერითა საუკრძალოდ!

დაწვეულია ხელმოწერა ჟურნალ
„დროშაზე“. საცალო ვაჭრობაში პა-
საჟიდი რატონობა შემცირებულია.
წლიური ხელმოწერა — 4 მან. 20 კაპ.

679
1989



მაგულო, სახპარალო

ქართული
ზინჯირით

დროშა

№ 8 აპრილი. (392), 1989

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან

ქოველთვიური საზოგადოებრივ-
კოლტიკური და სალიტერატურ-
სამხატვრო ჟურნალი

ნოემერი:

- ოთარ ჰინჭლაძე. ოკოზიცია.
- გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი.
- ფელიქს კოქიაშვილი. ორი მოთხრობა.
- კოეტური იადგარი.
- ლიონ იზაილოვი. მასეზის ინციბატივა.
- წერილი მესხეთიდან. მიწის ყივილი.
- ქეთევან მელიქიძე. „სტანდალის სინდრომი“.
- ბორის კანდელაკი. შოთა რუსთაველი — უცნობი პორტრეტი ვარძი-დან.
- ვლადიმერ ტენდრიაკოვი. კომუნიზ-მის სანატარო კუშპულა.
- ერიკ უოტსონი. შანს წასაყვანად მოვიდნენ, შავკანიანო!

საქართველოს კკ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1989 წ.

მთავარი რედაქტორი

ოთარ ჰინჭლაძე

სარედაქციო კოლეგია:

პულნარა ვახტაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ ბერი-
შვილი, ვასილ გვატაძე, ნათელა გიორგოვი-
ანი, ოთარ დემეტრაშვილი, ვახტანგ ეხვანჯია,
ჯემალ მესხიშვილი, დინარა ნოდია (მხატვარ-
რედაქტორი), თენგიზ საგონაძე.

ქართველობა გაგვანარა თავისი სტუმრობით კეთილმა, სათნო ადამიანმა, მსოფლიოში ცნობილმა დედა ტერეზამ.

განათლა და განალისდა თბილისის ქუჩები. მთელი ქალაქი გულლიად შეხვდა მოხუცებსა და დავრდომილებზე, ავადმყოფებსა და მარტოხელებზე მზრუნველ დედას, მშვიდობის ნობელის პრემიის მფლობელს, რომელიც მის მიერ ჩამოყალიბებული ორდენის მონაწევრებთან ერთად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში თესავს სიკეთესა და გულმოწყალებას.

ინდოეთის რომის კათოლიკური ეკლესიის მონაწონი, ღვთისმეტყველების დოქტორი დედა ტერეზა მისი ორდენის ხუთი მონაწონის თანხლებით თბი-ლისის ესტუმრა, 9 აპრილის ტრაგედიის მოწამე საზოგადოებრიობის მოწვევით ჩამოვიდა ეს ღვთისნიერი მორწმუნე დედა.

— ჩვენ ავადმყოფების ჯანმრთელობისათვის ვილოცებთ, — აეროპორტ-შივე განაცხადა მან. ვილოცებთ და ღმერთს ვთხოვთ, მოწყალებ თვალით გად-მონხდოს ისეთ მშვენიერ ქვეყანას, როგორც საქართველოაო.

დედა ტერეზასა და მის მონაწევრებს რეზიდენცია დარეჯანის სასახლის ტერიტორიაზე მიუჩინეს. აქ იგი ესაუბრა ქართველ ჟურნალისტებს, მასობ-რივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებს.

სასურველი სტუმარი ოცდასამ ივნისს სრულიად საქართველოს კათა-ლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მიიღო. ხო-ლო მეორე დღეს პატრიარქმა დედა ტერეზას საქართველოს ეკლესიის უმაღ-ლესი ჯილდო — წმინდა გიორგის ორდენი გადასცა.

დედა ტერეზა ეწვია აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს გივი გუმბარიძეს. პატივი მიაგო უდანაშაულო ადამიანების ხსოვნას იმ ადგილზე, სადაც ისინი დაიღუპნენ. თბილისის სა-ავადმყოფოებში ინახულა აპრილის დღეებში მოწამლული ადამიანები, დალოცა და ანუგეშა ისინი.

მაშინ კი, როცა თბილისიდან მიემგზავრებოდა, დედა ტერეზა ასეთი წე-რილით შეეხმინა ქართველ ხალხს:

„...ძვირფასო ქართველო ხალხო! თქვენ ღმერთს უყვარხართ იმ სიყვა-რულისა და ზრუნვისათვის, რომელიც ჩემს და ჩემი დების მიმართ გამოიჩი-ნეთ. თქვენდამი მადლიერებას გამოვხატავ ლოცვით, რათა თქვენ ერთიანობისა და მშვიდობის სიყვარულის შემწეობით სიწმინდეს ეზიაროთ. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი“.

რა არის ოპოზიცია?
 ვინ არის ოპოზიციონერი?
 ან რას ნიშნავს, საერთოდ, ოპოზიციონერობა?
 ამ სიტყვების ყველას გვეშინოდა.
 და მათ ყველანი გავფურბოდით.
 უბრალოდ, გვერდის ავლას ვამჯობინებდით ხოლმე.
 მეც.
 და ყველას თუ არა, ბევრს მაინც მიგვაჩნდა, რომ არაფერი
 კარგის მომტანი ამ შინაარსის მატარებელი სიტყვები არც კი
 შეიძლება იყოს.

ასე იყო ეს და ამაში არაფერიც არ არის ვასაკვირი.
 აგერ ახლა გადავფურცლე საკ. ს. პ. (ბ) XVIII ყრილობის მა-
 სალები და ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში,
 რომელიც ყრილობას ი. ბ. სტალინმა წარუდგინა, ასეთი სტრი-
 ქონები ამოვიკითხე:

— ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის მოწინააღმდეგენი,
 სხვადასხვა ჯურის „მემარცხენე“ და „მემარჯვენე“ მიმდინარე-
 ობანი, ყოველი ჯურის ტროცკისტ-პიატაკოველი და ბუხარინელ-
 რიკოველი გადაგვარებულნი იძულებული გახდნენ თავის ნაჭუჭ-
 ში შემძვრალოყვნენ. არ გააჩნდათ რა გამბედაობა დამორჩილე-
 ბოდნენ ხალხის ნებას, მათ ამჯობინეს შეერთებოდნენ ჭენშევი-
 კებს, ესერებს, ფაშისტებს, სამსახურში დასდგომოდნენ უცხო-
 ეთის დახვეწას, გამხდარიყვნენ მისი ჯაშუშები და ეკისრათ
 ვალდებულება — დახმარებოდნენ საბჭოთა კავშირის მტრებს,
 რათა მათ დაენაწილებინათ ჩვენი ქვეყანა და აღედგინათ მასში
 კაპიტალისტური მონობა. ასეთია სამარცხვინო ბოლო ჩვენი
 პარტიის ხაზის მოწინააღმდეგეებისა, რომლებიც შემდეგ ხალხის
 მტრები გახდნენ.

ბიჭი ხარ და ნუ შეშინდები ამის წამკითხველი.
 არადა ლაბარაკია ე. წ. „ახალ ოპოზიციაზე“, რომლის შეც-
 დომები ახალი ეკონომიკური პოლიტიკის, სახელმწიფო კაპიტა-
 ლიზმის, ჩვენი სოციალისტური მრეწველობის ბუნების, პრო-
 ლეტარიატის დიქტატურის დროს კოოპერაციის როლის კულა-
 კობასთან ბრძოლის მეთოდების, საშუალო გლეხობის როლისა
 და ხვედრითი წონის საკითხებში, — წარმოსდგება ოპოზიციის
 ძირითადი შეცდომიდან, ჩვენი ქვეყნის ძალებით სოციალისტუ-
 რი საზოგადოების აშენების შესაძლებლობებისადმი რწმენის
 უქონლობიდან.

სწორედ ამას გვასწავლიდნენ ჩვენ, ამას გვინერგავდნენ და
 ჩვენც გვჯეროდა, რადგან წარმოდგენაც კი არ გვქონდა იმდრო-
 ინდელი ოპოზიციის „შეცდომებზე“.

ამიტომ იყო რომ, გვეშინოდა და ამიტომაც გავფურბოდით
 ოპოზიციონერების იარლიყს.

ეს შიში დღემდე არ განელეხულა.
 სსრ კავშირის სახალხო დემუტატთა პირველ ყრილობაზეც
 კი შეცბენ ზოგიერთები იმის გამო, რომ დემუტატების ცალკე-
 ულ ჯგუფებს კინაღამ ოპოზიციონერობა დასწამეს.

თითონ სიტყვა „ოპოზიცია“ გვაშინებს, თორემ წინააღმდე-
 გობა ან დაპირისპირება სულაც არ გვემეტება ჩასაქოლად და
 გასანადგურებლად.

შიშს დიდი თვალები აქვს.
 კი მაგრამ, რატომ მაინცდამაინც ჩვენ გვეშინია ყველასი,
 ყველგან და ყველაფრის?

სხვებს რატომ არ ეშინიათ?

რატომაა რომ, კლასიკური დემოკრატიის ქვეყნებში, ურთი-
 ერთდაპირისპირებული ოპოზიციური ძალები მშვიდობიანად თა-
 ნაარსებობენ მაშინაც კი, როცა გახურებული წინასაარჩევნო
 კომპანიების დროს ერთმანეთს მომაკვდინებელ ბრალდებებს
 უყენებენ.

თუ შეგიძლია, იმართლე თავი და თუ არა, ის მაინც უნდა
 შეიძლო და იცოდე, რომ ცოდვა გამხელილი სჯობია.

უთუოდ მაღალი პოლიტიკური კულტურისა და სრულყოფი-
 ლი დემოკრატიული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი
 სტრუქტურის მაჩვენებელია ეს.

ახლა ჩვენც ცდილობთ დავეფუფლოთ პოლიტიკური კულტუ-
 რას და ვსწავლობთ კიდევ დემოკრატიის პირობებში ცხოვრე-
 ბას, მაგრამ მაინცდამაინც ბეჭითად ვერც ვსწავლობთ მგო-
 ნია მე.

უთუოდ რაღაც სხვა რამ გვიშლის კიდევ ხელს.
 მ. ს. გორბაჩოვი:

— საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ისტორია ტანჯვით, სიძ-
 ნელეებთან და სირთულეებთან ბრძოლით იწყებს ახალ დემოკ-
 რატიულ ეტაპს. წინააღმდეგობებსა და სასტიკ შეტაკებებში იბა-
 დება ახალი საბჭოთა პარლამენტი, ყალიბდება სახელმწიფო მე-
 ქანიზმის ახალი სისტემა, რომელიც პრაქტიკულად ყველა მო-
 ქალაქს აბამს თვითმმართველობის არც თუ ადვილ შრომაში.

წინააღმდეგობა!
 კი მაგრამ, ოპოზიცია ხომ სხვა არაფერია, თუ არა წინააღ-
 მდეგობა, დაპირისპირება.

ოპოზიცია პარტია ან ჯგუფი, რომელსაც ახასიათებს წინა-
 აღმდეგ მოქმედება, პოლიტიკის დაპირისპირება სხვა შეხედუ-
 ლებათა ან პოლიტიკისადმი.

ასე რომ, თუ ჭეშმარიტება მართლაც დაპირისპირებულთა
 შორის ბრძოლის პროცესსა და შედეგად იბადება, რატომ გვე-
 შინოდეს უნდა ჩვენ ამისი, ან რატომ არ უნდა გვიინდოდეს იგი?

ახლა ხომ მაინც მივედით იმ დასკვნამდე, რომ ძველი „ოპო-
 ზიონერებისათვის“ ყურის გდება და მათთვის ანგარიშის გაწევა
 აჯობებდა და პარტიის იმდროინდელი „გენერალური ხაზიც“ უფ-
 რო სწორი აღმოჩნდებოდა.

ქართული „ნაციონალ-უკლონიზმიც“ ხომ ოპოზიციური მიმ-
 დინარეობა იყო, მაგრამ განა მისი პლატფორმის მიღება არ აგ-
 ვაცდენდა საბედისწერო შეცდომებს?

აგვაცდენდა და ის, რაც ახლანდელ ერთაშორის ურთიერთ-
 ბის საკითხებში თავის სატეხად გავვიხნდია, ბევრ რამეში მოწეს-
 რიგებული გვექნებოდა.


მერე, როცა დრო გაივლის, ყოველთვის იოლია ხოლმე წარ-
 სულში დაშვებული შეცდომების აღიარება. ამ საქმეში ჩვენ საკ-
 მაოდ მაღალი კვალიფიკაციაც მივიღეთ და დავოსტატდით კი-
 დეც. მაგრამ, აწმყოსა და მომავალზეც ხომ უნდა იფიქროს კაც-
 მა. ახლა უნდა ვიფიქროთ — დღეს.

მე კარგად მახსოვს, რა აურზაური ატყდა ამ რამდენიმე ხნის
 წინათ პოლონეთში ოპოზიციური პროფკავშირული მოძრაობისა
 და მისი ხელმძღვანელების გამო. იყო რეპრესიებიც, აკრძალ-
 ვაც, მოლაღატეობის იარლიყების მიკერებაც და ბევრი სხვა. ც.
 მაგრამ ვავიდა დრო და მაშინდელი ოპოზიცია კვლავაც ოპოზი-
 ციად დარჩა და განაგრძობდა არსებობას, ცოცხლობდა და ვი-
 თარდებოდა.

და მაშინდელი ოპოზიცია, ახლა გამოგვეცხადა, როგორც
 საყოველთაო-სახალხო პოზიცია.

ოპოზიციური მოძრაობის თავისებურმა აღზევებამ იჩინა თა-
 ვი საბჭოთა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებშიც და, ჩემის აზ-
 რით, არა მარტო საყოველთაო-სახალხო, არამედ, გარკვეული
 თვალსაზრისით, აგრეთვე სამთავრობო ხასიათიც კი მიიღო. მე
 ყურადღებით ვუსმენდი ბალტიისპირეთის რესპუბლიკების პო-
 ლიტკური ხელმძღვანელების გამოცხადებულ სსრ კავშირის სახალ-
 ხო დემუტატთა პირველ ყრილობაზე და გაცხადებული ვიყავი იმ-
 ით, რომ არსებითად მესმოდა ის, რასაც ე. წ. ოპოზიციონერი
 „არაფორმალები“ მოითხოვდნენ, ასაბუთებდნენ და რისკენაც
 მოუწოდებდნენ თავიანთ მრავალრიცხოვან მიტინგებზე. მათი
 აზრით, არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია სა-
 ჭირიერებს ზოგიერთი ფასეულობის გადასინჯვის, ახალ შეხედუ-
 ლებას ისეთი პოლიტიკური კატეგორიების შინაარსზე, როგორიც
 არის სოციალისტური სახელმწიფო, საკუთრება, სუვერენიტეტი,
 კავშირი. მათი აზრით, სსრ კავშირში მეტისმეტი ცენტრალიზმის
 გამო წარმოიშვა უთანხმოება ცენტრსა და რესპუბლიკებს შო-
 რის, დარგობრივ ინტერესებს შორის ეროვნული ურთიერთობის
 დარგში. ხოლო, მათი გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ სუ-
 ვერენული ხალხების უფლებათა რეალისაციის გზით, რაც სა-
 მართლებრივი საზოგადოების შექმნის საფუძველია. ამავე დროს,
 უკვე ხმამაღლა და ოფიციალურადაც ითქვა, რომ მოკავშირე
 რესპუბლიკები უფრო ფართოდ უნდა მონაწილეობდნენ სსრ კავ-
 შირის საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. დაისვა, აგრეთვე,
 ფედერაციის სრულიად ახალი მოდელის შექმნის საკითხი
 და სხვ.

მე თუ მკითხავთ, სწორედ ეს არის ოპოზიციის მთავარი ფუნ-
 კცია, რომელმაც ბოლოს და ბოლოს გამოკვეთილი პოზიციის



19038

სახე და ხასიათი უნდა მიიღოს. მაგრამ, ასეთი პროცესი მხოლოდ მაშინ შეიძლება განვითარდეს და შედეგადად აღმოჩნდეს, თუ ადგილი აქვს სერიოზულ და მოთმინებით დიალოგს. ამავე დროს, დიალოგი, დისკუსია და პოლემიკა ვერ მოითმენენ ვერც შეურაცხყოფილ ტონს და მით უფრო, ვერც აკრძალვის პრაქტიკას. ამიტომაც ვწუხვარ იმის გამო, რომ სწორედ აკრძალვის მეთოდიკა იყო გაბატონებული თითქმის უკლებლივ ყველა თბილისურ მიტინგზე და სწორედ ასეთმა პრაქტიკამ დაასვა ცალმხრივობის დალი ყველაფერს, რაც იქ გამოითქვა.

ახლაც იგივე მაწუხებს. კერძოდ. შევძლებთ თუ არა ასეთი არასასურველი სიტუაციების მომავალში მაინც თავიდან აცილებას? იქნება ვისწავლოთ დიალოგის ორმხრივი პატივისცემა და თავად დიალოგის წესიც. აბა, რას ვარგა იმის საჯაროდ განცხადება, რომ მიტინგზე სიტყვას ვერავის მივცემთ, ვინც იმას არ იტყვის, რაც ჩვენ გვინდაო. კი მაგრამ, როგორ ვეძიოთ ამ შემთხვევაში ჭეშმარიტება და რა გზით მივაგნოთ მას?

მე სულაც არ მიკვირს, რომ რესპუბლიკის ყოფილი პოლიტიკური ხელმძღვანელობა დიალოგს არიდებდა თავს, ხოლო ახალგაზრდულ აუდიტორიასთან ან ახალგაზრდული მოძრაობის წარმომადგენლებთან ეპიზოდურ შეხვედრებზე საერთოდ არ შემდგარა დიალოგი. ეს მე არ მიკვირს, რადგან როცა დიალოგში მონაწილეობ, სათქმელი რამ უნდა გქონდეს, ხოლო როცა რომელიმე მხარეს სათქმელი არაფერი აქვს, მაშინ დიალოგი არ შედეგება. კიდევ იმიტომაც არ მიკვირს, რომ მაშინდელი ხელმძღვანელობა ვერც გარდაქმნის არსს ჩასწვდა და ამიტომ ვერც ის გაითვალისწინა, რომ საზოგადოების დემოკრატიზაცია თავისთავად წარმოაჩენს ოპოზიციურ ძალებს, რასაც ანგარიშის გაწევა სჭირდება.

სხვა საკითხია, თუ რა მიზნებს ისახავს ოპოზიცია. სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ახალგაზრდულ ასოციაციაში ცალკე არსებობს ოპოზიციური საბჭო. ახლა ვნახოთ, რა არის ამ საბჭოში საპირისპირო და ოპოზიციური?

მე, მაგალითად, სავსებით მართებულად მიმაჩნია ახალგაზრდული ასოციაციის ოპოზიციური საბჭოს ხელმძღვანელობის თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ ახალგაზრდული მოძრაობა ეროვნულ ძალთა მაქსიმალისტური, სალი ავანგარდია და, ეროვნულ ნიადაგზე მდგომს, მას თაობათა შორის ურთიერთპატივისცემით, ურთიერთგაგებით დიდი საქმეების კეთება შეუძლია. ისიც სავსებით მართებულად მიმაჩნია, რომ ზნეობრივად სპეტაკი ახალი თაობა, გამოუცდელია მიუხედავად, უაღრესად დემოკრატიულია და კარგად არჩევს კეთილსა და ბოროტს, თავს დასდებს სამართლიანობისათვის, მაგრამ უწინამძღოლოდ მისი პროტესტი ზოგჯერ სტიქიურ ხასიათს ატარებს. მართალი არიან ოპოზიციონერები იმაშიც, რომ პლურალიზმი და დემოკრატია გულისხმობს რამდენიმე განსხვავებული აზრის მშვიდობიან, თანასწორუფლებიან თანაარსებობას. საქმე ის არის, რომ განსხვავებულ აზრებს ატარებენ პიროვნებები, რომლებსაც უფლება აქვთ, გაერთიანდნენ, იმსჯელონ, იკამათონ, დაიკვან საკუთარი აზრი და პიროვნების ხელშეუხებლობა. მაშასადამე, არავის არა აქვს არც მორალური, არც იურიდიული უფლება წაართვას კეთილი ნების ოპოზიციონერებს იმის შესაძლებლობა, რომ თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი და თავადვე განახორციელოს იგი დემოკრატიული ინსტიტუტების მეშვეობით.

ეს არის და ეს. ახლა იმის თაობაზე, თუ რას მოითხოვს ოპოზიცია. უწინარეს ყოვლისა, იგი მოითხოვს, რომ ხელისუფლებამ აღიაროს ეროვნული აღორძინების, საყოველთაო დემოკრატიზაციისა და ეროვნული თვითგამორკვევის ხელშეწყობის აუცილებლობა. შემდეგ აღარ გაღრმავდეს საზოგადოების კონფრონტაცია და ხალხთან ხელისუფლების ორგანოთა გაუცხოებით წარმოშობილი კონფლიქტი. და კიდევ: მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს ხელისუფლება, დადგეს ეროვნულ ნიადაგზე. გაუფრთხილდეს თავის ავტორიტეტს და მაშინ არც მისი სიტყვა და საქმე დაშორდება ერთმანეთს. ამ შემთხვევაში, აღარც ახალგაზრდობის უანგარო ინიციატივა წააწყდება უნდობლობის ყრუ ბარიერებს და აღარც პროგრესული მოძრაობა გადაითელდება ტოტალიტარიზმის სისხლიანი კვირით.

ამას მოვითხოვ მეც, და თუ ვისმეს სურს, ჩამთვალოს მეც ოპოზიციონერად, რომელსაც აქვს მტკიცე პოზიცია.

და არა მარტო მე. სხვებიც. მე იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ არა მარტო მე, სხვებიც მოაწერენ ხელს ეროვნული ხსნის კომიტეტის მიმართვას, სადაც, კერძოდ, ნათქვამია:

— ჩვენი მოძრაობა არასოდეს ყოფილა ესოდენ მძლავრი, მასობრივი და ყოვლისმომცველი, მაგრამ, ამავე დროს, აუცი-

ლებელია შევინარჩუნოთ ეს დონე. ყოველი დღე ჩვენგან მოითხოვს მაღალ შეგნებას და პასუხისმგებლობას, რათა არაფერს ჩვენს ცუდ ახალი სისხლიანი პროვოკაციის მოწყობის საბაზისად არ გამოვიყენოთ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენს მოძრაობას მშვიდობიანი ბრძოლაა. ჩვენ ვგმობთ ძალადობისა და ტერორის ყოველგვარ ფორმას. მეოცე საუკუნის გამოცდილებამ ცხად-პყო, რომ პოლიტიკური ბრძოლის მშვიდობიანი ფორმები გაცილებით დიდ და სტაბილურ შედეგებს იძლევიან, ვიდრე შეიარაღებული გამოსვლები, რომელთაც შეიძლება კატასტროფამდე მიიყვანონ ეროვნული მოძრაობა.

ახლა რა გქნათ? სახელდობრ, რა პოზიცია დავიკავოთ ოპოზიციასთან დამოკიდებულების საკითხში?

მთავარი და არსებითი მაინც ის მგონია რომ, როგორმე დავძლიოთ შიში და უნდობლობა მის მიმართ. ეს კი მაშინ არის შესაძლებელი, როცა ხელისუფლებაც და ოპოზიციაც მყოფი ძალებიც ერთ ჯანსაღსა და პერსპექტიულ ეროვნულ ნიადაგზე დგანან. მაშინ იქნება მათ შორის გამართული დიალოგი ეფექტიური და შედეგადად აზრთა სავსებით დასაშვები და მოსალოდნელი სხვადასხვაობის პირობებში, რომელთა განსჯა-განხილვა თავისთავად გულისხმობს კომპრომისად წოდებულ გონივრულ ურთიერთდათმობებსაც და დროებითი ხასიათის მეტნაკლებად ხანმოკლე თუ ხანგრძლივ უკანდახევასაც.

არის საკითხები, რომელთა განხილვასაც და საზოგადოებრივი აზრის მომწიფებასაც მიტინგი სჭირდება, მაგრამ ისეთი, რომელიც მოსახლეობას არ შეაწუხებს, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობას არ შეაფერხებს და არც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას გამოიწვევს. სხვას რომ თავი დავანებოთ, ესეც კულტურის საქმეა და დაბალი კულტურის მქონე კაცი ვერ აღმოჩნდება მგონია მე მაღალი ეროვნული ინტერესების საიმედო დამცველის როლში. ამავე დროს, არის საკითხები და თავისი მნიშვნელობით არსებითი, რომლებიც ქუჩას უნდა მოვარიდოთ და მათი განხილვის სხვა პოლიტიკური ფორმები ვეძიოთ.

ეს უკვე პოლიტიკური კულტურის საკითხია და მისი დაბალი დონე სსრ კავშირის ზოგიერთმა სახალხო დემუტატმაც გამოავლინა თავის პირველსავე ყრილობაზე. მე არ მგონია, რომ მარტოოდენ სხვა რესპუბლიკებში, ოლქებსა და მხარეებში არჩეული სახალხო დემუტატების თუნდაც სამართლიანმა კრიტიკამ გვარგოს ჩვენ, ან ასეთი კრიტიკა შეგვეკრავს. ის უფრო უპრიანი იქნებოდა, რომ საკუთარ თავს დავაკვირდეთ და მიღებული გაკვეთილებიდან აუცილებელი დასკვნები გავაკეთოთ.

ხოლო, როდესაც ასეთი დასკვნების გამოტანის აუცილებლობაზე ვფიქრობ, მხედველობაში უფრო ის მაქვს, რომ მოსკოვის კრემლის ყრილობათა დარბაზში რაც ხდებოდა და არ მომეწონა, აქ არ გავიმეოროთ, ჩვენთან, რესპუბლიკის პარლამენტში. ეს ენება სინდისის კარნახით გამოსვლასაც, იმასაც რომ, არ მივსდით წინასწარ ცნობილ ოფიციალურ აზრს და იმასაც რომ, არ შევილაზოთ საკუთარი ეროვნული თავმოყვარეობა.

ოპოზიცია ვერ მოითმენს თავის რიგებში სერიის მაყურებელ მასას, რომელმაც კარგად არც კი იცის, თუ რაზეა ლაპარაკი, ვინ და რაში, ან ვის არ ეთანხმება, ხოლო, კერძოდ და განსაკუთრებით, რატომ. უბრალოდ ისე და მარტოოდენ ცნობისმოყვარეობისათვის იქნება არც კი ღირდეს თვითმარქვა ოპოზიციონერობა. ეს სახელს უტეხს ოპოზიციონერს და ლახავს მის ავტორიტეტს. როცა პრეზალრიცხოვანი მიტინგის მონაწილეთა შორის, მე ათი-თორმეტი წლის მოსწავლე ბიჭებსა და გოგონებსაც ვხედავ, ამ მიტინგის უფროსი ასაკის მონაწილეებსა და ხელმძღვანელებზეც მიფუჭდება შთაბეჭდილება.

ბოდიშს კი ვინღი, მაგრამ ნურავინ მიწყენს ამის თქმას.

ნურც იმით გაიმართლებს ვინმე თავს, რომ ყველაფერი ბავშვობიდან იწყებაო.


არ არის ეს ყოველთვის ასე და მით უფრო პოლიტიკაში არ არის ასე.

ჩემის აზრით, ყოველივე ეს მით უფრო გასათვალისწინებელია, როცა ჩვენი ეროვნული მოძრაობა აქამდე ძირითადად ახალგაზრდობისა და ინტელიგენციის მოძრაობა, ახლა საყოველთაო-სახალხო მოძრაობაში გადაიხარდა.

ხოლო, რამდენადაც ეს ასეა, თითოეულს, მათ შორის ოპოზიციონერებსაც გაცილებით მეტი პიროვნული პასუხისმგებლობა გვმართებს და გვეკისრება კიდევ.

თითოეულს და ყველას ერთად, ერისა და ქვეყნის წინაშე. ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოლობადი.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ.



მორგანი

ქრონოლოგიური
განმარტება

გიორგი ივანეს ძე მაწიაშვილი (1870—1937) საბჭოთა სამხედრო მოღვაწე, რუსეთის არმიის ყოფილი გენერალი. მენშევიკური მთავრობის საზღვარგარეთ გაქცევის შემდეგ, 1921 წლის 9 მარტს, თურქეთის ნაწილებმა ბათუმი აიღეს. ბათუმის რევკომმა მიმართა მაწიაშვილს და მის ჯარისკაცებს, გაენთავისუფლებიათ ქალაქი. მაწიაშვილის ლაშქარმა ორი დღის სიხსლისმდგრადი ბრძოლების შემდეგ თურქებს ბათუმი და აჭარის რაიონები დაატოვებინეს. მაწიაშვილმა ბათუმი წითელი არმიის ნაწილებს ჩააბარა. მაწიაშვილი 1921 წ. 6 აპრილს დაინიშნა ქართული წითელი არმიის დივიზიის მეთაურად. იმავე წლის ივლისში ქართული წითელი ინსპექციის ქვეითი ჯარების ინსპექტორად. ერთხანს ცხოვრობდა პარიზში. სიცოცხლის ბოლო წლები სამშობლოში გაატარა. მაწიაშვილი ავტორია მემუარული ხასიათის წიგნისა „მოგონებანი (1917—1925)“.

ქართული საბავოთა ენციკლოპედიადან.

გაიხსენიეთ ვთაპაპოვამ ნაწილებს განარალ გიორგი მაწიაშვილის წიგნიდან „მორგანი (1917-1925)“ (სახელმწიფო გამომცემლობა, ტფილისი; 1927 წ.).

● მე ჩამოვედი ტფილისში 1917 წ. სექტემბრის 20-ს. დასავლეთის ფრონტზე, სადაც მე ვიყავი, გამოვიდა ბრძანება, რომ ვისაც სურს, შეუძლიან დაბრუნდეს სამშობლოში ეროვნულ სამხედრო ნაწილების შედგენის მიზნით. ჩემთან ერთად ჩამოვიდა 60-მდე ქართველი ოფიცერი და ჯარისკაცი. ჩვენ თავს მხნედ და იმედოვნად ვგრძობდით, ეროვნულ სამხედრო ნაწილების შედგენაზე გამყარებით დიდ იმედებს. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ ნაწილების შედგენას უკვე შეუდგენენ ჩვენში და ველოდი, რომ დღე-დღეზე მიმწვევდნენ სამსახურში, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საქმე ისე არ იყო, როგორც მოველოდი.

ტფილისში ამ დროს არსებობდა ჯერ კიდევ ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი, რომელიც შესდგებოდა კომისრებისაგან, ხოლო არმიას სათავეში უდგა კავკასიის ფრონტის მთავარი სარდალი თავისი შტაბით და კავკასიის სამხედრო ოლქი.

არავითარი ეროვნული სამხედრო ნაწილი არ არსებობდა. ორი ქართული ლეგიონი, ერთი ქვეითი, ერთი ცხენოსანი, რომლებიც შესდგა რევოლუციამდე, იმ უამარ იმყოფებოდა ფრონტზე, ხოლო ეროვნულ ქართულ სამხედრო ნაწილების შედგენა დავალებული ჰქონდა ქართულ სამხედრო კავშირს, რომელმაც ჯერ კიდევ ავვისტოში გაგზავნა თავისი წარმომადგენელი პეტროგრადში ქართული კორპუსის შედგენის ნებართვის გამოთხოვისთვის.

ოქტომბერში ფრონტიდან დაბრუნდა დასასვენებლად ორივე ქართული ლეგიონი, ხოლო ქუთაისში შესდგა სათადარიგო

ქართული ათასეული. აი ეს ნაწილები დაედო საძირკვლად ქართულ კორპუსს, რომლის დაარსების ნებართვა მოვიდა ოქტომბრის შუა რიცხვებში.

მაგრამ ქართული ჯარების შესადგენად პირობები ვერ იყო კარგი.

ჯერ ერთი, ტფილისში სდგებოდა იმ დროს 4 კორპუსი: ქართული, სომხური აზერბაიჯანული და რუსული. როგორც კავკასიის არმიისა, ისე კავკასიის ოლქის შტაბები გრძობდნენ, რომ დღე-დღეზე უნდა დაშლილიყო მათი ჯარები და ამიტომ ამ საქმეს ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ.

არსებული სამხედრო ნაწილები ჯერ კიდევ წინად იყვნენ გახრწნილი და, რომ დაინახეს ეროვნული ჯარების მოწყობა, უფრო გაიხრწნენ. ჯარისკაცები სამსახურის მაგივრად დადიოდნენ მიტინგებზე, ქეიფობდნენ და პირად საქმეებს აწყობდნენ, ყაზარმებში დადიოდნენ მხოლოდ დასაძინებლად. ქალაქი გატენილი იყო მოხეტიალე ჯარისკაცებით. დადიოდნენ უფასოდ ტრამვაზე, ამტვრევდნენ და აფუჭებდნენ რონოდებს, მუქარით აიძულებდნენ ვატმანებს მათ ნებაზე ეტარებინათ რონოდები და სხვა.

კავკასიის არმიის უზარმაზარი საწყობები, რომლებიც სავსე იყო მრავალ მილიონიან ქონებით, თითქმის უდარაჯოდ იყო დატოვებული. ცხენები მრავლად ინოცებოდა სიმშლით, რადგან საკვებს, რომელსაც იძლეოდა საინტენდანტო სამართველო, ჯარისკაცები ჰყიდნენ ბაზარზე.

ფრონტიდან დაბრუნებულ დეზერტირებს უფრო მეტი გახრწნა შეჰქონდათ ჯარისკაცებში. ესენი არამც თუ თავიანთ

უფროსებს, ქალაქის მილიციასაც კი არ ემორჩილებოდნენ.

ახლად შემდგარი ეროვნული ნაწილები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მეტს წილს იგდებდა ხელში სახელმწიფოს ქონებიდან. ოფიცერთა შემადგენლობაც ვერ იდგა სასურველ სიმაღლეზე, რომ ჰხედავდნენ, გარშემო ყველაფერი როგორ იშლებოდა და ირღვეოდა, თვითონაც ასცდნენ კეთილ გზას, ხოლო უფრო შეგნებული და გამოცდილი ოფიცრები, ხელისუფლების უძლეურობის გამო, თვითონაც უძლეული იყვნენ და არ იცოდნენ, რანაირად ეშველათ საქმისთვის და მოესპოთ უბედურობა, რომელიც დღითი-დღე იზრდებოდა.

გარდა ზემოაღნიშნულ სამხედრო ნაწილებისა, ქართულ კორპუსს საფუძვლად ედებოდა სხვადასხვა სამხედრო დაწესებულებებში მოსამსახურე ჯარისკაცები და ფრონტიდან დაბრუნებული დეზერტირები, მაგრამ მიუხედავად ყველა ამ ხელუყრელი პირობებისა, შესაძლებელი იყო შემდგარიყო კარგი ქართული კორპუსი, მთავრობა რომ მეტი ყურადღებით მოჰქცეოდა ამ საქმეს.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქართველ ოფიცერთა შემადგენლობა იმოღვანა იყო, რომ ის ეყოფოდა ერთს კი არა, სამს კორპუსს. ყველანი საქმეს ეკიდებოდნენ მხურვალედ და ერთგულად. ფაქტურად ხელისუფლება არ არსებობდა. ოფიცერს საზოგადოდ არაფრისა და არავისი არ ეშინოდა. ჯამაგირი ჰქონდა მეტად მცირე და ისიც არ ეძლეოდა რამდენიმე თვეობით. მატერიალურად არავინ არ იყო კმაყოფილი. მიუხედავად ამისა, ქართველი ოფიცრობა თავს არ ზოგავდა და ყოველი ღონით ხელს უწყობდა ქართული ჯარის შექმნას. ოფიცრები ხშირად ატარებდნენ დღეებსა და ღამეებს ჰუჭყიან ყაზარმებში, თავისი ხელით უვლიდნენ ცხენებს, ჰგვიდნენ და ასუფთავებდნენ საჩინბოებს, ასრულებდნენ ჯარისკაცების მოვალეობას, ეწეოდნენ უნტერ-ოფიცრების მაგიერობას და ერთგულად და პირნათლად ეწეოდნენ საკუთარსა და სხვის უღელს.

იარადი, მოკაზმულობა და მთავარ სურსათის მარაგი საწყობებში იმდენი იყო, რომ შესაძლებელი იყო ქართული ლაშქრის თუნდა 50 ათასი კაცის შეიარაღება, მოკაზმვა და გამოკვება ათი წლის განმავლობაში. საჭირო იყო მხოლოდ ჯარისკაცები, რომელთა შედგენა და გამოწრთვანა შესაძლებელი იყო ორი-სამი თვის განმავლობაში, თუ მთავრობა ამ საქმეს გულთ მოეკიდებოდა და საჭირო დახმარებას გაუწევდა.

მაგრამ საქმეც იმაშია, რომ მენშევიკური მთავრობა, ქართულ არმიის შედგენას გულგრილად უყურებდა და ჯარისკენ

მხოლოდ მაშინ მიიხედავდა, როდესაც გაჭირვება დაადგებოდა, დანარჩენ დროს კი იგი მიგდებულ იყო და მინებებულ იყო თავის ბედსა და ნებაზე.

ვიტყვი მეტსაც: მენშევიკები თავის საკუთარ ჯარს შეჰყურებდნენ უნდობლად და მასში ჰხედავდნენ თავის საფრთხეს მომავალში. როცა ეჩნება, ჯარი ჩვენს წინააღმდეგ წამოვა და დაგვაშობსო. თუ არ ამითი, სხვა რით აიხსნება ერთსა და იმავე დროს სახალხო გვარდიისა და ჯარის არსებობა?

რას წარმოადგენდა სახალხო გვარდია სამხედრო-ტექნიკური თვალსაზრისით?

იგი შესდგებოდა დეზერტირ ჯარისკაცებიდან, რომლებიც მსახურობდნენ დღეს ერთ ლეგიონში, ხვალ მეორეში, ზეგ კიდევ მესამეში; სამ-ოთხ ლეგიონიდან გატაცებული ჰქონდათ სამხედრო ტანისამოსი, ფეხსაცმელი და სხვა მასალა, და თავი რომ გადაერჩინათ სასჯელისაგან, ეწერებოდნენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში (ეს ხომ მეტად ადვილი საქმე იყო!) და შემდეგ გადადიოდნენ სახალხო გვარდიაში.

არც მისი ოფიცერთა შემადგენლობა იდგა სასურველ სიმაღლეზე. ნაწილი მისი შესდგებოდა იმ ოფიცრებისაგან, რომელთაც ადვილი ვერ მონახეს ქართულ ჯარში, რადგან საჭირო ღირებებზე იყვნენ მოკლებულნი, ხოლო ნაწილი — მენშევიკურ პარტიის ზოგიერთ ხელმძღვანელობიდან, რომელთაც სამხედრო ტექნიკის შესახებ არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ.

რისთვის და ვისთვის იყო საჭირო ეს გვარდია, რაკი ის ვერ გამოდგებოდა გარეშე მტერთან ბრძოლაში?

სახალხო გვარდიის გულის მოსაგებად მენშევიკები არაფერს ზოგავდნენ. რაც შესაძლებელი და საუკეთესო იყო, მიჰქონდათ გვარდიაში: საუკეთესო იარაღი, საუკეთესო მოკავშულობა, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ცხენები, სურსათი, საკვები და ბლომად ფული. და ეს იმ დროს ხდებოდა, როდესაც ჯარის ნაწილების უფროსები დარბოდნენ ქალაქის ქუჩებში და სესხულობდნენ ფულს კერძო პირებისაგან ჯარის უუსაჭიროეს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

გვარდია ქერის ორმოში დაცურავდა, ჯარი კი სიმშვილს განიცდიდა.

გვარდია დიდ პატივში იყო, ჯარი კი გვერდზე მიგდებულ იყო.

გვარდია იყო პირმშო შვილი, ჯარი კი — გერი.

და „დედინაცვლის“ უსამართლობა თვითონ ჯარსაც და მოქალაქეებსაც გულს ნაღვლით უვსებდა და უბოროტებდა.

ოფიცრები და ჯარისკაცები ხშირად ხმამაღლა გამოხატავდნენ უკმაყოფილებას და აღშფოთებას, ხოლო მათში ვინც იყო სულმდაბალი და სუსტი, თავს ანებებდა სამსახურს და ეწერებოდა სახალხო გვარდიაში, სადაც ასეთ ხალხს სიხარულით იღებდნენ.

მენშევიკების მიხედვით ფედერალისტებმა და ეროვნულ-დემოკრატიებმა შეადგინეს თავიანთი პარტიული რაზმები. რა მიზანი ჰქონდა ამ რაზმების შედგენას, არ ვიცი. ვიცი მხოლოდ, რომ მათგან ვნება დიდი იყო. ყველა პარტიული ორგანიზაცია სცდილობდა გაეტაცნა, რაც შეიძლება მეტი ჰქონება სახელმწიფოსი, და ის ხალხი, ის ჯარისკაცი, რომელიც უნდა

გამოეყენებინა სახელმწიფოს მთლიან და კარგად მოწყობილ ჯარებისთვის, იქსაცსებოდა და ითქვიფებოდა პარტიულ ორგანიზაციებში და ამ გვარად ხდებოდა არსებითად უპასუხისმგებლო და უსარგებლო.

ვიმეორებ, ასეთ პირობებში ჩაყენებულ ჯარს სხვა ქვეყანაში, სხვა პირობებში არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა. მაგრამ, ქართულ ჯარში მაინც რალაცა კეთდებოდა, თუმცა რიცხვით იგი პატარა იყო. ყოველ შემთხვევაში თავის მოვალეობებს იგი პირნათლად ასრულებდა და არა ჰბაძავდა აღვირწახსნილს სახალხო გვარდიას.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ოფიცრებს თავისთვის და ოჯახის სარჩენად გაჰქონდათ ქუჩაში და ჰყიდნენ ავეჯეულობას, სამსახურს მაინც თავს არ ანებებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ჯარისკაცს და ოფიცერს ადვილად შეეძლო გაეტაცნა და გაეფლანგა სახელმწიფო ქონება, შემდეგ ჩაწერილიყო სახალხო გვარდიაში და ამით სასჯელი თავიდან აეცილებინა, ძალიან ბევრი მაინც ჯარში რჩებოდა და ერთგულად მსახურობდა.

დაახლოებით, სექტემბრის ბოლო რიცხვებში 1917 წელს, რუსის ჯარი, რომელიც იდგა კავკასიის ფრონტზე, იმდენად გაიხრწნა, რომ მთელი გუნდები ჯარისკაცებისა თავის ნებით სტოვებდნენ პოზიციებს და გარბოდნენ შინისაკენ. შემდეგში ეს ჯგუფები გაიზარდა და საქმე იქამდის მივიდა, რომ მთელი დივიზიები იხსნებოდა პოზიციებიდან, მტერს უტოვებდა სურსათსა და საკვების აუარებელ მარაგს, ტყვია-წამლის საწყობებს. ასე გასინჯეთ არტილერიისაც კი, და გამოიბოდა რკინიგზებისკენ სახლში დასაბრუნებლად. თავისთავად იგულისხმება, რომ ქართველები და სომხები, რომლებიც ჯარისკაცებად იყვნენ ამ გამოქცეულ დივიზიებში, თავის მაზრებსა და სოფლებს რომ მიაღწევდნენ, თავს ანებებდნენ სამსახურს და მიდიოდნენ თავიანთ სახლებში.

შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ამიერ-კავკასიასა და კერძოდ საქართველოს ორი მხრიდან მოელოდა საფრთხე. ერთი საფრთხე იყო ოსმალეთი, რომლის ჯარები უკან დახეულ ჩვენ ჯარებს ფეხდაფეხ მოსდევდნენ და ვადმოლახავდნენ ჩვენს საზღვრებს, მაგრამ სანამ ოსმალეთი ჩვენამდე მოაღწევდნენ, შინისკენ მიმავალი რუსეთის ჯარები გვაწვებოდნენ და სულს გვიხუთავდნენ. ამ უკან დახეულ რუს ჯარებს გზა ტფილისზე ჰქონდათ. მოაღწევდნენ ტფილისამდე, გაჩერდებოდნენ ნავთლულში და, როგორც მტერი ალყაშემორტყმულ ქალაქს, გვიდგენდნენ სხვადასხვა მოთხოვნილებებს. თხოვლობდნენ აუარებელ სურსათს, ტანსაცმელს, იარაღს და მოითხოვდნენ ყველა ამის დაუყოვნებლივ შესრულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ქალაქს უქადდნენ განადგურებას და დაქვევას. ერთხელ ისიც კი მოითხოვეს, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობა გადაემდგარიყო და ხელისუფლება ჩაებარებინა საოლქო ყრილობისთვის.

ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად მთავრობამ ჰკუთხა იხმარა და ყარსის რკინის გზის ხაზი უშუალოდ შეუერთა ბაქოს რკინის გზის ხაზს მე-303 ვერსზე. ამგვარად, დაბრუნებული ჯარები ასცდე-

ბოდნენ ხოლმე ტფილისს, მაგრამ საქმეს ეს კიდევ ვერ შეელოდა. მე-303 ვერსიდანაც მოდიოდა იგივე მოთხოვნები და მუქარები.

ამგვარად, ტფილისსა და მთელ საქართველოსაც მუდამ დღე საფრთხე მოელოდა. და აი, ასეთ პირობებში სდგებოდა ქართული კორპუსი. ამას ზედ უნდა დაუმატოთ მენშევიკების სურვილი და ცდა სახალხო მილიციის შექმნისა, რაც ძალიან კარგი საქმე იყო მაგრამ, მოგხსენებათ, ყოველი მოწინავე აზრი და იდეა კარგია, თუ იგი დროსა და გარემოებას შეეფერება. ხოლო იმ მომენტში, როდესაც ომი ჯერ არ იყო გათავებული, სახელმწიფოში არეუ-დარევა სუფევდა, როდესაც ჯარებში დისციპლინა დაეცა, იგი მთლად დაირღვა და დაიშალა, ამ დროს გადასვლა მილიციურ სისტემაზე, — ხალხის შეიარაღების გამოურყვეველ სისტემაზე, ნიშნავდა სახელმწიფოებრივ ცხოვრების დარღვევასა და დაშლას, რაც კიდევაც მოხდა.

ყველა შემოსხენებულიდან შეიძლება ადვილად წარმოვიდგინოთ, რამდენი ცდა, რამდენი ენერგია დასჭირდა და რამდენი უსიამოვნება და ვაი-ვაგლახი დაატყდა თავზე იმ პირთ, რომელნიც ამ საქმეს სათავეში ედგა. ძლივ-ძლივობით შეადგინეს მინაგვარი ათასეულებისა, ბრიგადებისა და დივიზიებისა, მაგრამ საბრალონი არც აქ მოასვენეს, აქაც შეუშალეს საქმეს ხელი: საქართველოს ჯარს სათავეში დაუყენეს პოლკოვნიკი სტეფანე ახმეტელი.

მაშინ საქართველოში თავმოყრილი იყო რუსეთის ფრონტებიდან ჩამოსულნი, სამხედრო სამსახურში დიდად გამოცდილი მხედართმთავარნი, რომელთაც ბრწყინვალე წარსული ჰქონდათ. მათ მიაღწიეს სამსახურის უმაღლეს საფეხურებს მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი ცოდნით, გამოცდილებითა და შრომით. ესენი იყვნენ გენერლები: ოდიშელიძე, გაბაშვილი, ანდრონიკაშვილი, იმნაძე, გედევანიშვილი და მრავალი სხვა. ამათ ბევრით ჩამორჩებოდა უკან ახლად დანიშნული კორპუსის უფროსი პოლკოვნიკი ახმეტელი, მაგრამ მენშევიკებმა დანიშნეს ახმეტელი და არა ვინმე უკეთესი, მხოლოდ იმიტომ, რომ ახმეტელი ეკუთვნოდა მენშევიკების პარტიას.

იმავე დროს საქართველოს ეროვნულ საბჭოსთან, რომელიც იყო არჩეული 22 ნოემბერს, შესდგა სამხედრო სექცია, რომელშიაც თუმცა შედიოდნენ ქართული სამხედრო კავშირის წარმომადგენლები, როგორც სამხედრო საქმის მცოდნენი, მაგრამ როგორც ეროვნულ საბჭოში, ესევე სამხედრო სექციაში ბატონობდნენ მხოლოდ და მხოლოდ მენშევიკები.

დანიშნით ზომ დანიშნეს პარტიული მოსაზრებით ქართული ჯარის მეთაური, მაგრამ სამხედრო სექციამ მაინც არ მისცა მას უფლება მოეწვია თანაშემწეებათ ვინც მას უნდოდა. სექცია ჩაერია საქმეში და ისევე პარტიული მოსაზრებით კორპუსს შტაბის უფროსად დაუნიშნა კაპიტანი სოსო გედევანიშვილი. უნდა მოგახსენოთ, რომ სოსო გედევანიშვილი პირადად მე დიდს პატივსა ვცემ და ღირსეულად ვაფასებ. მან მიიღო უმადლესი სამხედრო განათლება, ფედერალისტების პარტიაში თვალსაჩინო ადგილი ეკირა და დიდი სახელი ჰქონდა დამსახურებული ქართულ ინტელიგენციაში და სამხედრო



წრებშია. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ სოსო გედევანიშვილი პოლიტიკურ მიზეზების გამო 12 წელიწადი სამხედრო საქმეს დაშორებული იყო, ჩვენ ვშიშობდით, რომ ის ვერ გაუძღვებოდა ისეთ რთულ საქმეს, როგორც იყო ცალკე კორპუსის შტაბის უფროსის თანამდებობა.

პარტიული მოსაზრებითვე მე-2 დივიზიის უფროსად დაინიშნა პოლკოვნიკი ვასილ კარგარეთელი, რომელიც წევრად ითვლებოდა სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიაში.

უცნაური მოვლენა ხდებოდა მაშინ ტფილისში. აქ არსებობდა კავკასიის არმიის შტაბი, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბი და ამასთან ერთად არსებობდა ეროვნული ჯარებიც, რომლებიც ექვემდებარებოდნენ არა კავკასიის არმიის მთავარსარდალს, არამედ უშუალოდ სამხედრო კომისარს.

მე-2 ქართულ დივიზიის უფროსი პოლკოვნიკი კარგარეთელი ირიცხებოდა იმ ხანებში კავკასიის ოლქის შტაბში და ამიტომ დივიზიას ფაქტიურად ვერ აღგენდა. ამ დროს მეც დამნიშნეს მე-2 დივიზიის ბრიგადის უფროსად. მე აღარ მოვუცადე კარგარეთელის მოსვლას და შევუდექი ბრიგადის შედგენას. იმ დროს ტფილისში იდგნენ ფრონტიდან დაბრუნებული 1-ლი ქართული ქვეითი და ქართული ცხენოსანი ლეგიონები, ისე, რომ ერთი შეხედვით, თითქოს იყო კადრი ახალ დივიზიისათვის, მაგრამ საქმე სხვას ამბობდა. ქართულ ქვეით ლეგიონში ითვლებოდა 1.500-მდე ჯარისკაცი. მაგრამ არც ერთი მათგანი სამსახურს არ ასრულებდა. თავს იყრიდნენ ყაზარმებში მხოლოდ სადილად და ვახშმად.

საჭირო შეიქმნა, რაც შეიძლება მოკლე ხანში, ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცების სამსახურიდან განთავისუფლება და ახალ ჯარისკაცების მოკრება. ეს საქმე არც ისე ადვილი იყო: სამხედრო ბეგარის აპარატები დაშლილი იყო. ბრძანებებს და მოთხოვნებებს არავინ ასრულებდა, ან ასრულებდა უგუნოდ და უხერხულად.

დრო კი მეტისმეტად არეულ-დარეული და სახიფათო იყო. ანარქია არ შესწყდა. ფრონტიდან შეუწყვეტლად მიმავალი ეშელონები კვლავ უქადდნენ ტფილისს აღებას და განადგურებას.

საჭირო გახდა უსათუოდ შეგვედგინა ისეთი სამხედრო ნაწილი, რომლის გარშემო უფრო ადვილად შეიძლებოდა სხვა ნაწილების მოწყობა.

მე მივიღე თანხმობა ლეგიონების ზოგიერთ უფროსებისგან, შემდეგ მივმართე ზოგიერთ საზოგადო მოღვაწეთ, რომ ავითაცის საშუალებით მოგვეწყვია ჯარის რიგებში მოსწავლე ახალგაზრდობა. ჩემი წინადადება მიღებულ იქნა. ამათი და ზოგიერთი ოფიცრების დახმარებით თავი მოვუყარე დივიზიის შტაბში ამ ახალგაზრდობას, 16 წლიდან 20 წლამდე. და სწორედ ამ ახალგაზრდობამ ჩაუყარა საძირკველი ქართულ ახალგაზრდა დივიზიას.

უნდა დაგენახათ, რა თავდადებით ეწეოდა ეს ახალგაზრდობა სამხედრო სამსახურის ჭაბანს და რა სიამოვნებით ემორჩილებოდა სამხედრო დისციპლინას!

მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. ქალაქის დასაცავად და სამხედრო ქონების უზარმაზარ საწყობების სადარაჯოდ საჭირო

გახდა დიდი ძალები, ეს ძალები ჩვენ არა გვყავდა. დაიწყო ძარცვა-გლეჯა უღარაჯოდ მიტოვებულ საწყობებისა და ციხე-ვაუზებისა. მთავრობა მოითხოვდა ენერგიულ ზომების მიღებას, მაგრამ იმდენად პატარა იყო ჯარისკაცთა რიცხვი, რომ არ შეგვეძლო საწყობებისთვის თითო კაცი მაინც მიგვედარაჯებინა. ხშირი იყო ამისთანა შემთხვევებიც, რომ სადარაჯოდ მიყენებული ჯარისკაცები ჩაბარებულ ქონებას თვითონვე იტაცებდნენ და გარბოდნენ თავიანთ სოფლებში.

ახალ ჯარების მოგროვება კი ვერ ხერხდებოდა ზემოთ აღნიშნულ დაბრკოლების გამო. მეტი ჯანი არ იყო, მივმართეთ ისევ საზოგადო მოღვაწეებს: ჩემი თხოვნით გაიგზავნა ხევსურეთში ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიიდან შალვა ქარუმიძე და ქაქუცა ჩოლოყაშვილი. მათ დიდი გავლენა ჰქონდათ ხევსურეთში. მოკლე ხანში ჩამოიყვანეს ტფილისში ოთხასამდე ხევსური. ისინი მაშინვე დაგაბინავეთ სამხედრო სკოლის შენობაში. დავანაწილეთ გუნდებათ, დაუნიშნეთ საკმაო რიცხვი ოფიცრებისა, შევმოსეთ, შევაიარაღეთ და რამდენიმე დღის შემდეგ უკვე შეძლება მოგვეცა, გამოგვეყენებინა სამხედრო ქონების საწყობების სადარაჯოდ.

თითქმის ამავე დროს სტუდენტებისაგან შესდგა ცალკე ათასეული ბრძოლებში გამოცდილი კაპიტან ჯაფარიძის მეტაურობით. მე აზრად მქონდა, რომ ეს ათასეული შემდეგში ჩემ მიერ შემდგარ დივიზიას გამოადგებოდა, როგორც კარგად მომზადებული უნტერ-ოფიცრები.

ხევსურების ტფილისში ჩამოსვლისთანავე 303-ე ვერსზე თავი მოიყარა ფრონტიდან წამოსულმა 16 ეშელონმა ზარბაზნებითა და ტყვიისმფრქვევლებით. აი სწორედ ამ ეშელონებმა წამოუყენეს მთავრობას მოთხოვნა ვადლეგომა, რომელთა შორის მთავრობის ვადლეგომასაც მოითხოვდნენ.

მთავრობას საფრთხე მოელოდა. ეშელონებს შეეძლოთ ყოველ წუთს გამოელაშქრათ ტფილისზე და რა შედეგები მოჰყვებოდა ამას, ადვილი წარმოსადგენია. საჭირო იყო რამენაირად თავიდან აგვეცილებინა ეს უბედურება.

მე მიმიწვიეს სასახლეში მთავრობის თავმჯდომარე გეგეჭკორთან, რომელმაც მომცა კითხვა: შემიძლიან თუ არა იმ ძალებით, რომლებიც ხელთ მყავდა, დამეცვა ქალაქი, თუ ვინიცობაა ეშელონები მოისურვებდნენ თავიანთ მუქარების შესრულებას? მე მოვახსენე, თუ რამდენად ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა დივიზიის შედგენის საქმე.

საქმის დაყოვნება არ შეიძლებოდა. მე როგორც ძველ მხედარს, რომელმაც სამხედრო სამსახურში გავატარე 30 წელიწადი და ევროპის უდიდეს ომის დროს ერთი წუთითაც კი არ ვუღალატე ჩემს მოვალეობას, ჯარისა და ხალხის ფსიქოლოგია უკვე კარგად მქონდა შესწავლილი. ვიცოდი, რომ ზემოხსენებული ეშელონები მიეჩქარებოდნენ სახლებში, რომ ყოველ ჯარისკაცს თან მიჰქონდა პატარა სკივრი, ფრონტზე ნაშოვნი ბარგი-ბარხანით სავსე და ცხადია, გზაში ასე თუ ისე დიდი ხნით შეჩერება მისთვის სასურველი არ იყო, რომ მეორე მხრივ ადვილი იყო მათი შეცდენა პროპაგანდისა და ნადავლის დაპირებით, საჭირო იყო საჩქარო ზომების მიღება.

დაუყოვნებლივ მივედი კორპუსის შტაბში, მოვახსენე კორპუსისა და შტაბის უფროსებს ჩემი საუბარი მთავრობის თავმჯდომარესთან. გაიმართა მთავრობის რომელზედაც მიღებულ იქნა ჩემი წინადადება: 1) ეთხოვოს მთავრობის თავმჯდომარეს, რათა გაიგზავნოს ეშელონებთან მოსალაპარაკებლად რამდენიმე ორატორი-დელეგატი, რომლებმაც გაფრთხილება უნდა მისცენ, რომ თუ ეშელონები დააპირებენ ვადლეგომას ტფილისიდან, მათ აუტყვენ ზარბაზნებიდან სროლას და არაფრის გზით არ მისცემენ ვადლეგომის საშუალებას, და 2) გაიგზავნოს თითო ბატარეა მახათის მთაზე და სოლანლულის ქედზე, საიდანაც, როგორც ხელის გულზე, მოსჩანან ეშელონები, და თუ ეშელონებმა დააპირეს ტფილისისაკენ წამოსვლა, დაუშინონ ზარბაზნები.

დელეგატები გაიგზავნა, ბატარეები კი ჯერ არსად სჩანდა. უკან რომ დავბრუნდი, ვერის დაღმართზე შევხვდი პოზიციებზე გამგზავრებულ არტილერიას.

ენით აუწერელია, რა მდგომარეობაში იყო ეს არტილერია. ზარბაზნების და ყუმბარების ყუთებს არა უშავდა რა, ცხენების მოკაზმულობაც კარგი იყო, მაგრამ ცხენები მეტად საცოდავები იყვნენ; ხოლო უმთავრესი ის იყო, რომ ჯარისკაცები არსად სჩანდნენ. ცხენებზე და ზარბაზნებზე ისხდნენ ოფიცრები და რამდენიმე სტუდენტი. არ იყო არც საჭირო სადარაჯო რაში ქვეითი ჯარისა.

ჩემს შეკითხვაზე: სად არიან ჯარისკაცები? ბატარეის უფროსმა მიპასუხა: ჯარისკაცები, როგორც არტილერიისა, ისე ქვეითისა დილა-ადრიან ზოგი მიტინგზე, ზოგიც თავიანთ საქმეებზე აქეთ-იქით დაქსაქსნენ, და სხვა გზა არ არის, მათ მაგივრობას ოფიცრები ეწვევიანო.

ბატარეას ვუბრძანე წასულიყო დანიშნულ ადგილზე და დავბრდი, რომ მალე მივაშველებდი სადარაჯო რაზმს. აქედან გავეშურე სამხედრო სასწავლებლისაკენ, სადაც ხევსურების გუნდებიდან და კაპიტან ჯაფარიძის ცალკე ათასეულიდან მოვუყარე თავი თავისუფალ ჯარისკაცებს და გავგზავნე არტილერიის დასაცავად, ხოლო მე წავედი მთავრობის თავმჯდომარესთან, მოვახსენე საქმის ვითარება და ამის შემდეგ გავეშურე არტილერიისაკენ, რომელიც იდგა მახათის მთაზე.

საჭირო ზომების მიღებისა და დელეგაციის მიერ ულტიმატუმის თავის დროზე წარდგენის გამო, ეშელონები დაკმაყოფილდნენ იმით, რომ მიიღეს საკმაო სურსათი, ტანსაცმელი, ცხენების საკვები, და გასწვიეს ბაქოსაკენ. მაგრამ მთავრობა მაინც შიშობდა, ვაი თუ ეშელონები ფოილოს ხილთან გადმოსხდნენ და ტფილისისაკენ წამოვიდნენო.

ნ. რამიშვილმა მოახდინა საჩქარო კრება, რომელმაც გადასწყვიტა, გამოეწვიათ კახეთიდან აბხაზებს ჯავშნიანი ბატარებელი, რომელიც თვალყურს ადევნებდა კახეთში მდგომ ერთ-ერთ რუსულ სამხედრო ნაწილს. აბხაზებს დაევალო წასულიყო ბაქოსკენ, გასძლიოდა წინ მიმავალ 16 ეშელონს და არ მიეცა მათთვის ნება მატარებლიდან გადმოსხმისა. როგორც ვიცი, ეს ეშელონები განადგურებული იყვნენ სადგურ შაქორთან, სადაც დაიღუპა თვით აბხაზავც და ორი მისი უახლოესი თანაშემწეც: მაკარაშვილი და მაყაშვილი.

ამგვარად გადარჩა ტფილისი.



საქართველოსათვის

ფელიქს კოტიაშვილი



აჯარო ბიბლიოთეკიდან სამნი გამოვდივართ: მე, მამია და მიშა. სამივე ერთ ინსტიტუტში ვმუშაობთ, თითქმის ყოველდღე ბიბლიოთეკაში ვართ. ყოველთვის ერთად, გვერდიგვერდ მაგიდებთან ვსხდებით. ერთად გავდივართ სივრცის მოსაწვეად, დასანაყრებლად. წამოსვლითაც ხშირად ერთად მოვდივართ. ტკბილი საუბრით მივალთ ავტობუსის გაჩერებამდე. „აბა, ხვალამდე“, — ხელის ჩამორთმევით დავემშვიდობებით ერთმანეთს, ჩავჯდებით ჩვენ-ჩვენს ავტობუსში და „სახლისაკენ ჰერი-ჰერი“.

— რა სიცივეებია, კაცო! — პალტოს საყელს იწევს მიშა. — თუ ასე გაგრძელდა, მალე მოთოვს კიდევ!

— მოთოვს, რა გენაღვლებს; — ვამბობ მე, — სულის კაწკაწით ელოდება ჩემი ბიჭი.

— ჩემიც თოვლის გიყია. სახლში ვედარ შემოგვყავს, რო მოთოვს, მერე!

— გაუშვი, გაიხაროს, მეტი რა შერჩება. რა ხნისაა შენი ბიჭი?

— ათის. შენი?

— ბიჭოს, ერთი ასაკის შვილები გვყავს. ერთი შვილი გყავს, ხომ?

— არა, ორი. შენ?

— ერთი, ბიჭი! იმას ვამბობდი, დიდი ეშმაკის ფეხია, შარშან ზამთარში, თუ გახსოვს, მოთოვა. ჰოდა, ვზივარ, შენ ხარ

ჩემი ბატონი, ვმუშაობ. წიგნი უნდა ჩამეზარებინა გამომცემლობისთვის, ოცთაბახიანი. ჩავაბარე, უნდა გამოსულიყო უკვე, მაგრამ დაავიანა. მპირდებიან, მალე გამოვა აუცილებლად და ყოველმიზეზგარეშეო. გამოვა, აბა რას იზამს, რა თქმა უნდა, სჯობდა დროზე გამოსულიყო. არადა, თავი მოვიკალი. კინალამ შემჭამეს, არიქა, დროზე მოიტანეო, წიგნი არ ჩავადლო. იმათაც სჭირდებოდათ, თორემ რას შეგჭამდნენ. არიქა, ესაო, არიქა, ისაო. მეც ამ არიქა-არიქაში კინალამ ჩემი დამემართა. რავარი ამბავია წიგნის ჩაგდება, ოცთაბახიანის! მაგრამ რად გინდა, ჩააბარებ პატიოსნად და რის არიქა, რა არიქა. კაცმა არ იცის, როდის გამოსცემენ ამ შენს სისხლითა და ოფლით, სიმწრით დაწერილ წიგნს, ოცთაბახიანს! დაიწყებენ ისევ, ესაო, ისაო. მაგრამ ასეა თუ ისეა, მთავარია, რომ გამოვა! მართალია, სჯობდა დროზე გამოსულიყო, ხომ იცი, შვილივით გიხარია ყოველი წიგნის გამოსვლა. მაგრამ პირველი წიგნის გამოსვლა რომ გამახსენდება...

— გუტენბერგის პირველი წიგნის?

— არა, კაცო, გუტენბერგი ვინ ოხერია, ჩემი პირველი წიგნისა!.. კაი დრო იყო, კაი! ახალგაზრდა ვიყავი, პირველი წიგნი გამოდიოდა... ჩემი პირველი წიგნი. არა, ძმაო, პირველი წიგნი მაინც სულ

სხვაა, მართლა პირველი შვილივითაა! მე-თორმეტე ცაზე ვიყავი, დაფორინებული ვიყავი, რა რას დაფორინავდი, ღრუბლებს ვიყავი არ ვაკარბდები. ქვეყანა ჩემი შეგონა, ვილას არ მივართვი, ვილას არ ვაჩუქე. ახალგაზრდა ვიყავი, შტერი, პატარა იყო, რაღაც ხუთთაბახიანი, მაინცდამაინც არც კი ქალაღზე იყო დაბეჭდილი, და ყდაც არ უფარგოდა. ამას ვინ უყურებდა მაშინ, ახალგაზრდა ვიყავი, შტერი, მაინც წიგნი იყო! უკვე ავტორი ხარ! მეცნიერი! ის აღარა ხარ, რაც იყავი! სხვა თვალთ უყურებ ცხოვრებას, აღამიანებს და სხვა თვალთ გიყურებენ შენც! სულ სხვანაირად უყურებ სამყაროს, ნაცნობებს. საკუთარ თავში ახალ რაღაცეებს აღმოაჩენ, ახალ შტრიხებს. გინდა, მთელ ქვეყანას ხელი მოხვიო და ჯიბეში ჩაი... გულში ჩაიხუტო, ისე გიყვარს ყველა! მახსოვს, ნახევარი ჰონორარი, ჯერ რა ავიღე, იმის დასველებას გადავავლო, ყველა ვაქეიფე. ახალგაზრდა ვიყავი, შტერი, კოსტუმი არ მეცვა წესიერი და შარვალი, არც ფეხსაცმელი. რა გესველება, წადი, კოსტუმი ჩაიცვი წესიერი, შარვალი, ფეხსაცმელი. მართალია, მეორე ნახევრით ჩავიცვი, მაგრამ მაინც... მაინც რამხელა სიხარული იყო! მახსოვს, ჩემი მეხუთე წიგნი რომ გამოვიდა, ისე ძალიან არ გამხარებია. თუმცა, კაი კი არა, შესანიშნავ ქალაღზე იყო დაბეჭდილი და ყდაც გადასარევი ჰქონდა!.. მოიცა, რაზე მოყვევი ახლა ეს ამბავი?

— ბიჭი მყავსო... ვიჭეკიო... ზამთარშიო...

— ზამთარში?.. ვიჭეკი?.. სად ვიჭეკი, კაცო, რას ამბობ!.. თუმცა, ხო, გამახსენდა. ზამთარში, თოვლი რომ იყო, იმ ზამთარში ვზივარ ჩემთვის, ვმუშაობ, წიგნი უნდა ჩამეზარებინა გამომცემლობისთვის, ოცთაბახიანი. თუმცა, ეს ამბავი ხომ მოყვევი... ესე იგი, ვზივარ ჩემთვის, ვმუშაობ, მაშასადამე, ოცთაბახიან მონოგრაფიაზე და... ხო, კი, გამახსენდა! მომეპარა ეს ჩემი ათი წლის ბიჭი და კაი ნახევარი კილო თოვლი მაინც ჩამაყარა ბეჭებში.


— მეც მახსოვს, ჩემი პირველი წიგნი რომ გამოვიდა, — რაღაცის გახსენებას აპირებდა მიშაც, მაგრამ...

— მივალ ახლა ოთახში, გათბობა კი ჩართული არ არის, — ჩაილაპარაკა უცებ მამიამ და ნაწყენი მიშა აღარ მოყვა იმ რაღაც ამბავს. თუმცა, წყენამ მალე გაუარა და ხითხითს მოჰყვა:

— ცოლი გინდა, მამია, ცოლი! გათბობაც გექნება და...

მამია არაფერს ამბობს, ხელი ჩაიჭნია მხოლოდ.

ხუმრობა იქით იყოს და მართლა გასაკვირია და სინტერესო, რატომ არ მოყავს მამიას ცოლი? კაი ორმოცდათხუთმეტი წლისა მაინც უნდა იყოს. ახლა უნდა ამას ქალის ხელი. რა უშლის ხელს? ოთახი აქვს და ხარისხი! თანაც, მგონი გულიც აწუხებს! ვინმე მიმხედავი თუ ჰყავს



მაინც, კიდევ არაუშავს, მაგრამ ჰყავს კი? საკითხავი აი ეს არის! სულდიდ ქმნილებას რა შეჰფერის? ის რომ იტანჯოს და აიტანოს მჩაგრავ ბედის ნეშტითა გმირვა, თუ შეებრძოლოს მოზღვავებულ უბედურებას და ამით მოსპოს იგი? მოსპოს სიცოცხლე... რაც კაია, კაია! რას ვამბობდი?.. /ხო, კი, ნამდვილად ცხონებაა ახლა მამიასთვის ერთი კარგი დიასახლისი. ხმის გამცემი მაინც ეყოლება. არ ეზარება, ასე მინდვრის თავივით მარტო ყოფნა? რა აძლებინებს? ეჰ, კაცისას რას გაიგებ, კაცია და გუნება!

ამასობაში გაჩერებასთანაც მივედი. ჯერ მიშას ავტობუსი მოვიდა. — აბა, ხვალამდე! — ჩამოგვართვა მიშამ ხელი და წავიდა.

მერე მამიასი გამოჩნდა. — აბა, ხვალამდე, — ხელი გავუწოდე. — ჯერ შენ გაგიშვებ, მე მერე წავალ, — თქვა მოულოდნელად მამიამ.

— რას ამბობ, კაცო, ამის გაშვება იქნება?! რა იცი, როდის მოვა მეორე!

— რა უჭირს, მაინც არსად მეჩქარება... შეიძლება, ისევ ბიბლიოთეკაში დავბრუნდე.

— რაღა დროს ბიბლიოთეკა, — საათზე დავიხედე, — ორ საათში დაიკეტება.

— მერე, ორი საათი ცოტა გგონია შენ?! მოგრიალდა ამ დროს ჩემი ავტობუსი.

— კარგი, მამია, შენი საქმისა შენ იცი. აბა, ხვალამდე, — ავტობუსში და დავიძრა კიდევ. კარგად მოვასწარი.

ფანჯრიდან დავინახე, მამია მობუზული მიდიოდა ბიბლიოთეკისკენ...

შ ე რ ვ ე ვ ა

შეიძლება არ უნდა ვამბობდე. არ არის, ალბათ, ლამაზი ასეთი ლაპარაკი, მაგრამ თვითონვე იცი, ჩემო თინა, როგორი ქმარიც მყავდა, როგორი ნერვიული და... ფსიხს რომ იტყვიან, ისეთი. მეზობლები ხომ მაინც ხედავდით, რა დღეში მაგდებდა. როგორი გასაძლებია ყოველდღე ჩხუბი, ყვირილი, ლანძღვა-გინება, ჭურჭლის მტვრევა. აბა, რასა ვჩივი, გენაცვალე, უმიზეზოდ რომ ჩხუბობდა და ყვიროდა, უბედურებაც ეს იყო. ჯერ მიზეზიანი რა არის და სრულიად უმიზეზოდ, ტყუილ-უბრალოდ რომ გლანძღავენ და გათრევენ, როგორი ასატანია.

სულ შარზე იყო, სულ საჩხუბარსა და სანერვიულოს ეძებდა. ახლა რომ ვაკვირდები, ამის გარეშე არ შეეძლო, ეტყობა, ბუნება ჰქონდა ასეთი... როგორც ზოგიერთს არ შეუძლია ჰამა-სმისა და ჰაერის გარეშე არსებობა... ჰო, მართალი ხარ, ამას რას ვამბობ, როგორც ადამიანს არ შეუძლია ჰამა-სმისა და ჰაერის გარეშე არსებობა, ისე იმას არ შეეძლო ცხოვრება ჩხუბისა და აყალ-მაყალის გარეშე! მისი ხასიათი რომ ვიცოდი, რამის საბაბს რო-

გორ მიეცემდი, მაგრამ თვითონვე გამოიგონებდა ხოლმე. სახლში სულ კუთხე-კუნჭულ დაძვრებოდა, ეგება სადმე მტერის ნასახი მაინც ვნახო.

კაცმა არ მოინდომოს, თორემ ჩხუბისა და ლანძღვის საბაბს ყოველთვის მონახავს, გენაცვალე. ამას რა უნდა! ჩაიში სამ ნატებს შაქარს რომ ჩაუფლებდი, ერთ ვაი-უშველებელს ამიტეხავდა, ასე ძალიან რატომ დაატებე, ხომ იცი, ტკბილი არ მიყვარსო... ორ ცალს ჩაუფლებდი, და ახლა ამაზე გადაიროდა, რატომ სამი არ ჩაყარე, ჩემთვის შაქარიც გენანებაო. რას ამბობ, მე რომ არ ჩამეგდო, ხომ ფანჯრიდან გადამაგდებდა, როგორ თუ ჭიქაში შაქრის ჩაყრა გეზარებაო. კი, მართლა ამას ჰქვია, ჩააგდებ, ინანებ, არ ჩააგდებ, მაინც ინანებო. რომელი ერთი გითხრა ამისთანა... ფეხსაცმელებს რატომ არ მიწმენდო, გავუწმენდი და ეგ რა ქალის საქმეაო, რა გაუნათლებელი ხარ, რატომ გაზთებს არ კითხულობო. დავიწყებდი კითხვას, — რა დროს გაზეთებია, სახლი რას ვიგავსო, არადა, მისი ამბავი რომ ვიცოდი, გადამკვდარი ვიყავი სახლზე. ეს აქ რატომ დევსო! თუ ენა დამძღვედა და წამომცდებოდა, შენ თითონ დასდეთქო, იმასაც ეს უნდოდა, ატყდებოდა, მაგრამ როგორ ატყდებოდა! შენს მტერსა და ავად მახსენებელს, იმისთანა დღე, ის რომ დამაწვედა. რა მექნა, გენაცვალე, სულ ხომ ვერ ამოვიგლეჯდი ენას, ისედაც ლამის მუნჯად ვიქეცი. მეც ხომ ადამიანი ვიყავი. უფრო თავის თავს ვნებდა ის საცოდავი, მე ხომ მსპობდა, მაგრამ თავის ნერვებს კიდევ უფრო ისპობდა, და ხომ მოისპო კიდევ ბოლოს სულ! განა რამდენის ატანა შეუძლია ადამიანის გულს? და ხომ ვერც აიტანა.

ყველაფერზე იმას უნდა ენერვიულა და ეეჭვიანა. ორი ნაცნობი რომ დაენახა ერთად მოლაპარაკე, აუცილებლად ის უნდა ეფიქრა, ჩემზე ლაპარაკობენ რაღაცასო, და მთელი ღამე ცალკე თავს იწამებდა და ცალკე მე მაწამებდა.

ისე მოკვდა, ხმის ამოღება ვერ მოასწრო. უცებ დაარტყა ინფარქტმა. რაღა უცებ, ან აქამდე როგორ... ძალით დაიღუპა თავი და მეც... ან ჩემი ცხოვრება რაღაა, ავი იყო თუ კარგი, მაინც ქმარი იყო, მაინც ქმარი ერქვა. რა უნდოდა, რისთვის დაიღუპა თავი. თვალი არ აკლდა და ფეხი. ხელობა ოქროსი ჰქონდა. ვიცხოვრებდით წესიერად, ადამიანურად. რა მექნა, გენაცვალე, სულ ვფიქრობდი, ეგებ გამოსწორდეს, თავი ხელში აიყვანოს-მეთქი. რამდენჯერ ვუთხარი, ექიმთან მივიდეთ, რამე ნერვების დასაწყნარებელს გამოგიწერს-მეთქი, და კინალამ მომკლა, ეგ როგორ მაკადრე, რა მჭირს საექიმო, ნამდვილად გიყავდა მთვლილი! იმისი ყბიდან ველარ ამოვედი. თუ კაცმა თვითონ არ მოინდომა, შენ რას უშველი.

რატომ არ მივატოვე? რომ მივატოვო,

სულ დაიღუპება-მეთქი, ვფიქრობდი. თანაც მეშინოდა, რომ წახვიდე, ერთ დღეს არ გაცოცხლებო, მემუქრებოდა. რა უნდა სულიყავი კიდევ, სად წახვიდე, ვისთან?! რა მექნა, ვითმენდი, მეტი რა გზა მქონდა.

შვილი რომ მაინც მოეცა ღმერთს, ეგებ სხვანაირად წასულიყო ჩვენი საქმე. ამაშიც დამჩაგრა ცხოვრებამ. ამაზეც ნერვიულობდა.

წელანაც გითხარი, ძალით დაიღუპა თავი და მეც... ჩემი ცხოვრება რაღაა. მაინც ქმარი იყო. ხმის გამცემი მყავდა. რომ გითხრა, არ დაიჯერებ, ჩემთვის რომ ადრე ეთქვა ვინმეს ამისთანა რამე, თავს გადავაგლეჯდი, ამას როგორ ვიფიქრებდი და წარმოვიდგენდი, რა ყოფილა ადამიანი, გენაცვალე. რა და, თუ ქალი ხარ, არ გამცინო და არ გაგიკვირდეს. არა, გაცივრებთ როგორ არ გაგიკვირდება, შენ კი არა, თვითონ მე მიკვირს და ვერ გამიგია ჩემი ამბავი. არც კი ვიცი, როგორ გითხრა. მართლა არ ყოფილა ქალი გასაჩენი! რა და... სხვანაირად არ გამოგო შენი ჭირი, წელიწადი რომ გავა, ეგებ გავთხოვდე. ხომ გითხარი, არ დამიჯერებ-მეთქი, თვითონვე არ მჯერა. მეორედ გათხოვება კი არა, რაც მე გათხოვების მომგონი მყავს ნაწყველი, ლამის გავგიჟდე ქალი...

არა, ეგ რამ გაფიქრებინა, ეგ რა შუაშია, კაციც მოისპოს და იმის სახსენებელიც! სიჩუმემ და სიწყნარემ ლამის ჩემი დამმართოს! აქამდე რომ სულ სიჩუმესა და სიწყნარეს ვნატრობდი, ახლა სწორედ ეგ სიჩუმე და სიწყნარე მშლის ჭკუაზე! მთელი ღამე ველოდები, მთელი გულისყური იქითკენ მაქვს, აი საცაა ქმარი მოვა ყვირილით. რომ არ მოდის!..

ოთახში ვარ. გარშემო სიჩუმეა, სიჩუმე, ისეთი მკვდრული სიჩუმე, მტრისას და ჩვენი დამაწყვერისას! ამ სიჩუმეს ვერ მივეჩვიე! დღისით კიდევ რა უჭირს, სამსახურში ხარ, გულს გადააყოლებ, ღამით კი... ყურები მტკიავს სიწყნარისა და სიჩუმისაგან. სიჩუმესაც სცოდნია ყურების ატკიება! თუ წინათ ჩემი ქმრის ყვირილისაგან მქონდა ყურები დამსკდარი, ახლა სიჩუმე მრევს. სულ მომეფუშა ნერვები, რომ არავინ ყვირის, არ ჩხუბობს, ჭურჭელს არ ამტვრევს. არა, ჭურჭლის დამტვრევა რა სავალდებულოა, ანდა სადღა დარჩა დასამტვრევი.

რა ვქნა, გენაცვალე, უკუღმართი ყოფილა ადამიანი. წელანაც ვთქვი, სულ სიჩუმესა და სიწყნარეს ვნატრობდი და ახლა სიჩუმესა და სიწყნარეში რომ ვზივარ, მთლად უარესი ყოფილა. ვერაფრით ვერ შევეჩვიე. რა ვქნა, როგორა ვთქვა სირცხვილით, მაგრამ ისევ ის ყვირილი, ჩხუბი, აყალმაყალი მიჩვენია ამ მკვდრულ სიჩუმეს. ქვა ყოფილა ადამიანი, ქვა.

აბა, კარგად იყავი, თინა... რა ვიცი, რა ვიცი, როგორ იქნება ჩემი საქმე...



ჩახრუხადი

შქლვება სარგის ცანიშვილი

თ ა მ ა რ ი ა ნ ი

1. მო, ფილოსოფნო, სიტყვითა არსნო, თამარს ვაქებდეთ გულისხმიერსა!
დიონოსითგან, ვით ენოსითგან სრულნი ქებანი ამძლეთ ძლიერსა!
სოგრატ სიბრძნითა, ხარამა გრძნითა ვიყვნეთ, ვერა ვიქმთ საწადიერსა;
უშიროს, პლატონ სიტყვა დამატონ, თვით ვერა მიხვდენ შესატყვიერსა...
21. თამარ! შენ გიძნობ, ასულად გიცნობ: მზე დაუვალი, შუქ-მომფინარი!
მხიარულ იქენ! ნაქმარი გიქენ, გესმნეს ნატიფნი და მშვიდი, წყნარი,
ელვა-ეთერი და სიტყვიერი დარმანის ველი, ელემს მადნარი;
არს ცნობათ მოთხე, ვითა სამოთხე, წყლად წყალი მრწყველი, მუნვე მდინარი.
22. თამარ წყნარი, შესაწყნარი, ხმა-ნარნარი, პირ-მცინარი,
მზე-მცინარი, ხაჩინარი, წყალი მქნარი, მომდინარი.
მისთვის ქნარი რა არს? — ქნარი არსით მთქნარი, უჩინარი,
ვარდ-შამშნარი, შამშ-მადნარი, ღაწვ-მწყაზარი, შუქ-მფინარი...
23. გზმობ, თამარ მზეხა, უმზეხად ზეხა, მით რომელ უცხო ხარ ხახილველი,
უკლებლად სათნო გცისკრობენ დაწვნი, გტურფობს მოხედვა, ბროლ-ვარდობს ყელი.
გაქვს არსთა წყალი, — თვით მე გეწყალი, — მშვიდი და წრფელი მოსახვეჭელი.
განცვიფრდეს არსნი, ხმა-მადლად მზახნი, ამას იტყვიან: „მე, საკვირველი!
24. „თუ არს მოვარე, რად მზეობს არე? რად არა ოდეს შეიქმნა ბნელი?
ანუ თუ ელობს, რად დანთქმა გველობს, აწ მსწრაფლ გვეწვივს შარავანდელი,
სამყარო სრული, ელემს ასრული ჩანს შვიდთა მნათთა მანათობელი.
ხსნად ადამისად, შექმნად ამისად უწოდა ღმერთმან, თვით აღძრა ხელი...“

ძველი მიწაწერი ჩახრუხადის „თამარიანზე“:

მოხვევის ძეთა ჩახრუხადეთა ექო თამარი, მეფე წყლიანი,
მისი სიმეტე, ბრძენთა სირეტე. თინათინ ვაქო ბალი წყლიანი:
ა, ეს თინათინ, ნუ ის თინათინ, — არაბეთს იყო სულადიანი, —
ჭერეთ ყმაწვილი, წმიდათ ნაწილი, სამოთხის ვარდი, პირად მზიანი.

შენიშვნები: სიტყვითა არსნო: — შესიტყვება „სიტყვითა არსნი“ ეპითეტია და მიემართება ფილოსოფოსთ, ნიშნავს სიტყვით არსებულს, სიტყვით მყოფს ან როგორც კ. კეკელიძეს ესმოდა „სიტყვით ცნობილს“. შდრ. გამოთქმები „სიტყვის მკერავი“ (რაფსოდი), „სიტყვით მეცნიერი“ (მკერმეტყველი, რიტორი) და ა. შ. დიონოსი — მე-5 საუკუნის თეოლოგი, ნეოპლატონიკოსი ფსევდოდონოსე არიოპაგელი. შ. ნუცუბიძე — ჰონიგმანის გამოკვლევებით ეს იყო ქართველი ღმრთისმეტყველის პეტრე იბერიელის ფსევდონიმი. ენოსი — აქაც მე-5 საუკუნის თეოლოგი — ნეოპლატონიკოსი ენია ღაზელი უნდა იგულისხმებოდეს. სოგრატ — ანტიკური ხანის ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე (469-389 წწ.). სარამა — ფიქრობენ, რომ აქ იგულისხმება ინდური მითოლოგიის პერსონაჟი გრძნეული ქალი სარამა. საწადიერი — საწადელი,

სურვილი. ფრაზა „ვერა ვიქმთ საწადიერსა“ ნიშნავს, რომ ვერ შევძლებთ, ვერ ავისრულვებთ საწადელს (ეხება თამარის შესაფერისად შემოკობას). უშიროს — იგულისხმება „ილიადისა“ და „ოდისეას“ ავტორი, ბერძენი პოეტი-რაფსოდი ჰომეროსი. პლატონ — ანტიკური ხანის ბერძენი ფილოსოფოსი (427-347 წწ.). ძნობა — სიმღერა, შექება, „თამარ შენ გიძნობ“ ნიშნავს: თამარ შენ გამკობ, შენ გიმღერი. ნაქმარი — ნაკეთიანობა, შესახედაობა. დარმანის ველი — „დარმანი“ წამალი, საშუალება. შდრ. „გული დარმანთა მირე“ (ვეფხისტყაოსანი). ფრაზა „დარმანის ველი“ ანუ „სამკურნალო მინდორი“ აქ თამარის მეტაფორაა. მოთხე — შთასადებელი, კოლოფი, ზანდუი და ა. შ. ფრაზა „ცნობათ მოთხე“ ნიშნავს გონიერების საგანძურს, ცოდნის ზანდუქს და მიემართება თამარს მთქნარი — გამქრალი, დაბნელებული. მწყაზარი — თეთრი,

აქ წარმოდგენილია რამდენიმე ნაწყვეტი კლასიკური ხანის სამქებრო პოემისა, რომელიც „თამარიანის“ სახელითაა ცნობილი (უფრო ზუსტი ჩანს ხელნაწერებით შემონახული სათაური: „ქება მეფისა თამარისი“).

მასში შექებულია მეფე თამარის როგორც პიროვნული ღირსებები, ისე საქვეყნო საქმიანობა. მთავარი კი მინც ის არის, რომ ძეგლის ავტორი ავლენს მისი ეპოქისათვის მოწინავე პოლიტიკურსა და სახელმწიფოებრივ თვალსაზრისს.

თსულებს იდეოლოგიური ქვაკუთხედია ჩვენი ქვეყნის იმუამინდელი მოწინავე მოღვაწეთა შორის განმტკიცებული ისტორიული კონცეფცია საქართველოს განსაკუთრებული მისიის შესახებ (იგულისხმება ე. წ. მესიანისტური კონცეფცია).

ისევე როგორც ქრისტე იშვა კაცობრიობის ცოდვათა დასახსნელად, თამარიც ღვთაებრივ სიკეთეს განასახიერებს და მოვლენილია ამქვეყნად მუსლიმანთა ხელყოფისაგან ქრისტიანობის გადასარჩენად. ასე აღმოცენდა ჩვენში ე. წ. მეოთხე ჰიპოტაზის იდეა, ანუ სამეზბს (მამა ღმერთი, ძე და სულიწმიდა) ემატება მეოთხე წევრი და იგი ღვთივგვირგვინისანი თამარ მეფეა. ეს კონცეფცია, რომელსაც ასეთი დაჟინებით ამკვიდრებს „თამარიანის“ ავტორი, სწორ ისტორიულ პერსპექტივას შეიცავდა და ამდენად აშკარად გამოხატული პროგრესული იდეების გავრცელებას უწყობდა ხელს. კერძოდ კი, აქ იგულისხმება ქრისტიანობის უპირატესობის აღიარება, ქვეყნის ცენტრალიზმის სამართლიანობა, ქალის გამეფების კანონზომიერება და ა. შ.

თამარის პიროვნება, მისი ქველი საქმეები, როგორც ამას მოითხოვდა საკარო პოეზიის სპეციფიკა, შექებულია ზეაწეული ტონით, მრავალფეროვანი ეპითეტებით, ჰიპერბოლიზებით. გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ ჩვენს ცნობიერებაში თამარიანის დიდებულ ფრესკებთან ერთად მისი სახეა აღბეჭდილია სწორედ „თამარიანის“ მშვენიერ სტრიქონებში. აქ ძირითადად სწორედ ეს ფრაგმენტებია მოტანილი. „თამარიანის“ ავტორად ტრადიცია იგულისხმებს მე-12 საუკუნის კარის მგოსანს ჩახრუხადეს (ამასვე ადასტურებს პოემის ცნობილი მინაწერიც „მოხვევის ძეთა“...) ჩახრუხადის სახელთან ქართული პოეზიის მრავალი სიანთა დაკავშირებული. საქმარისია ითქვას, რომ ამ ტიპის ოცმარცვლიან ლექსს ჩვენში ჩახრუხადული შეერქვა.

აქ წარმოდგენილი ტექსტი ემყარება ნ. მარისა (1902 წ.) და ივ. ლოლაშვილის (1957 წ.) მეცნიერულ გამოცემებს.

ლამაზი, უმზეხად ზეხა — თამარის ეპითეტია და ნიშნავს მზეზე უმაღლესს. სათნი — მრავლობითი ფორმა სიტყვისა „სათი“ ანუ გიშერი, შავი ქვა. არსთა წყალი — „სოფლის წყალი“, „არსთა წყალი“ მყარი შესიტყვება ჩანს ძველ ქართულში. „არსთა წყალი“ მნათობთა, არსთა ბრწყინვალეობას უნდა ნიშნავდეს და მიემართება თამარს. არე — პლანეტა მარსი. ელობს — ნაწარმოებია სიტყვიდან „ელვა“. „ელობს“ ელვად ქცევას ლამობს. შარავანდელი — სხივი, ნათება. სამყარო სრული — ქვეყნიერება, ცა და ქვეყანა. ჩანს შვიდთა მნათთა მანათობელი — საუბარია თამარზე, რომელიც ავტორს ესახება მზედ, შვიდივე მნათობის (პლანეტის) მანათობლად. ადამი — იგულისხმება ბიბლიური ადამი, პირველი ადამიანი, რომლის მხსნელად მოწოდებულია თამარ, რითაც მინიშნებულია მის ღვთისწობობაზე. შდრ. იქვე „უწოდა ღმერთმან, თვით აღძრა ხელი“.



მასკების ინიციატივა



ანქანათმშენებლობის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პარტიზურ-როს მდივანი დირექტორთან შევიდა და საქმიანი კილოთი მოახსენა:

— სემიონ ივანიჩ, ხალხს ჩამოვრჩით.

დირექტორმა შეშინებულივით აქეთ-იქით დაიწყო თვალბრუნების ცეცება, თითქოს იმ ხალხს ეძებდა, რომელსაც ჩამორჩა. შემდეგ უცებ გამოერკვა და პარტიზურის მდივანს მიუბრუნდა:

— რატომ გგონიათ ასე? ხომ ჩამოვკიდეთ საამქრობებში ლოზუნგები: „შეიტ დემოკრატია“, „შეიტ საჯაროობა“.

— არ არის ეს საქმარისი, — თქვა ხელეწიფივით.

— ვახტორს ხომ გამოვუცხადეთ საუველური თვითკრიტიკის უქმარობის გამო.

— წვრილმანია ეს ყველაფერი, ივანიჩ. საჭიროდ მიმაჩნია, რომელიმე განყოფილების გამგე გადავიჩინოთ, აი, მაგალითად ივან ზაბოლუიკო.

— შენ რა, ხომ არ გაფიქვით, — აღშფოთდა დირექტორი. — ის ხომ წესიერი კაცია, არ სვამს, არ ეწევა, აქვს საქმეო ცოდნა, გამოცდილება.

— სწორედაც კარგია, — თქვა ხელეწიფივით. — ცოტა ტვინის განძარკვა უნდა. თავითა მუშაობა საჭირო, თავით... პირველ რიგში ზაბოლუიკოს მოელაპარაკე, შემდეგ დარკვე განყოფილებაში, გადაუკარი, გზა მიცეცე ახალგაზრდებს, დროა, განვითაროთ მასების ინიციატივა-თქო.

დირექტორს კუთხეში დაუჭადა ხელეწიფივის რჩევა და განყოფილების ნომერი აკრიფა. ყურმილი პოლიაკოვმა აიღო. პოლუიკით იწყინერი, სამხახურში „შფოთისთავად“ იყო ცნობილი. „სწორედ ისაა, ვინც მინდოდა“ — გაიფიქრა დირექტორმა და ჩვეული ეშმაკობით გადაუკრა:

— გესმის, პოლიაკოვ, არ გინდა განყოფილების გამგეობა?

— მერე რა, რომ მინდა, — გამოელაპარაკა პოლიაკოვი.

— რა და... შენ ძველი დრო კი ნუ გგონია, ახლა ხალხმა უნდა აგირჩიოს, გესმის? მოლა, მოაგროვე ხალხი და შეუბერე პარტიზუროსკენ, განყოფილების ახალი გამგე გვინდა ავირჩიოთ-თქო, — გასაგებია?

ათი წუთიც არ იყო გასული, რომ ხუთნი პოლიაკოვის წინამძღოლობით მდივანის ოთახში შევიდნენ. ენენ იყვნენ მორიდებული და სიტყვაძეწი სერგეი ტიმოფევი, სქელი და მოლაყებ თამარ სტეფანოვა, გაურკვეველი ახაკის არკაშკა, გალკა ზელენოვა, რომელიც აგერ რამდენი წელია, ეძებს თავისთვის წუნარ ნავსაყუდელს, და თავად პოლიაკოვი.

სწორედ ამ უკანასკნელმა დაიწყო.

— ხალხი ყველგან გარდაიქმნა, უფროსებს თვითონ ირჩევენ! ჩვენ რითი ვართ ხვებზე ნაკლები?

— აი ისინიც, ჩვენი დემოკრატის პირმშონი, — აღტაცებით წამოიძახა პარტიზუროს მდივანმა. — მოდი, ნუ გადავდებთ, ხვალვე კრება მოვიწვიოთ.

მეორე დღესვე შეიკრიბნენ.

— ჩვენ დღეს აქ მშრომელთა თხოვნით მოვიყარეთ თავი, — დაიწყო ხელეწიფივით. — ივან ზაბოლუიკო, რომელიც აქამდე წარმატებით უძღვებოდა განყოფილებას, დღეს არაპერსპექტიული თანამშრომელია.

— მე უკვე დიდი ხანია ჩემს თავს ვამჩნევ, რომ არაპერსპექტიული ვარ, — დაუდასტურა ზაბოლუიკომ.

— აი, ხომ ხედავთ, — თქვა ხელეწიფივით, — ივან სერგევიჩმა ეს დროულად შეიგნო, მეორედ ახსნა არ დასჭირვებია. მას ახე, ავირჩიოთ განყოფილების ახალი გამგე. ვის რა წინადადებები გექნებათ?

პირველად ჩუმი და მორიდებული ტიმოფევი წამოიღო:

— მე ვასახელებ ტიმოფევის, მას მუშაობის საქმეო გამოცდილება აქვს, საქმეს ფხიზელი თვალთ უყურებს, ყავს მხარდამჭერებიც.

ხალხი აჩოქვოდა. ყველას ეგონა, რომ ის პოლიაკოვს დაასახელებდა. მან კი... თავისი თავი წარადგინა.

— მე რითი ვარ ნაკლები? — თქვა მარია სტეფანოვა. — მეც ვასახელებ ჩემს კანდიდატურას. მეც მაქვს სხვებთან კავშირები. ორჯერ ვარ განათხოვარი. მეც მაქვს ფიქველი თვალსაზრისი.

— აბა, როგორ არა გრცხვენით, — ყვირის გალკა ზელენოვა. — რასა ჰგავს ეს, ხალ დაკარგეთ თავმოყვარეობა, მეც მინდა განყოფილების გამგეობა...

იქით არკაშკა წამოხტა: — მე რა, მეცამეტე გოჭი ვარ? პოლიაკოვი, რომელიც ამ ხნის მანძილზე გაოგნებული იჭდა, უცებ აპილილიდა:

— ამხანაგებო, რასა ჰგავს ეს?! თქვენ რა, ყველანი ურიგოდ მიძვრებით? გამგე შე უნდა ვიყო, შე შე-მოდან მაქვს მხარდაჭერა.

ეს რომ თქვა, პოლიაკოვმა დირექტორს გადახედა, მან კი ისეთი სახე მიიღო, თითქოს პირველად ხედავდა.

— ყოჩაღ! აი მესმის! — თქვა ხელეწიფივით, — საქმეს გულისხმად მოეკიდეთ. კიდევ უფრო თამამად, ამხანაგებო, უფრო მძაფრად! ახლა კი, მოდი, კანდიდატურები განვიხილოთ. ვინ დაასახელა ტიმოფევი?

— შე დავასახელებ, — თქვა სერგეიმ. — ის არ სვამს, არ ეწევა, ქალებში არ დადის. მისი ცოდნა ჩვენთვის ცნობილია და საერთოდ, რა საჭიროა ყოველივე ეს, თქვენ ყველანი ისედაც კარგად მიცნობთ.

— გიცნობთ, როგორ არ გიცნობთ, — წამოიწყო სტეფანოვა. — ზამთარში თოვლსაც არ გაიშვებ.

— ეგ რა კაცია, სპარტაკს გულშემატკივრობს, — ჩაილაპარაკა არკაშკამ.

— გუშინწინ ლიფტით ვმგზავრობდით, ბევრი ხალხი იყო, — თქვა გალკა ზელენოვა. — ის ისე მომეკრა, თითქოს უცოლო იყოს. მე-ხუთე ხართულამდე რომ მივედი, ვუთხარი, სერგეი, შენ ისე მომეკარი, თითქოს ლიფტში მარტონი ვიყო. მან კი მიპასუხა — უი, უკაცრავად, ვერ შეგამჩნიეთ.

მოკლედ, ოთხი ერთის წინააღმდეგ აღმოჩნდა.

შემდეგ მარია სტეფანოვა წამოიღო: — ჩემო გვრიტებო, — დაიწყო მან, — ზაფხულში ჩემს ხარჯზე მოგცემთ ყველას შევბუღებას. ამხანაგო პოლიაკოვ, ბინაზეც ვინლაფორთბთ...

— მე წინააღმდეგი ვარ, — ეს სერგეი ტიმოფევი იყო. — ორი საათი ტელეფონით ლაპობას უნდებოდა, ორი საათი პროდუქტებისთვის დარბის მალაზიებში, შემდეგ ორი საათი ჭამს და როგორც ხამანქა, ისე აწკაპუნებს პირს.

— მართალია, — დაუდასტურა გალიამ. — მარია, თქვენ მართლა იმდენს ჭამთ, რომ სისხლი კუჭში გედვრებათ, თავში კი არაფერი გრჩებათ. ამიტომაც ვერ აზროვნებთ.

— მარია სტეფანოვა, გეთაყვა, — მოჩვენებითად დაუყვავა პოლიაკოვმა, — რად გინდათ, ჩვენგან წახვიდეთ გაფურჩქნის ასაკში, თქვენ ჭერ ცხოვრება წინა გაქვით. გამგეობა ხომ ტვინის დაძაბვას მოითხოვს.

აქაც ოთხი იყო წინააღმდეგი. მე-ხუთემ თავი შეიკავა. ეტყობა, თავის ჯანმრთელობაზე დაფიქრდა.

ახლა არკაშკამ დაიწყო: — ამხანაგებო, თქვენ შე კარგად მიცნობთ. განმანულებებისთვის ყელს გამოვლადრავ ყველას, თქვენ თავს კი არავის დავაჩაგვრებ.

— შენ ჭერ თუმინანი დამიბრუნე, მერე ილაპარაკე, — მიუბრუნდა სერგეი.

— აიღეთ თქვენი თუმინანი, — ეუბნება არკაშკა და სერგეის ხელში ხამანულებიანს ჩრის. სანამ ის ფულს ათვალეირებდა, გალკა ზელენოვა ისევ წამოხტა:

— მოიცა, მოიცა, შენ შე რას მეუბნებოდი?

— რას გეუბნებოდი? — გაფითრდა არკაშკა.

— რას და უშენოდ ცხოვრება არ შემძლიაო. შემდეგ იცხოვრე და თქვი: შენთან ცხოვრება არ შემძლიაო, თქვი ახლა ბოლოსდაბოლოს ყველას თანდასწრებით — შეგიძლია, თუ არ შეგიძლია...

— რა არის ეს? — გაბრაზდა არკაშკა, — შენ ცოლთან ძლივს ვცხოვრობ და ახლა ეს არ ამეიკადა?

ამასობაში მარია სტეფანოვაც გამოერკვა:

— არკაშკა, როგორ შეგიძლიათ განყოფილების გამგე იყოთ, თუ სისტემატურად აფუჭებთ ზერს თქვენი ხამოცაპიკიანი მურალი ოდეკალიონით. სხვათაშორის სულ მინდო-

და მიეცოთ თქვენთვის — ისხურებთ ამას თუ სვამთ? არკაშკას ბედი გალკა ზელენოვას ეტყობა, მას იმდენი შეგავსდება თავი, რომ ხუთივე წინააღმდეგი წავიდა.

— აი, რას ნიშნავს მასების აქტიურობა, — ხელების ფშვნიტით თქვა პარტიზუროს მდივანმა. — უფრო თამამად, ამხანაგებო, უფრო მძაფრად, სმარტლენს თვალბრუნე შენდა შევხედოთ.

გალკა ზელენოვას რიგიც დადგა. — ამხანაგებო, დღეს, როდესაც მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხი ერთ მუშტად შეიკრა დიდი საქმეების შესასრულებლად, მე...

— გალოჩკა, — შეაწყვეტინა მარია სტეფანოვამ, — უკაცრავად, რომელ ხალხზეა აქ ლაპარაკი, როდესაც თქვენ არკაშკასთან ცხოვრობთ. მასთან ცხოვრება კი, ეს საერთოდ კომუნისმის რწმენის დაკარგვას ნიშნავს.

— როგორ ბედავთ, შეურაცხყოფითელი კაცობრიობის ნათელი მომავალი, — აფეთქდა არკაშკა. — მე აქ არაფერ შუაში ვარ. ეგ ცხოვრობდა ჩემთან. მე ცოლიანი კაცი ვარ.

ერთი სიტყვით, გალკაც დამარცხდა.

ჭერი პოლიაკოვზე მიდგა. ყველა მოგზადა მოსახმენად. ცოცხალ-მკვდარი პოლიაკოვი წამოიღო:

— მე ვხსნი ჩემ კანდიდატურას, — თქვა მან, — უმჯობესია ვიყო რიგითი, ვიდრე თავლფდასხმული.

— ნურას უკაცრავად, ნურას უკაცრავად, — წამოიძახა აქეთ-იქიდან, — საცა ყველა, შენც იქ.

— აყალბაყალბის ამტები, შფოთის-თავი, — ჩაიჩურჩულა მარია სტეფანოვამ.

— გარყვნილი, — თქვა გალკამ.

— დამბეზღებელი, აი ვინა ხართ თქვენ, — დაუმატა სერგეიმ.

— რა გაეწეობა, — თქვა პარტიზუროს მდივანმა, — შე ვთვლი, რომ არჩევნები ჭეშმარიტად დემოკრატიის ატმოსფეროში მიმდინარეობს. მასების აქტიურობამ კულმინაციას მიაღწია. და რამდენადაც სხვა კანდიდატურა არ არის, განყოფილების გამგედ შე ვასახელებ ივან ზაბოლუიკოს. საიმედო კაცია, გალკა ზელენოვასთან არ უცხოვრია, ცოტას ჭამს, ფიჭობობ, გაუძლებდა განყოფილებას. ერთი სიტყვით, ვინაა მომხრე, ვუყაროთ კენჭი.

ყველამ ხელი ახწია. ამით კრებაც დამთავრდა.

წასვლისას ხელეწიფივმა დირექტორს მხარზე ხელი დაუტყაპუნა და უთხრა:

— აი, ასე უნდა ხალხთან მუშაობა.

მეორე დღეს გაზეთში გამოქვეყნდა ცნობა, რომელიც იტყობინებოდა, რომ მანქანათმშენებლობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტში პრინციპული განხილვისა და მასების აქტიური ინიციატივის პირობებში, განყოფილების გამგედ ერთხმად აირჩიეს ივან ზაბოლუიკო.

თარგმნა ნუნუ კუბრაიშვილმა

მინის ყივილი

ადიგენის, ასპინძისა და ახალციხის რაიონების მოსახლეობა კატეგორიულ უარს აცხადებს ე. წ. „თურქი მესხების“ მესხეთსა და, საერთოდ, საქართველოში მიღებაზე.

მესხი მოსახლეობის ამ საკითხთან დაკავშირებული მღელვარების გამოხატულება იყო 1969 წლის 14 და 29 ივნისს დაბა ადიგენსა და შემდეგ სოფელ ჯუდეში ჩატარებული მიტინგები. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა და მოსახლეობამ შეუძლებლად მიიჩნიეს ამ თემაზე შემდგომი მსჯელობაც კი, რადგან მათი აზრით, „ძველი მტერი მოყვარე ვერ გახდება“.

მესხეთის მოსახლეობა მიმართავს მთელ ქართველ ხალხს, მხარი დაუჭიროს და გულხსურით მოეცილოს მათი წარმომადგენლების — პეტრე გიქოშვილის, შოთა მერაბიშვილისა და არტემ გელაძის წერილს, რომელიც ქვემოთ იბეჭდება.

ვისაც მესხეთი თავისი თვლით უნახავს 1944 წლამდე და უფრო ადრეც, დაინახავდა და აღიქვამდა საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული კუთხის განსაცდელს, ერთი მუჟა ქართველების უსასოო მდგომარეობას ადგილობრივი მოთარეშე ბანდების პირისპირ.

1944 წლის ბოლომდე ქართველებს მესხეთის არც ერთ სოფელში ორსართულიანი სახლიც კი არ გააჩნდათ, ისინი იძულებით ცხოვრობდნენ მიწურ ბინებში, რომელიც არამარტო საცხოვრებელს, არამედ თავშესაფარსაც წარმოადგენდა. ზოგიერთ ადგილობრივ მაცხოვრებელს კი, პირიქით, თავშესაფარი რაში ესაჭიროებოდა.

ჯერ იყო და 1595 წლიდან ერთ დროს აყვავებულ კუთხეს თურქეთის შემოსევით თითქოს დაუბნელდა მარადიული მზე — მესხეთის ცის კამარზე აკიფდა ნამგალა მთვარე. დაიწყო დიდი ღამე დიდებული მესხეთის ისტორიაში.

ამ წლიდან მოყოლებული 1828 წლამდე გრძელდებოდა ეს დიდი ღამე მესხეთში. ფეხი მოიკიდა ღალატმა და უპირობამ. ბევრმა თავადმა და აზნაურმა თურქეთზე მიმხრობის ვზით შეინარჩუნა გავლენა და მამული, ხოლო „წვრილფეხობა“ გამდიდრების მიზნით (თურქეთი აძლევდა მამულს და ათავისუფლებდა გადასახადისაგან) აყვა ამ სამარცხვინო გზას. ჩვენთან, სოფელ უდეში, ამის თაოსანი და ერთ-ერთი მეწინავე პროპაგანდისტი, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, იყო წერილის „ჩვენ, მესხები“ მთავარი გმირის — ლატიფმა ბარათაშვილი წინაპარი. ამას ადასტურებენ, ცხადია ვადმოცემით, 90 წელს მიღწეულნი სტეფანე თუმანიშვილი, პავლე ჭალიაშვილი და სამსონ მერაბიშვილი (ამჟამად უდეში ცხოვრობენ).

მარტო სოფელ უდესა და არალისა კი არა, მთელი ადიგენის რაიონის მოსახლეობა გაკვირვებულია 1988 წლის ჟურნალ „განთიადის“ მეოთხე და მეხუთე ნომერებში გამოქვეყნებული წერილის „ჩვენ, მესხები“ წინასიტყვაობით, რომელიც გურამ მამულიას ეკუთვნის. წინასიტყვაობის ავტორი წერს: „1944 წლის 15 ნოემბერი გლოვის დღედ შევა საქართველოს ისტორიაში, რადგან ამ დღეს მესხეთ-გაფანეთი საბოლოოდ დაიკალა ქართველი მამამიანი მოსახლეობისაგან“.

საინტერესოა, ვის უწევს თანადგომას გ. მამულია. ხომ უკეთესი იქნებოდა, ჩამობრძანებულიყო უდესა და არალში და

ადგილობრივი მოხუცებისათვის ეკითხა მათი აზრი ამ მეტად მტკივნეული საკითხის შესახებ. მოესმინა და ჩაეწერა მათ მიერ ვანცილილი და ნანახი ის ტანჯვა-წამება, რაც ადგილობრივმა მოსახლეობამ გადაიტანა 1944 წლამდე. იქნებ ჯობდა ჯერ ჩვენ, მესხებს, გავგსაუბრებოდა და მე რე დეწერა „ჩვენ, მესხების“ წინათქმა. ჩვენ ის გვაფიქრებს, ვინმეს გული ხომ არ ეთანადრება მესხეთის ცაზე ნახევარმთვარე რომ აღარ „კიფობს“ და აღარავინ გვემუქრება ჩვენ, მესხებს, არც აყრითა და არც დარბევით.

რაც გვარბის და გვეუწყეს, არ გვეყოფა? აგერა ვართ ნამდვილი მესხები და ვინც ჩვენი წარსულითა და დღევანდელი დღითაა დაინტერესებული, მობრძანდეს და ჩვენი ცხოვრება კარგად შეისწავლოს. თავს ნუ გამოიდებს ნამეტანს და ნუ ილაპარაკებს იმაზე, რაც არ ესმის.

ახლა შევეცდებით, ვგააცნოთ კლარა და ლატიფმა ბარათაშვილების წერილის „ჩვენ, მესხები“ ნამდვილი არსი. აღნიშნულ წერილში იმდენი ისტორიული ფაქტია დამახინჯებული, რომ მისი გვერდის ავლა შეუძლებელია. ასევე შეცდომაში შევყავართ წერილში წარმოჩენილ ლ. ბარათაშვილის პიროვნებას, თითქოს იგი ადიგენის რაიონში ყველა სიკეთის წამომწყები ყოფილიყო.

კ. ბარათაშვილი ვგთავაზობს რა მამის მოგონებებს, აღნიშნავს, თითქოს მისი პაპა მახსუდი მოლა იყო. სინამდვილეში არც პაპა და არც პაპის მამა, საერთოდ მათი გვარის წარმომადგენელი, მოლა არ ყოფილა. მათი ოჯახი რაიონში სწავლავანათლებლით არ გამოირჩეოდა. თვით ლატიფმა კი მართლა სწავლობდა დიღურში (თურქეთი) ორკლასიან სკოლაში იმ მოტივით, ვითომ უდეში სკოლა არ იყო. უფრო „განთიადის“ მე-4 ნომერში 150-ე გვერდზე ვკითხულობთ: „როგორც კი მენშევიკების ხელისუფლება დამყარდა, სოფ. უდეში დაწყებითი სკოლა გაიხსნა 1917 წელს“. სინამდვილეში სოფ. უდეში წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 1882 წელს დააარსა დაწყებითი სკოლა სწორედ ლატიფმა ბარათაშვილის სახლის გვერდით.

კ. ბარათაშვილი იშველიებს მამამისის მოგონებას, რომელშიც ლატიფმა თურქეთის ჯარისა და ადგილობრივი მოლატეების მიერ ქრისტიანი ქართველების დაწიოკებას რატომღაც მკრთალად ასახავს, თანაც, თავისი ოჯახი გამოყავს ად-

გილობრივი ქართველების დამცველად, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. ამას ადასტურებენ უდეში ამჟამად მცხოვრები ამ ამბის თვითმხილველები სამსონ მერაბიშვილი, მისა სტანჩიკოვი და სხვები.

აი, რა ხდებოდა ფაქტიურად: 1919 წლიდან თურქეთის მთავრობის წაქეზებით თურქეთში მესხების მოსახლვრე ტერიტორიებზე (ფოცხოვი) შეიქმნა ძლიერი ბანდა ლატიფმა ბარათაშვილის დედის ქმრის — ლაჩინას მეთაურობით. მთელს მესხეთს მოედო შეიარაღებული მოლატეების ბანდები. ამ ბანდებს ხელმძღვანელობდა და იარაღით ამარაგებდა ჯაყელთა გვარის უკანასკნელი ნაშიერი სარვალ ბეგი. ხშირად აწყობდნენ უდესა და არალზე თავდასხმებს (მკითრველმა უნდა იცოდეს, რომ ადიგენის ტერიტორიაზე მხოლოდ ეს ორი სოფელი იყო ქართული); ასე რომ, 1918 წლის იანვრიდან მესხეთი ფართული თუ აშკარა ბრძოლის ველად იქცა. სოფლის თავკაცების ხელმძღვანელობით უდესა და არალში შეიქმნა რვაასი კაცისაგან შემდგარი რაზმი, რომელსაც მოსახლეობა უნდა დაცვა მოძალადე ბანდების თავდასხმებისაგან. მოთარეშეთა საწინააღმდეგოდ ორსავე სოფელში შესასვლელი ყველა გზა და ხევ-ღელე ჩაიკეტა. სოფლის სამხრეთითა და დასავლეთით მოაწყვეს სათვალთვლო პუნქტები. შემადლებულზე, მტრის მოსაჩვენებლად, ქვემეხების მსგავსად დააყენეს ღუმელის მილები, რომლებიც შორიდან მართლაც ქვემეხებს წაავადა. ასეთ წვალებაში გაატარეს ერთი წელი ნათქვამია, ციხე შეგინდნენ ტყდებო და, ჩვენი სოფლის ეს საიდუმლო ჩვენივე სოფლის მკვიდრებმა, ლატიფმას მამამ — მახსუნდმა და ბიძამ — ამირხანამ გასცეს.

1919 წლიდან სამხრეთიდან შავი ღრუბელივით წამოვიდა თურქთა ბანდების ურიცხვი ჯარი — ზოგი ირმის ჭალიდან საძალოს ციხეს გამოყვა, ზოგი სოფლებზე — ღვამასა და მარულზე გადმოვიდა. ზოგი მდინარე ფოცხოვის ხეობით შემოვიდა. ისინი უდესა და არალის სამხრეთ საზღვრებს მოეფინენ და ჯგუფ-ჯგუფად დაიწყეს შემოტევა, რაშიც მათ მარჯვენა ხელის მავიკრობას უწევდნენ სწორედ ზემოთხსენებული მახსუდი და ამირხანა.

უდესა და არალის ნამდვილი მესხი მოსახლეობა თავგანწირულად იცავდა სამხრეთისა და დასავლეთის საზღვრებს, მაგრამ რას გააწყობდა ქემალ ფაშას მრავალრიცხოვანი ჯარის წინააღმდეგ, როცა მათ მხარდამხარ მოყვებოდნენ სარვალ ბეგის მიერ შექმნილი ადგილობრივი ბანდები. უდელმა და არალმა მეომრებმა გზა გადაუღობეს და მტერს სოფლებში შესვლის საშუალება არ მისცეს.

1919 წლის იანვრის შუა რიცხვებში აწიოკებულმა არალის მოსახლეობამ თავი შეაფარა სოფელ ვალესა და ქალაქ ახალ-

(გაგრძელება 88-14 გვერდზე)

სტენდლის სინდრომი



ტადგო გადომ, მახომ, ბანკომ და სხვებმა კიდევ უფრო მეტად განავითარეს ჯოტოს მიერ მიგნებული ახალი ვაჭრობის სფეროები ბითი ხერხები. სამწუხაროდ, სწორედ კუნეში დაკნინდა ფლორენციის სკოლა, რომელმაც ამდენი გენიალური მხატვარი მისცა მსოფლიოს.

შედევრები, თუ ექიმებსა და „სტენდლის სინდრომს“ დაუჭერებთ, ძლიერ ზემოქმედებას ახდენენ ადამიანებზე, ზოგიერთ მათგანში აღგზნება საკმაოდ აგრესიულ ხასიათს იღებს. ეს აგრესიულობა იმაში მდგომარეობს, რომ მნახველი ცდილობს, გაანადგუროს ქმნილება, რომელმაც ესოდენ დათრგუნა მისი ფსიქიკა. მსოფლიოში აღიარებული შედეგების ხელყოფის რამდენიმე შემთხვევაა ცნობილი. ერთ მათგანზე — მიქელანჯელოს ცნობილ ქანდაკებაზე, პიეტაზე (დატირება) თავდასხმაზე შეგახსენებთ.

პიეტა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ აღიარებულმა მიქელანჯელომ მიღებული ტრადიციული ნორმების დარღვევით შეასრულა. ღვთისმშობელი მარიამი აქ სრულიად ახალგაზრდა, თექვსმეტიოდე წლისაა. ამით მოქანდაკე შეეცადა, ქალწულის უმანკობისათვის გაესვა ხაზი. მის მუხლებზე უღონოდ დასვენებული ქრისტეს ნაწამები სხეული მოწიფული მამაკაცისაა. თითქოს ასაკთა სხვაობა რალაც შეუსაბამობას ან უცნაურობის შეგრძნებას უნდა ჰბადებდეს. მაგრამ ამ ოსტატის გენიალურობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მარიამის უღიდესი მწუხარებითა და სინაზით აღბეჭდილი სახის ნაკვეთები, შეკითხვის გამომხატველი განზე გაწვდილი ხელი, მაშინვე გარწმუნებთ მის ღედობრივ უკიდევანო დარღვევას. დარდი და სევდა იგრძნობა ორ ერთმანეთთან შერწყმულ სრულიად განსხვავებულ ფიგურაში, მარიამის სამოსელის ნაოჭებიდანაც კი მწუხარება გამოსჭვივს. ეს ერთადერთი ქანდაკებაა, რომელზედაც მოქანდაკემ საკუთარი სახელი ამოკვეთა. პიეტა გვიან ღამით მიიტანეს ეკლესიაში, დღით კი მისმა მნახველმა საზოგადოებამ მუხლი მოიდრიკა მშვენიერების წინაშე.

სწორედ ამ შედეგის განადგურებას შეეცადა სპეციალური იარაღით აღჭურვილი მამაკაცი, რომელიც მაშინვე განაიარაღეს, თუმცა ქანდაკებისათვის ზიანის მიყენება მაინც მოასწრო. როგორც მიღებულია, თავდაპირველად მიიჩნიეს, რომ მან ეს საქციელი საკუთარი სახელის „უკვდავსაყოფად“ ჩაიდინა. იგი ისტორიაში შედიოდა, როგორც ცნობილი შედეგის გამანადგურებელი, მაგრამ თუ „სტენდლის სინდრომს“ გავიხსენებთ და წარმოვიდგინოთ სუსტი ფსიქიკის მქონე, ადვილად აღგზნებად პიროვნებას, მაშინ თვალწინ სრულიად სხვა სურათი წარმოგვიდგება.

ამ საკვალალო შემთხვევის შემდეგ პიეტა ესოდენ „ხელმისაწვდომი“ აღარ არის მნახველთათვის. იგი სპეციალურ საფარქვეშ მოათავსეს, რათა მსგავსი საფრთხე ერთხელ და სამუდამოდ თავიდან აეცილებინათ. თუმცა საფარი გამჭვირვალეა და ქანდაკება მშვენიერად მოსჩანს.

ეს პატარა შემთხვევა კი ნათელი დასტურია იმისა, რომ სილამაზე ზოგჯერ სახიფათოა...

ქეთევან მელიქიძე



ფაფხულში ტურისტული სეზონი თავის კულმინაციურ წერტილს აღწევს მთელ მსოფლიოში. მილიონობით ადამიანი იწყებს მოგზაურობას ზურგჩანთებით, ფეხით, ვაზზე შემხვედრი მანქანებით. ისინი მოწადინებული არიან, იხილონ ლეგენდატული ულამაზესი ქალაქები, მოიარონ ეგზოტიკური ქვეყნები, ინადირონ ჭუნგლებში, იგემონ უცხო ხილი. მაგრამ ყველაზე მეტად მაინც შედეგების ნახვა აინტერესებთ, რომლებიც გენიალური მხატვრებსა თუ მოქანდაკეებს შეუქმნიათ. ამიტომაც არაფერია საკვირველი იმაში, რომ ტურისტთა დიდ უმრავლესობას იტალია მასპინძლობს. შედეგები, რომლებიც უძლიერესმა რომის იმპერიამ შექმნა, დღემდე ცოცხლობენ და განუზომლად დიდ, წარუხოცელ შთაბეჭდილებას ახდენენ მნახველებზე. თქვენ წარმოიდგინეთ, იმდენად ძლიერ შთაბეჭდილებას, რომ ზოგიერთი ტურისტი ფსიქიკური საავადმყოფოშიც კი ხვდება. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ქალაქ ფლორენციის კონიკები, სადაც ათასობით პაციენტს ითვლიან.

ყოველივე ეს ჟურნალისტების მონატორად ან ექიმების გაზვიადებულ რომ არ მიიჩნიოთ, ამიტომ ცოტა შორიდან, XIX საუკუნიდან დაიწყებთ. გავიხსენოთ ცნობილი ფრანგი მწერლის სტენდლის ჩანაწერები, რომელიც მან ფლორენციაში მოგზაურობის დროს გააკეთა: „როგორც იქნა, თვალი მოგწყვიტე ფრესკებს და საშინელი მაჯისცემა ვიგრძენი. ასე მეგონა ყურებში, თავში, ყველგან მთელ სხეულში მიცემდა გული, საცაა გამისკდებოდა. ყელში ცრემლის გორგალი მომაწვა, რომელიც ვერაფრით ვერ გადავწყლაპე. თავბრუ დამესხა და იქვე, მარმარილოს იატაკზე ჩავიკეცი...“ აი ასე აღწერა ავადმყოფობის სიმპტომები მწერალმა, რომელსაც მაშინვე აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება. შემდგომ, სწორედ მის საპატივსაცემოდ ამ დაავადებას, რომელიც ძლიერი ნერვული სტრესით იწყება, მედიკოსებმა „სტენდლის სინდრომი“ უწოდეს.

იმისათვის, რომ გავერკვეთ, რა ემართება ხელოვნებისმოყვარულ განსაკუთრებულად ემოციურ და ადვილად აღგზნებად ადამიანებს მაინცდამაინც ფლორენციაში, მცირეოდენი ექსკურსის ჩატარება მოგვიწევს.

ფლორენცია ცენტრალურ იტალიაში მდებარეობს, იგი ფლორენციის პროვინციისა და ტოსკანის ოლქის ადმინისტრაციული, ეკონომიკური და კულტურული ცენტრია. ქალაქი გაშენებულია მდინარე არნოს ნაპირზე, მათათაშუა ქვაბულის ცენტრში, იგი 461 ათასზე მეტ მცხოვრებს ითვლის. დააარსეს რომაელებმა ძველი




წელთაღრიცხვის I საუკუნეში. X-XI საუკუნეებში ფლორენცია ტოსკანის სამარკგრაფოს შემადგენლობაში შევიდა. მალე იგი საბანკო საქმის, ვაჭრობისა და ხელოსნობის მნიშვნელოვანი ცენტრი გახდა. სწორედ ვაჭრობისა და ხელოსნობის ძლიერმა განვითარებამ 1115 წელს ფლორენცია დამოუკიდებელ კომუნად აქცია. XIII საუკუნეში პოპულაციამ დაამარცხეს ფეოდალური არისტოკრატია და 1293 წელს მიიღეს ევროპაში ანტი-თავადაზნაურული კონსტიტუცია, რომლითაც ფეოდალებს პოლიტიკური უფლებები ჩამოერთვათ. 1252 წლიდან ქალაქმა დაიწყო ოქროს ფლორინის მოჭრა, რომელიც საერთო ევროპულ ვალუტად იქცა. XIV საუკუნეში მსოფლიოში პირველად ფლორენციაში ჩაისახა ადრინდელი კაპიტალისტური ურთიერთობანი, მანუფაქტურა. აქვე მოეწყო 1345 წლის გაფიცვა, ხოლო 1378 წელს კი ჩომპის აჯანყება. სახალხო მოძრაობის ჩახშობას მოჰყვა ოლიგარქიული მმართველობის დამყარება.

XIV—XVI საუკუნეებში ფლორენცია რენესანსის ცენტრი ხდება. აქ ცხოვრობდნენ დანტე, პეტრარკა, ბოკაჩო, დონატელო, ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, მაკიაველი, გვიჩარდინი. 1494 წელს დამყარდა რესპუბლიკური რეჟიმი. 1801-1807 წლებში ფლორენცია ეტრურიის დედაქალაქი, 1848-49 წლებში იტალიური რევოლუციის ერთ-ერთი ცენტრი. 1860 წელს შევიდა სარდინიის სამეფოს შემადგენლობაში. 1865-71 წლებში გაერთიანებული იტალიის სამეფოს დედაქალაქი გახლავთ. 1943 წელს დაიკავეს გერმანელებმა, განთავისუფლდა 1944 წელს.



ღღისათვის ფლორენცია იტალიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამრეწველო და კულტურული ცენტრია. მაგრამ ტურისტებს სამრეწველო ობიექტები კი არა, ქალაქ-მუზეუმად გამოცხადებული ფლორენცია აინტერესებთ—ქუჩები, სადაც შემორჩენილია ძველი რომის ხანის სწორკუთხა დაგეგმარება და შუა საუკუნეთა ციხესიმაგრეთა ნაშთები, რენესანსის ეპოქაში აგებული შენობები, არქიტექტურული შედეგები, გენიალური ქანდაკებები, სურათები, ხუროთმოძღვრების ძეგლები...


სამხატვრო სკოლამ, რომელიც ფლორენციაში XIII-XV საუკუნეებში ჩამოყალიბდა, შემდეგ დიდი გავლენა იქონია მთელს ევროპულ კულტურასა და იმ დროს არსებულ მრავალრიცხოვან სამხატვრო სკოლებზე. ფლორენციის სკოლის ფუძემდებლად ჯოტოს მიიჩნევენ, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა პროტორენესანსის ხელოვნებას. მისმა მიმდევრებმა





ღუმური
გრიგოლია





შოთა რუსთაველი. ვარძია.

ისტორიამ ბევრგან შემოგვინახა დაწვრილებითი ცნობები გენიალური ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველისა და მისი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრ შემთხვევაში ეს ცნობები ჯერჯერობით ხელმიუწვდომელი და შეუსწავლელია.

თავის წარმოდგენით დაუხატავთ მხატვრებს პოემის ავტორის სურათიც, ამოუკვეთიათ ქვაზე, ხეზე და სხვა მასალაზე. ამოუწურავია ქართველი ხალხის ფანტაზია პოეტის სახის წარმოდგენაში.

პოემის გადამწერებიც ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ვეფხისტყაოსნის ლამაზად გადაწერაში, პოეტის სახის დახატვაშიც ცდიდნენ ხელს.

ცნობილია XII-XIII საუკუნეების უცნობი მხატვრის მიერ შესრულებული, შოთა რუსთაველის სურათი, რომელიც სარდალ ზაზა ციციშვილისეულ ხელნაწერი ვეფხისტყაოსნის თავფურცელზე იყო დახატული. მეორე შესრულებულია (XVII საუკუნე) იმერეთის მეფის მდივნის მამუკა თავაქარაშვილის მიერ (1646 წ.), ხოლო მესამე — იერუსალიმური ჯერის მონასტრის კედლის მხატვრობიდან — მოხუცი თეთრი სქელი და გრძელი წვერით, მაღალი თეთრი არაღჩინით, შავი ძალაშემოდებული, მწვანე კაბით, წითელი სარტყელითა და ძოწისფერი მოსასხამით (XII-XIII საუკუნე), რომელიც გამოვაქვეყნე ყურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ (1958 წ., № 8, ჩართული ფურცელი).

მომდევნო პერიოდის მხატვრებმა შოთა რუსთაველის პორტრეტები ამ სამი სურათის მიხედვით შექმნეს. დღეს მათი რაოდენობა ჩვენი ერის კულტურულ საგანძურში მნიშვნელოვანია. ჩემს კოლექციაში პირადად მოძებული და შესწავლილი ორასზე მეტი პორტრეტია. ამათგან 33 1966 წელს გამოვაქვეყნე კრებულში „რუსთაველის პორტრეტები“, ხოლო 1982 წელს გამომცემლობა „ხელოვნება“ ცალკე წიგნად დაბეჭდა „შოთა რუსთაველის ასი პორტრეტი“. რამდენიმე ათეული პორტრეტი დაიბეჭდა აგრეთვე 1987 წელს ფოტოალბომში (ტექსტიურთ) „შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი“ (გამომცემლობა „განათლება“). მაგრამ სულ სხვაა 1982 წელს მიკვლეული შოთა რუსთაველის ფიგურული ხატი ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში (8,2 x 14,5, სიმაღლე 9,2 მ), ჩრდილოეთ კედელზე შიდა სათავსოების გასანათებლად დატოვებულ ფანჯარასთან მართმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავართა რიგის დასაწყისში, სადაც შოთა რუსთაველი წარმოდგენილია დაახლოებით 40 წლისა, ჰარმაგი, მხნე, ღრმააზრიანი თვალებით და ხშირი შავი თმაწვერით შემოსილი, შთამაგონებელი.

საფიქრებელია, რომ იგი ნატურიდან უნდა იყოს დახატული. ამ სურათზე ტანსაცმლის ორნამენტში მარჯვენა ხელის მაჯაზე იკითხება ლიგატურული წარწერა ქართული მხედრული ასოებით — „შოთა რუსთაველი“.

ვარძიის „ღვთისმშობლის მიძინების“ ეკლესიის მოხატულობის მშენებლას წარ-

შოთა რუსთაველის - უცნობი პორტრეტები პარკიოდან

მოდგენს ვარძიის მშენებლის თამარის სურათი მამასთან — მეფე გიორგი მესამესთან ერთად, რომელიც გამოხატულია ჩრდილოეთ კედელზე (ეკლესიის მაკეტი ხელში) უმძივოდ და უსაყებუროდ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ თამარი ჯერ კიდევ გაუთხოვარია, ხოლო წარწერის ტექსტიდან მხოლოდ თამარის მისამართით ნათქვამი სიტყვები — „რომელი მრავალეამეულობსმცა“ — მეტყველებს იმაზე, რომ გიორგი უკვე გარდაცვლილია.

გარდაცვლილი მეფის გიორგი III ვარძიაში ცოცხლებთან ერთად გამოხატვა სამეცნიერო ლიტერატურაში იმითაა ახსნილი, რომ „თამარის მეფობა აგრძელებდა გიორგი III პოლიტიკას“ (ოთარ ფირალიშვილი „ყინწვისის მხატვრობა“, 1974 წ. გვ. 15).

ამგვარად, ვარძიის მოხატულობა ზუსტად თარიღდება 1184-1185 წლებით, ნათქვამია ეკა პრივალოვას წიგნში („ვარძია“. 1982 წ. გვ. 14, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“) და იქვე ტაძრის აბსიდში მუშაობდა ოსტატი, რომლის სახელი — გიორგი ჰარი, შემოინახა კონქში ყვავილოვანმა ზოლმა. როგორც ტაძრის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილში მომუშავე ოსტატი, იგი უნდა ყოფილიყო წამყვანი მხატვარი და მთლიანად ანსამბლის ავტორი (გვ. 13). საერთოდ, ვარძია მოიხატა რატი სურამელის (ქტიტორის) დაკვეთით. ვცადეთ, წაგვეკითხა წარწერები ვარძიის ფრესკების სამაჯურებზე. ყველაზე კარგად იკითხება წარწერა — წ. ა., ე. ი. წმიდა ბასილი, შემდეგ ათანასე, ნიკოლოზი და სხვ. მღვდელმთავართა მაჯის ორნამენტზე აღნიშნული წარწერებისაგან განსხვავებით, შოთა რუსთაველის სამაჯურზე სიტყვა წმიდა არ წერია. 1975 წელს ლენინგრადში „ავრორას“ მიერ გამოცემულ გივი

გაფრინდაშვილის წიგნის მიხედვით ამ სურათის წარწერაა „აფსიდი. წმიდა კირილე — დეტალი“, მაგრამ ამ წიგნში არც სრულად და არც შემოკლებულად (წარგებით), როგორც ეს წმ. ბასილის სურათზეა, არ არის დაწერილი და, მით უმეტეს, სახელი „კირილე“ ვერსად ამოვიკითხე. წიგნში სურათები (91 და 92) ერთიმეორის გვერდით არის მოთავსებული. პირველ სურათზე გარკვევით წერია — წმ. ბასილი, ხოლო მეორეზე — კირილე კი არა, ნამდვილად „შოთა რუსთაველი“ აწერია.

ცნობილია, რომ საქართველოში მეფეთა, დიდებულთა და ქტიტორთა სამოსზე გვხვდება წარწერები მკლავზე. ამის მაგალითებია: ბაგრატ მესამისა — ბედისის ფრესკაზე, გიორგი მეორისა — ატენის ფრესკაზე, დემეტრე პირველისა — მაცხვარიშის ფრესკაზე, გიორგი მესამისა — ვარძიის და ყინწვისის ფრესკებზე, თამარ მეფისა — ვარძიის და ბერთუბნის ფრესკებზე, ლაშა გიორგისა — ბეთანიის, ყინწვისისა და ბერთუბნის ფრესკებზე და სხვ.


საერთოდ საშუალო საუკუნეების საქართველოში ფრესკებს ვინაობას აწერდნენ: მკლავზე, მაჯაზე, თმაზე, გულზე, მხარზე, ტანსაცმელზე, ყურთან, ხელის თითებზეც კი და ამით ამოიცნობოდა სურათზე დახატულთა ვინაობა.


თამარის კარზე პატივით მიღებული უპირველესი ვეზირის შოთა რუსთაველის სახე სწორედ ვარძიაში, საქართველოს მნიშვნელოვან პოლიტიკურ, კულტურულ და რელიგიურ ცენტრში, შეიძლება წარმოჩენილიყო მისი თანამედროვე მხატვრის გიორგი ჰარის მიერ. ამიტომაც უნდა ვენდოთ შოთა რუსთაველის თანამედროვე მხატვრის წარწერას ფრესკის სამაჯურზე, მით უმეტეს, რომ ამ ფრესკას წარწერები აქვს არამართო სამაჯურის ორნამენტში, არამედ სხვაგანაც. მას გულზე აწერია ლიგატურულად: შა — შოთა.

შეიძლება აქ განგებ არ გამოიყენა ასომთავრული წარწერა, თუმცა შოთა რუსთაველის დროს და უფრო ადრეც მხედრულითაც წერდნენ. იქნებ საჭიროც იყო მაშინ ვარძიის კედელზე შოთა რუსთაველის სურათის დახატვისას მისი სახელის დაფარვა.

ბორის კანდელაკი

ფოტო ხელოვნების კვლავი ფიქსაციის საკვთაწილია უაღრესად მასშტაბური და ბოროტობის არქივიდან.





ციხეს, ხოლო უღე დარჩა ქემალ ფაშას ჯარისა და სარვალ ბეგის ადგილობრივი ბანდების პირისპირ. უღე კუნძულივით რკალში აღმოჩნდა. ამის შესახებ თავის ლექსში „უღე“ პოეტი გრიგოლ აბაშიძე ასე წერს:

არც გალავანი ჰქონია ზღუდედ,
არც იყო უღე წყლით მოზღუდული.
თათრის სოფლების ტყვეს გავდა უღე,
გზა მოწყვეტილი, როგორც კუნძული...

მართლაც გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა უღე. თავკაცობამ სასწრაფოდ მიმართა დანმარებისათვის ახალციხის ქალაქის თავს გენერალ მალღაჯელიძეს და გენერალ მაკაევს (მაყაშვილს), რათა იარაღითა და ცოცხალი ძალით დანმარება გაეწია მათთვის. მათი განკარგულებით უღეს საზღვარზე გენერალ გელოვანისა და პოლკოვნიკ კერესელიძის მეთაურობით ახალციხის სამხედრო გარნიზონიდან გამოგზავნეს ჯარი. სამხედრო ნაწილის მოსვლამ გაამხნევა უღელი რაზმელები, რომლებმაც ჯარისკაცებთან ერთად განაზრციელეს მტერზე ახალი შეტევა და უკან დაახევინეს კიდეც. ბრძოლის ხაზზე მოხუცებულა და ბავშვებიც გამოვიდნენ. მეომრებთან მიჰქონდათ საჭმელ-სასმელი, ვაზნები და ბრძოლის ხაზიდან დაჭრილები გამოყავდათ.

თურქმა ასკერებმა და მოლაღატე ბანდიტებმა სოფლების — წყისესა და მარე-ლის მიდამოებში მოახერხეს ბრძოლის ხაზის გამაგრება. ამ ვითარებაში დღითიდღე მავშელი ძალებით ივსებოდა თურქთა ბანდები.

ბრძოლაში ბევრი უღელი ვაჟკაცი დაეცა. გამირულად დაიღუპა სოფელ წყისის ტყე-ჭალაში 19 წლის ჯარისკაცი. ნიკიერი პოეტი გრიგოლ მეგრელიშვილი „მთის ნიაგი“, რომელიც დაიჭრა, ტყვედ ჩაიგდეს და ჩაბარეს ქვედა წყისის ერთ-ერთ ოჯახს. ამ ოჯახის მამაკაცები კი ქართველების წინააღმდეგ იბრძოდნენ. მისი ერთ-ერთი წევრი ბრძოლაში მოუკლავთ. ამის გამო დაჭრილ მეგრელიშვილზე იყარეს ჯავრი და ახალგაზრდა პოეტი საშინელი წამებით მოკლეს. ჩამარხეს მსხლის ხის ძირში. ყოველივე ეს ქართველმა ჯარისკაცებმა სანგრებიდან დაინახეს.

ბრძოლის დამთავრების შემდეგ მეგრელიშვილის ნეშტი სოფლის მოსახლეობამ წყისიდან, სხვა დახოცილებთან ერთად, გადმოასვენა უღეს პატარა ეკლესიის ეზოში (მას წამებულთა სასაფლაოს უწოდებენ).

გენერალმა გელოვანმა და პოლკოვნიკმა კერესელიძემ იფიქრეს, რომ ასეთ უთანასწორო ბრძოლაში უღესა და მათი ჯარის მცირე ნაწილები თურქ და მოლაღატე ბანდებთან ვერაფერს გახდებოდნენ, ამიტომ მიატოვეს ბრძოლის ველი და თავიანთი ჯარის ნაწილებით აბასთუმანზე გავლით ზეკარის გადასასვლელზე ქუთაისისაკენ გაემართნენ. ბრძოლაში ბედის ანაბარად დარჩენილი უღელი მეომრები იერიშზე გადმოსულ მოძალადე მტერს წინ წამოსვლის საშუალებას არ აძლევდნენ.

მიუხედავად უღელთა ვაჟკაცობისა, ბრძოლის სასწორო თურქთა მხარეზე გადაიხარა, თურქთა ურიცხვ ჯართან და ადგილობრივ ბანდებთან ბრძოლის გავრცელება აღარ ხერხდებოდა. ამ მომენტში სოფლის თავკაცების ყველაზე დიდი საზრუნავი მოსახლეობის გადარჩენა იყო.

უღეს ყოველი მხრიდან მტერი უახლოვდებოდა. უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი მოსახლეობა გასაქცევს გზას ეძებდა. უღეს თავკაცობამ ჭადაწყვიტა იმავე ღამეს, 1919 წლის 2 თებერვალს, გახიზნულიყვნენ ქალაქ ახალციხეში. სანამ სოფელი დაიცილებოდა, მეომრებს ბრძოლის ხაზზე მოზღვავებული მტერი უნდა შეეჩერებინათ. მოსალამოვდა. სიბნელეში, ბრძოლის ხაზზე, თოფის ხმაც აღარ ისმოდა. სოფელი დაცარიელდა და ბრძოლის ველიც საბოლოოდ დატოვეს უღელმა მეომრებმა.

სოფელში ორასამდე ადამიანი დარჩა, რომლებსაც რუსხიან ზამთარში ფეხით ახალციხემდე ჩასვლა არ შეეძლოთ. ესენი იყვნენ მოხუცები, ავადმყოფები, უსინათლოები და მშობიარე ქალები.

სოფლიდან გახიზნული მოსახლეობა ჯერ კიდევ სოფლის მიჯნას არ იყო გაცილებული, რომ ზოგიერთ სახლს ცეცხლი წაუვიდეს და სოფელში დარჩენილ პირუტყვსა და ქონებას დაეპატრონენ ადგილობრივი ბანდიტი მოთარეშეები, ქრისტიანობა რომ უარყვეს და ყოფილ თანამოძმეთა სისხლით შეიღებეს ხელები.

უღეში უმწეოდ დარჩენილი ორასზე მეტი კაციდან ასოთხმოცამდე კაცის სიკვდილში ხელი ჰქონდათ გასვრილი ლატიფმა ბარათაშვილის მამას მახსულს და ბიძას ამირხანას.

მაგალითები გვინდა? აი, მაგალითებიც. მოკლულ-წამებულთა გვარები გვინდა? ინებეთ...

ავაზაკებმა წამებით მოკლეს ცოლქმარი გიორგი და ანა მერაბიშვილები, პავლე და საბედო პეტრიაშვილები (ამ უბედურებს თვალწინ დაუხოცეს შვილები), ძმები პავლე და მიხეილ პეტაშვილები, ცეცხლში ცოცხლად დაწვეს ცოლ-ქმარი თერეზინა და პავლე ყულჯანიშვილები. დედაბუდიანად ამოუყუცეს ივანე, პეტრე და ბესარიონ გიქოშვილების ოჯახები.

მათი გვარების ჩამოთვლა აქ არ მოხერხდება. გრძელია ქართველ წამებულთა სია და შეუძლებელია ეს.

ადგილობრივმა, რჯულშეცვლილმა მოთარეშეებმა 1924 წლამდე ახლანდელი ადიგენის რაიონის ტერიტორიაზე დაანგრიეს 32 ქართული ეკლესია და ზოგიერთის საძირკველზე მეჩეთები აღმართეს (წახანში, ხევაშენში, ზანავში, ფხეროში, ლელოვანში, ქიქინეთში, ვარხანში, ხარჯამში, ზემო ენთელში).

ნათქვამია, გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მოეწიო და, სწორედ ასე დაემართა აწიოკებულ მოსახლეობას. გახიზნას დაერთო მკაცრი ყინვები, შიმშილი, უბინაობა. გაჩნდა ეპიდემია, ტიფი. ამან უღესა და არლის უამრავი ქართველობა შეიწირა.

უღესა და არლის მოსახლეობა 1919 წლის 2 თებერვლიდან 15 აპრილამდე თავს აფარებდა ახალციხეს. 15 აპრილს მესხეთში შემოვიდა მენშევიკური მთავრობის ჯარი, რომელმაც თურქეთისა და სარვალ ბეგის ბანდებისაგან გაათავისუფლა ქვაბლოვანის ხეობა, ხოლო ადგილობრივმა მოლაღატეებმა დაეყარეს იარაღი და სახლებში ჩაიკეტნენ. ყველა დანაშაულიდან ხელები დაიბანეს. დარბეული მოსახლეობა სოფლებში მობრუნდა. მათ გადამწვარი და იავარქმნილი სახლები დაწვდათ. სილატაკე და შიმშილი მძვინვარებდა.

ახლა, რაც შეეხება თვით ლატიფმა ბა-

რათაშვილს; „განთიადის“ 161-ე გვერდზე იგი წერს: „1929 (?) წელს მენშევიკთა გამანადგურებელი კომისიის წინადადებით სამუშაოდან მოხსნეს ქველთა...“ მიტეტის თავმჯდომარე სარქის მარტიაშვილი „უმოქმედობისათვის“. იმავე კომისიის წინადადებით თავმჯდომარეთ ამირჩიეს მე“.

გასაოცარია პირდაპირ! პარტიის წევრი ს. მარტიაშვილი ამ თანამდებობაზე არც არავის გაუთავისუფლებია და არც არავის დაუნიშნავს, თითქოს ლ. ბარათაშვილს მდ. ქვაბლიანის სანაპიროზე 20 სახერხი დაზგა გაუმართავს. სინამდვილეში კი მდინარე ქვაბლიანის სანაპიროზე სამი სახერხი დაზგა იდგა. მაგრამ რევეკომს არ ეკუთვნოდა, თვით მხერხავები პატრონობდნენ და გლეხობას მასალას უხერხავდნენ ნაღდ ფულზე. ესენი იყვნენ პავლე და სიმონ ნარიმანიშვილები, მღებრიშვილები.

მაშ, ლატიფმა ბარათაშვილი საიდან გამოტყვრა?

ლ. ბარათაშვილი ისტორიულ სინამდვილეს იქაც ამახინჯებს, სადაც წერს, თითქოს მათ ოჯახს ბიძამისის ლაჩინას რისხვისაგან გადაერჩინოს ჩვენი სოფელი 12 ქართველი, ხოლო 1919 წლის 12 იანვრიდან მარტამდე უღეს მაჰმადიან ქართველთა ოჯახებში ვითომ ასოთხმოც კათოლიკე ქართველს შეეფარებინოს თავი. არც ისაა მართალი, ვინმე ვანო ბაბუნაშვილი, ზემოხსენებულ ადამიანებთან ერთად, ჩვენ ოჯახში თავს აფარებდაო. იმ პერიოდში ბაბუნაშვილები უღეში არ ცხოვრობდნენ, ნახევარი საუკუნის წინათ გაფანტულან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

ფაქტიურად ლატიფმა ბარათაშვილი საბჭოთა წყობილების საწინააღმდეგო საქმიანობას ეწეოდა სოფელში. ადგილობრივ მოლაღატეებს მთავრობის წინააღმდეგ რაზმავდა. ნათქვამი რომ მარტო ნათქვამად არ დარჩეს, მოვიტანთ ამის დამადასტურებელ მაგალითებსაც:

...1938 სასწავლო წელს არაქართულ სკოლებში შემოღებულ იქნა ქართული სწავლება. ლ. ბარათაშვილი ამ დადგენილების წინააღმდეგი იყო და ადგილობრივ არაქართველ მასწავლებლებს აწერინებდა წერილებს მოსკოვში, რომ ჩვენს სოფელში არსებული აზერბაიჯანული სკოლები ქართულ სწავლებაზე არ გადასულიყვნენ.

იქამდია მისული, რომ მოგონებებში იმასაც კი წერს, თითქოს იგი 1934 წელს ადიგენის ალკ რაიკომის მდივანად მუშაობდა. ესეც მტკნარი და აშკარა სიცრუეა.

ლატიფმას მეგობრები ომის პერიოდში გამუდმებით დაგვიხანდნენ, ჩვენები (გულისხმობდნენ თურქეთს) მალე მოვლენ და ცოცხალს აღარავის დაგტოვებთო. რვა წლის წინ გარდაცვლილი უღელი სიმონ პეტრიაშვილი იგონებდა: 1942 წლის სექტემბრის ბოლო რიცხვებში მდ. ქვაბლიანის სანაპიროზე, იმ ადგილას, სადაც ნშირი ბუჩქნარია, ლატიფმას მოუწვევია საიდუმლო კრება და გაუწაფილებია, თურქეთის შემოსევის ყამა რომელს რომელი ქრისტიანი ოჯახი უნდა ამოეწყვიტა.

„განთიადის“ 160-ე გვერდზე დაბეჭდილია, 1944 წლის ბოლოს არაქართველი მესხები უკანონოდ გაასახლეს შუა აზიაშიო. ყველამ კარგად ვიცით, რა აკავში-

რებდათ მათ მოსაზღვრე თურქეთთან და რა ნათესაური კავშირი ჰქონდათ გარეწარ მოღალატეებთან. არღვევდნენ საზღვრებს, ოჯახებით გადადიოდნენ თურქეთში. 1943 წლის აგვისტოში ადიგენის რაიონის სოფელ ხვანიდან ოცდამათხუთე ნაწილმა გადალახა საზღვარი დღესით, მზისით, თურქეთში გადავიდნენ იმის გამო, რომ სამამულო ომში არ წასულიყვნენ.

ერთი წლით უფრო ადრე, 1942 წლის შემოდგომაზე, სოფ. მოხის ტყეში გავიდა 300-ზე მეტი შეიარაღებული მოღალატე, რათა თავი აერიდებინათ ომში წასვლაზე. მათთან ერთმა ნაწილმა კიდევ მოახერხა თურქეთში გადასვლა. რამდენი მესაზღვრე ჯარისკაცის სიცოცხლე შეიწირეს ამ თავზე ხელაღებულმა ბანდიტებმა! რამდენი მესაზღვრე დახოცეს! უდესა და არლის საშუალო სკოლების მოსწავლეებსა და მასწავლებლებს გამწარებული გვქონდა სიცოცხლე მათ გამო.

ლატიფმა ბარათაშვილი ყოველ ნაბიჯზე სტყუის. სტყუის ცოლთანაც. ზინა გიგინეიშვილთან, უდეს საშუალო სკოლის მასწავლებელთან. ცოლი გასახლებაში არ წაუყვანია. მას ჩვენი სკოლის პედაგო-

გიკტივი პატივს სცემდა, როგორც პატიოსან და დაჩაგრულ ქალს. დიახ, „უმწიკვლო“ ღვთისმოსავმა ცოლი არ წაიყვანა, სხვა ცოლი კი გაიჩინა, ახლად დაოჯახდა და დაფუძნდა. შუა აზიაში გადასახლებულებს პირდებოდა, მე დაგბრუნებთ მესხეთშიო. გადასახლებულებმა შექმნეს თორმეტი კაცისაგან შემდგარი აქტივისტთა ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელადაც ლატიფმა აირჩიეს. ლატიფმა წლების მანძილზე რამდენიმეჯერ შეუგროვებია ფული. დიდძალი თანხა დაუგროვებია. ცხადია, წამოესივნენ მევალეები, შუა აზიიდან გამოიქცა და თავი შეაფარა მინგეჩაურს. იმ ფულით სახლიც გააწყო და კარიც.

ახლა მკითხველმა განსაჯოს, რომელია მართალი, ჩვენი ნათქვამ-ნათუბარი თუ ლატიფის მოგონებები? ან რას მივაწეროთ ის ფაქტი, რომ ლამის ეროვნულ გმირად გამოავაცხადეთ კაცი, რომელიც, მკითხველმა გვაპატიოს და, ჩვენგან, ქართველი მესხებისაგან, მხოლოდ ზიზღსა და შეჩვენებას იმსახურებს. ანდა, რა მოსაზრებით მოითხოვს გ. მამულია მისი ნეშტის გადმოსვენებას ახალციხეში?

ისიც უნდა დავძინოთ: ჩვენი საზოგადოებრივი ერთნაწილი ნუთუ მართლად ჰგონია, რომ ეგრეთ წოდებული „მესხი თურქები“ უსაფუძვლოდ გასახლდნენ? ჩვენს ხელი შევეწყობოთ მათ მესხეთში დაბრუნებას? არა, არ გამოვა ეს საქმე. არ შეიძლება ასე. ასეთი რამ არაა საპატიებელი. რალაც-რალაცებს ავტორიტეტულად კი ვაცხადებთ, მაგრამ იმაზე აღარ ვფიქრობთ, რა მოჰყვება ამას. სრულიად მოსალოდნელია და შეიძლება ჩვენ, მესხები, ერთ მშვენიერ დღეს საინგილოში მცხოვრები ქართველების ბედში აღმოვჩნდეთ!

დოებრიობის ერთ ნაწილს ნუთუ მართლად ჰგონია, რომ ეგრეთ წოდებული „მესხი თურქები“ უსაფუძვლოდ გასახლდნენ? ჩვენს ხელი შევეწყობოთ მათ მესხეთში დაბრუნებას? არა, არ გამოვა ეს საქმე. არ შეიძლება ასე. ასეთი რამ არაა საპატიებელი. რალაც-რალაცებს ავტორიტეტულად კი ვაცხადებთ, მაგრამ იმაზე აღარ ვფიქრობთ, რა მოჰყვება ამას. სრულიად მოსალოდნელია და შეიძლება ჩვენ, მესხები, ერთ მშვენიერ დღეს საინგილოში მცხოვრები ქართველების ბედში აღმოვჩნდეთ!

პატრია ბიჭოშვილი,
რესპუბლიკური მნიშვნელობის პირველი
ნაღები პენსიონარი.


შოთა მერაბიშვილი,
ოცნისა და შრომის ვახტანგი.

არტემ გელაძე,
შრომის ვახტანგი.

სოფელი უდა,

1989 წელი, ივლისი.

ავტორთა თხოვნით ჟურნალის გამომცემის
ცხა დამოგრაფიულ ფონდში.



შურნალ „დროშის“ რედაქციის
კოლექტივი ღრმა მუშახარებას გა-
მართვამს აფხაზეთში მომხდარი
ტრაგედიის გამო და სამკიზარს უც-
ხადებს დაღუპულთა ოჯახებს, ნა-
თესავეებს, ახლოგლებს.

ბრძანდები! კაპიტალისტური დასავლეთის გამოვლინება?

— როგორ გეკადრებათ, ნიკიტა სერგეევინ? მე ხომ კომუნისტი ვარ...

მარგალიტა ალიგერი სუსტი, ტანმორჩილი ქალი იყო, პირში სული ძლივს ედგა. მას, მართლმორწმუნე ლექსების ავტორს, აზრადაც არ მოსდიოდა მთავრობის მიმართ რაიმე უკეთურება გაეცლო გულში. მაშინ კი მდგარა მსოფლიოში უძლიერესი სახელმწიფოს დუქმორეული, გაჭარბებული მეთაურის წინაშე და მორიდებული და ნაზი ქალწულებრივი ხმით ცდილობდა წინააღმდეგობის გაწევას. ხრუშჩოვი კი ლაპარაკს არ აცლიდა:

— ცრუობთ! არ მჯერა თქვენნაირი კომუნისტებისა! აი, უპარტიო სობოლევის მჯერა!

ყოფილი აზნაური, პეტერბურგის კადეტთა კორპუსის ნამოწაფარი, ცნობილი რომანის „კაპიტალიზმი რემონტის“ ავტორი, წარმოსადგვი ტანადობის სობოლევნი დაუზარებლად წამოხტებოდა ხოლმე და ყვიროდა:

— მართალია, ნიკიტა სერგეევინ! მართალია! არ შეიძლება მაგათი ნდობა.

გაშმაგებული ხრუშჩოვი ცოფებს ყრიდა, სხვები ყურებჩამოყრილები დუმდნენ. ამასობაში საზე ადრის ღრუბლები მოქუჩდნენ, შემდეგ ერთი დიაგნოზუნა და კოკისპირული წვიმა წამოვიდა. ღმერთმანი, ამ გათამაშებულ ტრაგედიაში, ალბათ, თავად უფალმა ისურვა ოდინდელი, კარგად ცნობილი დრამატული ხერხების გამოყენებით მიეღო მონაწილეობა.

საზეიმო სუფრის თავზე გადაჭიმული ტენტი წყლის სიმძიმისგან ჩაიზინქა და წყალმა მთავრობის წევრებზე დაიწყო წვეთა. თითქოს მიწიდანო, თავი ამოყვეს შვებრებითა და სარებით შეიარაღებულმა კარგად გაუთოვებულ კოსტიუმებში გამოწყობილმა მარჯვე ყმაწვილებმა. ისინი შეხტნენ მთავრობის წევრების უკან დამცველ ბარიერზე. ტენტი შვებრებით აწივს, და წყალი თავზე გადმოიღვარეს. მიუხედავად იმისა, რომ მათ თავზე და პეწიან კოსტიუმებზე ელვრებოდათ წყალი, მაინც სტოიკურად იტანდნენ ყოველივეს სამთავრობო თაღის სვეტებად მდგარი თავდადებული ატლანტები. ჭეჭა-ჭუხილი არ წყდებოდა, წვიმა ასხამდა და ასხამდა, ხრუშჩოვი კი ცოფებს ყრიდა.

— მეგობრებო მოგაქვთ თავი, ზურგს უკან კი ილანძღობთ! ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე ოცნებობთ! არ მჯერა თქვენნი!..

სუსტი და შუბლგაცრეცილი ალიგერი გაოგნებული იდგა და წინააღმდეგობის გაწევას აღარ ცდილობდა.

ხელმწიფის რისხვისაგან, თუ ტენტიდან ჩამონაკალი წყლის ნაკადით დამფრთხალი სტუმრები სუფრასთან მობუზული ისხდნენ. ატლანტები მხოლოდ მთავრობას იცავდნენ. შემცბარი მიჭოიანი მის ახლო მსხდომ სტუმრებს თავაზიანად უმასპინძლდებოდა სპეციალურად მთავრობისათვის მიერთებული ნარჩევი ხენდროთი. სობოლევნი კი კვლავ დაჟინებული გულმოდგინებით კერს უჭრავდა:

— არ დაუჯეროთ, ნიკიტა სერგეევინ! სიფრთხილეს თავი არ სტკივა, ნიკიტა სერგეევინ!

ფართოფარფლიან შლაპაში მორთული ქალბატონი, სობოლევის მეუღლე, გაშმაგებული ექაჩებოდა ქმარს სახელოში და რაღაცას ჩასჩურჩულებდა. ქმარმა, რო-

გორც იქნა, შეისმინა მისი და განაწყენებული ხმით დაიჩვილა:

— მეც ხომ მინდა, ნიკიტა სერგეევინ, რაღაც პატივისცემა, არ იქნა და არა... ვერაფრით ვერ მივალწიე, რომ მომცენ... მანქანისათვის გარაჟი.

ცოლი კმაყოფილებისაგან ფართომლაპიან თავს უკანტურებდა.

ელვა კი სერავდა ზეცას. გალუმპული ატლანტები წამომართულიყვნენ ხელში მალა ამართული შვაბრებით. სტუმრებს შორის სადღაც შეუმჩნეველად მჯდომი, გაფითრებული და გაკვირვებული სამეფლ მარშაჟი დროდადრო წარმოთქვამდა:

— რის შექსპირი, რა შექსპირი!.. შექსპირს ასეთი რამ არც დასიზმრებია...

დასასრულ სობოლევნი მეტისმეტი გულმოდგინებისაგან და მღელვარებისაგან შეუძლოდ გახდა. საზეიმო შეხვედრიდან იგი საკაცით გააქცუნეს. იდაყვებამდე შავ ხელთათმანებში მორთული მისი ცოლი გვერდზე სირბილით მისდევდა და შეწუხებულ ქმარს ფართოფარფლიან შლაპას უნიაყვებდა.

მარგალიტა ალიგერთან მიახლოებისა ყველას შეეშინდა. იგი გასასვლელისაკენ მარტო წავიდა, ღვთის პირისაგან წყეული და შეჩვენებული. მხოლოდ ვალენტინ ოგეჩინი დაეწია მას, ხელკავი გაუკეთა და დემონსტრაციულად წაიყვანა. მათ უკან აედევნენ გაწუწული ატლანტები... არა, მათ შერისხული ალიგერის დაცვა კი არ აელვებდათ, არამედ სოკო... ოვერკინმა მთავრობის ხის ქვეშ დიდი სოკო იპოვა, ვერ მოითმინა და მოგლიჯა. ერთი ხელით ალიგერი მიჰყავდა, მეორეში სოკო ეჭირა... რატომ სოკო? შენიღბული ბომბა ხომ არ არისო? ატლანტები მათ გასასვლელამდე გაჰყვანენ.

გადაიკარა, მზემ თვალი გამოაჭყიტა.

რამდენიმე დღის შემდეგ მთელ მოსკოვს მოედო ჭორი, რომ მიღებაზე ნიკიტა სერგეევინის საქციელი დაჯმეს მასთან დაახლოებულმა წრეებმაც კიო...

ღიახ, წინა შეხვედრა ყველას კარგად ახსოვს. ღღეს კი ყველა მოუთმენლად ელის ხრუშჩოვის გამოჩენას: ნეტავ, როგორ მოიქცევა? ნუთუ კიდევ ვერ შეიკავებს თავს? იქნებ სინანული უბიძგებს საპირისპირო მხარეს — შეწყნარებისა და სიყვარულისაკენ? გამოუკვლეველ არიან გზანი შენი, ღმერთო! ხრუშჩოვისაგან ყველაფერია მოსალოდნელი.

5

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე უინსტონ ჩერჩილმა, როცა შეიტყო ხრუშჩოვის დაცემა, მსოფლიოს ამცნო თავისი ერთ-ერთი უკანსენელი ხუმრობა: „ამ კაცს ყოველთვის სურდა უფსკრულს ორი ნახტომით გადავლებოდა თავზეო“.

მარქსმა თავის თეორიას საფუძვლად დაუდო რევოლუციური ნახტომები. ხრუშჩოვს დიდი სურვილი ჰქონდა მარდად გადაეღაზა არსებულ სოციალიზმსა და ზღაპრულ კომუნისმს შორის უფსკრული. ერთი-და, დაეწეოდით მაძლარ ამერიკას რძისა და ხორცის წარმოებაში! ორი! ჩამოგვეტოვებინა იგი ბოლოში, სადღაც საშინელ რეალობაში, და თავად აღმოჩენილიყავით ზღაპარში! გაიცა ბრძანება: დაკალით საქონელი და გვექნება ბლომად ხორციო! ვერ გავითვალისწინეთ მხოლოდ ის, რომ ჯერ საქონელი უნდა გავზარდოთ. წამომართა უზარმაზარი ქვეყანა უფსკრულზე გადასახტომად, მაგრამ დაეცა და

კისერი მოიტეხა. სირცხვილი ვჭამეთ? როგორ გეკადრებათ, ღმერთმა დაგვიფაროს! კვლავ დავხტუნავთ ბარაქასს... ათში, ამჟამად სიმინდის იმედითა... ვილაცამ მომიყვა: მურხანსის... ტერიტორიით რომ ინგლისზე ცოტა ნაკლებია და ბულგარეთზე მეტი, რაღაც 5 ათას ჰექტარზე ქარისაგან მთებით დაცულ იშვიათ მინდვრებსა და მთის ფერდობებზე მოჰყავდათ სიცივეგამძლე კარტოფილი და კომბოსტო. ხრუშჩოვმა აქაც კი მთითხვავა ეს 500 ჰექტარი მიწა სიმინდისათვის გამოეყოთ.

— ნიკიტა სერგეევინ, აქ სიმინდი არ გაიხარებს, — გაუბედა ვილაცამ წინააღმდეგობის გაწევა.


— ერთიც ვნახოთ და გაიხაროს. როგორი პოლიტიკური რეზონანსი გვექნება! ერთიც ვნახოთო... ეს იმ მხტომელის ანგარიშია, რომელსაც ღრმად სწამს, რომ შუა უფსკრულზე საყრდენი დახვდება.

ხშირად სახელმწიფოს ხელმძღვანელების უმეტესობისათვის დამახასიათებელია გაცვეთილი აზროვნება. დიდებული აზრები და შორსმჭვრეტელური აღმოჩენები ერთბაშად არ წარმოიშვება მილიონთა ეკვებში. ბუნებაში მასიური გონების გახსნა არ ხდება. დიდებული აზრები და აღმოჩენები აღედგრებათ ხოლმე მათ, ვისაც სხვაზე ღრმად აზროვნების უნარი შესწევთ, ე. წ. საზრიანთა და შორსმჭვრეტელთა შორის უპირველესებს. ამიტომ საჭიროა დრო და არც თუ ისე მცირე, რომ ერთნაირად მოაზროვნე მასამ მიიღოს და გაითავისოს ის, რასაც მიადწივს ადამიანური აზროვნების ჩემპიონებმა. მოგვხსენებთ, ორ საუკუნეზე მეტი დასჭირდა კოპერნიკის საყოველთაო აღიარებას.

მაგრამ სახელმწიფო პოლიტიკური მოღვაწე ყოველდღიური ცხოვრებისეული საკითხებითაა დაკავებული. როგორც წესი, ამოცანები, რომლებიც მის წინაშე დაისმება ხოლმე, თხოულობს სასწრაფო გადაწყვეტას. მას არ შეუძლია ასობით, თუნდაც ათობით წელი ცდა, რომ ბოლოსდაბოლოს გაუგონ. ამიტომ პოლიტიკური ხელმძღვანელი იძულებულია მიმართოს საყოველთაოდ აღიარებულ შაბლონებს, ელემენტარულ ცნებებს, რომ სულიერად დაუახლოვდეს ადამიანთა საზოგადოების რაღაც გასაშუალებულ ფენას. ჩვენდა სავალალოდ, ჭკუა და გამჭრიახობა იმ დიდ პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის, ვინც ხალხს მეთაურობს და ცხოვრებას მართავს, გამოიწვევია.

ხრუშჩოვი უნაგრო და თავდავიწყებული ბრიყვი ადამიანი ვახლდათ, ნამდვილი რუსული გაქანების ბრიყვი. თუმცა ისიც მართალია, სხვა პოლიტიკური მოღვაწეებისაგან არაფრით განსხვავდებოდა. მათ ხომ ყველას ერთი საერთო უბედურება სჭირთ. რასაკვირველია, მისი ყოვლისმძყრობელური თავდაცრებულობა საზოგადოებას ზნეობრივად ამაზინჯებდა — საშუალებას აძლევდა მატყუარა, მოიქნენელ, დაუნდობელ და ხეპრე, „რიახანელი სასწაულმოქმედი“ ლარიონოვის ტიპის არამზადებს ჩინოვიციური ძარცვა-გლეჯით კარიერა გაეკეთებინათ.

მაგრამ ყველაზე უცნაური ისაა (ისტორიაში ასეთი პარადოქსებიცაა ცნობილი), რომ სწორედ ხრუშჩოვის ეგზალტურობამ განაპირობა ჩვენს ქვეყანაში თამამი, პროგრესული გადატრიალების განხორციელება. გაქნილ პოლიტიკოს სერ უოსტონ ჩერჩილს იმდენი არაფერი გაუკეთებია ინგლისისათვის, რამდენიც ხრუშჩოვმა მრავ-



ვალეროვან საბჭოთა კავშირს გაუკეთა მე-
ოცე ყრილობაზე თავისი ცნობილი გამო-
ცვლით.

სანამ ჩვენ მსჯელობით გავერთეთ, ამა-
სობაში სტუმართმოყვარე მასპინძლებიც
მობრძანდნენ.

6

გაუფრთხილებლად, ყოველგვარი ზარ-
ხემის გარეშე ფიჭვნარში, ასფალტის ბი-
ლიკზე მთავრობის წევრები გამოჩნდნენ:
კეთილი და სახემოდობარი ხრუშჩოვი. მას
მსუბუქი პიჯაკის ქვეშ კისერთან ფერადი
თასმებით შეკრული უკრაინული მოქარ-
გული პერანგი ეცვა, ხალხმა რომ „ანტი-
სემიტი“ შეარქვა. სიბერისაგან მოფანთა-
ლებულ ვაროშილოვს თავზე შლაპა ეხუ-
რა. მიქოიანი თავისი დიდი ცხვირით, შავ-
შავ, ჯერ კიდევ ჭალარაგაურეველ უღვა-
შებს რომ ფარავდა. აღარ ჩანდა მოლო-
ტოვის და კავანოვიჩის პლაკატივით ნაც-
ნობი და ახლობელი სახეები. მათ ვაბედეს
და არ ასაიმოვენს ხრუშჩოვს. მან კი თავი-
დან მოიცილა ისინი. არა, ეკლიან მავ-
თულხლართებს იქით კი არ დაამწყვდია,
არც სარდაფებში დაახვრეტინა, როგორც
ამას სტალინი სჩადიოდა კავანოვიჩთან
და მოლოტოვთან ერთად, არამედ უბრა-
ლოდ ოლიმპიდან ჩამოავდო — ეშმაკმა
წაგიოტო, აწი პენსიაზე იცხოვრეთო! მათ-
თან ერთად ჩამოავდეს „მიტმასნებელი“
შეპილოვიც. ეს დამცინავი შენიშვნა ააშკა-
რავებდა ამ კაცის პოლიტიკურად უმნიშ-
ვნელო პიროვნებას. უმნიშვნელო? შესა-
ძლებელია, მხოლოდ არა ჩემნაირებისათ-
ვის. ეს უმნიშვნელო ადამიანი მართავდა
ჩვენი ქვეყნის კულტურას — მიუთითებ-
და, წარმოათავდა, ვანადიდებდა და ამხო-
ბდა, სჯიდა და სწყალობდა...

როგორც კი მთავრობა მოვიდა, მის გა-
რემო შეიკრა აღფრთოვანებული მამე-
ბლების კარუსელი. ხელოვნებისა და ლი-
ტერატურის მოღვაწეები, რასაკვირვე-
ლია, ყველა კი არა, არამედ ისინი, ვინც
თავს საკმაოდ ცნობილად თვლიდნენ და
რომელთაც პრეტენზია ჰქონდათ მთავრო-
ბასთან ახლოს ყოფნისა, ჯგროდ შემოეხ-
ვივნენ: სახეგახვითქულები და ბედნიერად
მომღიმარები ერთმანეთის მიწვე-მოწვევით
ცდილობდნენ, რაც შეიძლება ახლოს მი-
სულიყვნენ მათთან. ხვწმობდა, ერთ აღ-
გის ტყეპნიდა და მაინც უძლებდა შეხ-
ლა-შემოხლას სქელ-სქელი სოფრონოვი.
მზეზე ლაპლაპებდა გრიბაჩევის მელიტი
თავი. ზემოთ ნახსენები სობოლევი მოწი-
წებისაგან წელში მოხრილიყო და ცუნ-
დრუკებდა. მან არათუ ვარაუი მიიღო —
მაინც რა უბადრუკი ოჯახური ოცნებები
ჰქონდათ! — არამედ მისთვის სპეციალუ-
რად შექმნილი რუსეთის ფედერაციის
მწერალთა კავშირშიც. ხან აქედან და ხან
იქედან თავს ამოყოფდა ხოლმე სერჯეი
მიხალკოვი, შეუდარებელი „ძია სტიოპა“,
იგი ხომ არასოდეს გაუშვებდა ხელიდან
შემთხვევას, თავი რომ შეეხსენებინა.

მე განზე ვიდექი და შევცქეროდი ამ
გულისამაჩუყებელ კარუსელს.

7

ყველა, ვინც კი იმ დღეს კომუნისმის
კუნძულზე იყო მოწვეული, ისინიც, ვინც
ვერ ბედადნენ მთავრობასთან მიახლოებას
და, ისინიც, ერთმანეთის ჯიკავ-ჯიკავში და
მიწვე-მოწვევაში მთავრობის გარემო ბუ-

ზებივით რომ ტრიალებდნენ, ქვეყნის ცნო-
ბილ ინტელიგენციას წარმოადგენდა.

ინტელიგენცია... ესაა ხალხი, რომელიც
გონებრივ შრომას ეწევა, ესე იგი მას უშ-
უალო კავშირი აქვს ადამიანის ისეთ გა-
მასხვავებელ ნიშანთან, რასაც ჭკუა-გონე-
ბა ჰქვია. თითქოსდა ადამიანთა მოღვმის
ეს ნაწილი საზოგადოებამ ყველაზე მნიშ-
ვნელოვნად უნდა ცნოს და შესაბამისად
იგი უნდა სარგებლობდეს საყოველთაო
პატივისცემით. ნურას უკაცრავად! ინტე-
ლიგენციის მიმართ ყოველთვის აქო
ფრთხილი და ხანდახან აშკარად მტრული
დამოკიდებულებაა კი, რადგან ჩვეულებ-
რივად სწორედ მათგან მოდის ხოლმე შა-
ბლონური აზროვნებისაგან განსხვავებუ-
ლი იდეები და შეხედულებები, რომლე-
ბიც ალიზიანებთ ობივატელებს და მუშა-
ობაში ხელს უშლის სახელმწიფოს მესვე-
ურებს.

ლენინს ლიბერალური ინტელიგენცია არ
უყვარდა, არ ენდობოდა მას და ბურჟუა-
ზიის მსახურად თვლიდა.

სტალინმა ინტელიგენცია უდრტვინველ
ლაქიად აქცია, რომელიც მორჩილად ას-
რულებდა, — ხშირად უნიჟოდ, იშვიათად
ნიჭიერად და გონებამახვილურად, სახელ-
მწიფო შეკვეთებს...

და აი, ახლა ეს სტალინის დროინდელი
ინტელიგენტების კარუსელად ქცეული,
გაოფლილი სხეულების მასა ტრიალებს
და ტრიალებს. ამ კარუსელის მთავარი
ღერძი ხრუშჩოვია თავის ამალასთან ერ-
თად — სტალინის ჩინოვნიკები, სტალინის
მიერ ფეხზე დაყენებულნი, გამოკვებილი
და გამოზრდილი ორსახა იანუსები — ერთ
მხარეს დიქტატორის სახით, მეორე მხარეს
კი ლაქიისა.

ხრუშჩოვს ვერც კი წარმოედგინა სხვა-
გვარი წყობილება. გარდა იმისა, როგ-
ორიც ნეტარხსენებულმა სტალინმა შექმ-
ნა. ხრუშჩოვს გულწრფელად სჯეროდა,
რომ მსოფლიოში განხეთქილება სიძულ-
ვილსა და მტრობის გამოა, რომ სახელ-
მწიფომ ყოველდღიურად, ყოველ წუთს
უნდა განამტკიცოს თავისი სიძლიერე,
დაიცვას დაქვემდებარების რკინისებური
დისციპლინა და შეინარჩუნოს ხელისუფ-
ლების აბსოლუტიზმი... პარტიის გენერა-
ლური ხაზი სტალინის ეპოქაში უნაკლო
იყო, მაგრამ...

სტალინის დროის პარტიის ხაზი უნაკლო
იყო, მხოლოდ სტალინია მტკუანიო. და-
უნდობლობა ზიზღს ვკრიდა, უდანაშაუ-
ლოდ დადერილი სისხლისაგან გული ერე-
ოდა. ხრუშჩოვი სტალინის დროინდელს
არაფერს არ უბირებდა შეცვლას, — დე, და-
რჩეს, როგორც იყოთ! მაგრამ სტალინი
უნდა გავასამართლოთ და ისტორიიდან გა-
ვამკვთოთ. ამაზე უფრო უაზრო გადაწყვე-
ტილება ძნელად წარმოსადგენია: თუკი
ყოფილი ბელადი სრულძალაუფლებიანი
დიქტატორი იყო, იძლეოდა უმართებულო
ბრძანებებს, რომელსაც გულმოდგინედ ას-
რულებდნენ, მაშინ როგორაა რომ პარტია
და ქვეყანა სწორად ცხოვრობდა და მოქმე-
დებდა? ან ის არ იყო დიქტატორი და მისი
ძალაუფლება არაფერს ნიშნავდა, ამიტო-
მაც არც არაფერი აქვს სალანძღავი და
ღირსების შესალახი, ან იგი იყო დიქტა-
ტორი და თუ დიქტატორი იყო, გაასამა-
რთლე, მაგრამ ამავე დროს ისიც გაითვა-
ლისწინე, რომ ამ საქმეებზე მას ავტულია-
ნებდა უსამართლო ხელისუფლება. ერთი
მეორესთან კავშირშია...

8

მზე ფიჭვნარს იქეთ გადაიწვევს, ჩვენი უკ-
ოთხნი მიუყვებოდით უკაცრავად, ბლექი
კებს — მე და მხატვარი ორესტ კვიტინსკი,
ჩვენ-ჩვენი ცოლებითურთ. აქ მარტო კა-
რგად მოვლილი ტყე არ უნდა იყოს, აქვე
ალბათ მთავრობის აგარაკებიც იქნება. ჯე-
რჯერობით არავითარი ნაგებობის კვალი
არ ჩანდა. მე ჩვენ პატარა კომპანიას სხვა
მხარეს წასვლას ვთავაზობდი: „დავთვა-
ლიეროთ, საქმე მაინც არაფერი გვაქვს-
მეთქი“.

შორიდან თავშეკავებული საზეიმო ფუ-
თფუთის ხმები გვემის. აქ კი კოდალა არა-
კუნებს და ისეთი მყუდროებაა, ჩურჩულით
გინდა ილაპარაკო.

გვერდით ხეივანში ჩვენსკენ მომავალი
კაცი გამოჩნდა. ჩვენ უნებლიეთ, უხერ-
ხულობისაგან გავჩუმდით, რადგან იგი
ჩვენთვის კარგად ნაცნობი იყო, ხოლო
ჩვენ მისთვის უცნობი. როგორ უნდა მო-
იქცე ამ დროს: გაიარო, თითქოს ვერ იც-
ანი, არაბუნებრივია, მაგრამ ის კია ბუნე-
ბრივი, რომ მისალმება პირფერობად ჩა-
გეთვალოს და პასუხად გულგრილი შემო-
ხედვა და ბატონკაცური თავის დაკვრა მი-
იღო? ისევ და ისევ ოდინდელი რეფლექ-
სია რუსი ინტელიგენტისა, როცა სულ
უბრალო რაღაცის გამო ამბიციური წინა-
ამდევობის გრძობდა სულს ვიხუთავს და
გულს გიღრბისი. კაცი მოგვიახლოვდა და
პირველი მოგვესალმა, ყოველგვარი ბატ-
ონკაცურობის გარეშე. ეს იყო ლეონიდ
ბრეჟნევი.

სადაც ტყეში სროლა გაისმა, არა, ჩვენ
არ შეგვემტაღვართ, არც გავცებულებს
გადაგვიხედავს ერთმანეთისათვის. მანიაკუ-
რი აზრი, შეთქმულება ზომ არ არისო, თა-
ვში არ მოგვესვლა. ნამდვილად რაღაც სა-
დღესასწაულო გართობაა. აუჩქარებლად
გავწიეთ იქითკენ, სადაც ისროდნენ. ჩვენს
უკან კი კოდალა არხეინად განაგრძობდა
კაქუნს.

შუა ტყეში, მდელიზე გავედით. მაყურე-
ბლები ორ ჯგუფად დაყოფილიყვნენ. მდე-
ლოზე რამდენიმე სკამი და ორი მაგიდაა.
ერთ მაგიდაზე თოფებია, მეორეზე ნაირ-
ნაირი ფაიფურის სამშვენისები — პრიზე-
ბი იმათთვის, ვინც ყველაზე უკეთ ისვრის.
მაგიდასთან ხრუშჩოვი, მყავანაძე და ჩემ-
თვის უცნობი ვილა-ვილაცეები იდგნენ.

ასიოდღე ნაბიჯზე ოღნავ შესამჩნევად
ბალახმორეული მიწურებიდან ერთმანეთის
მიყოლებით მოფრინავდნენ თევზები...
მაღალი, კარგად ნაპატივები ახალგაზრდა
კაცის სროლის შედეგად იმსხვრეოდა და
ნატეხები ცაში აქეთ-იქეთ იფანტებოდა.

ახალგაზრდა კაცმა სროლა დაამთავრა,
თოფი დადო და ამაყად გაშორდა იქაუ-
რობას. მისი თავისუფალი და ყოველგვარ
მამებლობას მოკლებული საქციელიდან
ჩანდა, რომ ხრუშჩოვის მახლობლებს მი-
ეკუთვნებოდა. სამაგიეროდ მყავანაძე გა-
ხლდათ უგუნებოდ. იგი ცდილობდა ახ-
ლოს ყოფილიყო პატრონთან და ამავე
დროს შიშობდა ზედმეტი სიახლოვით არ
შეეწუხებინა...

ხრუშჩოვმა ბატონკაცური ყესტით მი-
უთითა მყავანაძეს მაგიდისაკენ:

— აბა!

მყავანაძემ მხედრული მზადყოფნით
აიღო მაგიდიდან თოფი.

კის ლაქვარღში აფრინდა თევზი, ბათქ!
ნამსხვრევები! ახალი თევზი, ბათქ! ნამ-
სხვრევები! კიდეე ერთი, კიდეე, კიდეე...



სახეგაბადრულმა მკვანაძემ მოწიწებით დადო თოფი თავის ადგილას. მას შიამოლდეს პრიზი — ბარაქიანად მოვარაყებულ ფაიფურის სტატუეტი.

ხრუშჩოვმა თავგამოდებით დაიწყო პიჯაკის გახდა.

გვერდზე მჭიდროდ თავმოყრილ მაყურებელთა შორის აშკარად დამცინავი ტონით შენიშნეს, ახლა იქნება ნამსხვრევების ცვენაო. გაკვირვებულმა მივიხედე: საინტერესო იყო, ვინ ზედავდა ასეთ თავისუფალ გამოთქმებს სახელმწიფო მეთაურზე? მაყურებელთა შორის ვიცანი ფაშფაშა ნინა პეტროვნა. ყველაფერი ვასაგებია. აქ თავი მოუყრია ხრუშჩოვის ჯალაბს. მათ ყველაფრის ნება აქვთ.

მოქარგული „ანტისემიტი“, გაჩახული მოკლე ფეხები, დატყვეტილი წითელი ყურები — სასროლად გამზადებული ხრუშჩოვი.

აფრინდა თეფში. ბათქ! ააცილა. თეფში მიწაზე დაეარდა. მეორე თეფში ბათქ! ააცილა! ბათქ! ბათქ! ბათქ! კვლავ მთელმთელი თეფშები... მკვანაძე კი დგას გაქვავებული და მუცელზე მოვარაყებული პრიზი მიუხუტებია.

მხოლოდ ათიდან ერთ თეფშს მოარტყა ხრუშჩოვმა... თოფი დადო და სკამზე დაჯდა.

მოღუნებულ და მსუქან მხრებზე ხელები უღონოდ ეკიდა, მოლაპლაპე თავი ჩაეჭინდრა, გოდორით სხეულზე მოვარდისფერო ჩამოყრილი ყურები. ძალიან მომიხინდა ახლოს მისვლა და მელოტ კინკრისოზე მოფერება: „გულს ნუ გაიტეხ, ცუნცულ, არა უშავს რა, სხვა რამეში გამოიჩინე ფხა“.

უკანდინ კი უმოწყალოდ დასციინან: — უუ, რამდენი იხვი მოინადირა, ველარ ვზიდავთ...

უკებ ხრუშჩოვი წამოდგა და ღინჯად დაიძრა. ახლახან მოღუნებული სხეული მკვრივი გაუხდა, სახე სერიოზული და მკაცრი. აქამდე ჩამოყრილი ყურები კი თითქოს მუქარით წამოეცქვიტა.

პერანგის სახელოებაწეული, ფეხებგაჩახული, მთელი ტანით წინ გადმობრილი და თავდაღუნული ხრუშჩოვი შუა გზაში გახირულ მოხვევრს ჰკავდა. აფრინდა თეფში... თოფმა იტყქა! ნამსხვრევები მიწაზე

გაიფანტა. ისევ ივრიალა თოფმა! ნამსხვრევები!.. ბათქაბუთქი! ბათქაბუთქი!.. ეშმაკმა დალახვროს! შეიძლება ასეთი რამ? მხოლოდ ერთი თეფში ეცემა ბალახზე მთელი.

მე არ ვიცი, იყო თუ არა ეს გლეხური ეშმაკობა. არც ის ვიცი, როგორ ხდებოდა ჰაერში თეფშების აფრენა და შეიძლება თუ არა რამდენიმე წუთში იმის გაკეთება, თეფშები თავისით რომ აფრინდნენ ჰაერში სროლასთან შეთანხმებული თანმიმდევრობით.

მან თოფი დადო და გაიარ-გამოიარა... ისე უბრალოდ, წინ და უკან მაგიდების გასწვრივ. მხრები უთამაშებდა, მკერდი და მუცელი ერთმანეთს ეკიბრებოდნენ, ვინ წინა და ვინ უკანო. მალა თავაწეული მიმოდოდა და სიარულის დროს ტანი წრეში შემავალი მოცეკვავესავით უთახთახებდა. კარგა მანძილიდანაც კი ჩანდა მკვრივი ქონის საფარის ქვეშ აგზნებული ყოველი კუნთი და ძარღვი. უნდა იყო ჯეშმარიტად გენიალური მსახიობი, რომ ასე არაშაბლონურად, ასე ბუნებრივად გაითამაშო გამარჯვების სიხარული მხრებით, მუცლით, ფეხებითა და ყურებითაც კი! არა და არა, ასე შეიძლება მოიქცეს, ის, ვინც ნაღდად გახარებულია.

ნათესავეები კვლავ განაგრძობდნენ ხუმრობას, ისინი სულაც არ იყვნენ გაკვირვებული და აღფრთოვანებული მისი წარმატებით. მე კი გულახდილად უნდა გითხრათ, გაოგნებული ვიდექი.

დღესაც ეს უმნიშვნელო შემთხვევა ჩემთვის ამოუხსნელი გამოცანაა, თითქმის სასწაული. ერთადერთი ახსნა, რომელიც შემიძლია მოგცეთ, ესაა ხრუშჩოვის ხასიათის განსაკუთრებულობა. მას ახასიათებდა, რაც მართალია, მართალია, ამას ვერ წაართმევ, გამანადგურებელი შეტევის ნიჭი და გლეხური სიჯიუტე. სტალინთან მისი ბრძოლა ამის დამადასტურებელია. უკვე მკვდარი... ბელადი შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა. მას გამოიტანდნენ მაეზოლეუმიდან, იგი კვლავ უკან ბრუნდებოდა. მისი მოკვლა დუმილით უნდოდათ. სტალინი კვლავ ყველას ახსენებდა თავს ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში მდგარი თუ ბრინჯაოს, თუ მარმარილოს, თუ თაბაშირის ათასობით ასლებით, გეო-

გრაფიული სახელწოდებებით, თაყვანისმცემელთა ყრუ დრტვინებით, მკვანაძის, ამისა, ხრუშჩოვმა სტალინი მაეზოლეუმიდან გამოიტანა. მისი ძეგლები მთელ ქვეყანაში ძირფესვიანად გაანადგურა. მისი სახელი ამოშალა ყველა გეოგრაფიული რუკიდან და არც მილიონობით თაყვანისმცემელთა დრტვინის შეშინებია. მოდი და ამის შემდეგ გაბედე და თქვი, ამ კაცს ხასიათის სიმტკიცე აკლიაო!

ახლა იგი ბავშვური უშუალოდ ხარობს გამარჯვებით, — ზომ დაამსხვრია თეფშები. ზომ დაამტკიცა თავისი შნო და უნარი. ეს მე ვარ, რაცა ვარო!

ხრუშჩოვს მაშინვე მოუბრუნინეს ფაიფურის პრიზი, მან დიდი სერიოზულობით, ყოველგვარი ყოყლოჩინობის გარეშე, როგორც ეს სახელმწიფოს მეთაურს შეეფერება, ჩამოართვა. და... მკვანაძის პრიზს გადახდა. სახეგაბადრული მკვანაძე კი ხარობდა, დიდება შენდა დემეტო, გვეშველაო, და თვალბში შესციცინებდა ხრუშჩოვს.

მაგრამ უკებ მკვანაძის სახიდან ღიმილი გაქრა. მან დაიჭირა პატრონის მზერა. ხრუშჩოვი მის პრიზს მიჩერებოდა. ღმერთმანი, რაღაც შეცდომა მოხდა, მკვანაძის პრიზს უფრო მეტი ვარაყი ჰქონდა... ხრუშჩოვი გულდასმით ათვალეობდა მკვანაძის პრიზს.

მკვანაძემ არ დააყოვნა და გაუწოდა: — გაცვალოთ, ნიკიტა სერგევიჩ!

მერწმუნეთ, ენამკვევრობისათვის არაფერს ვიგონებ, როგორც ვყვები, ყოველივე ასე მოხდა. დიახ, დიახ, ხრუშჩოვმა აიღო მკვანაძის პრიზი, რომელსაც მეტი ვარაყი ჰქონდა. და ორივე ამ გაცვლით დიდად კმაყოფილი დარჩნენ.

ამ დროს ტყეში რადიო აცხადებს:

— ძვირფასო სტუმრებო! გთხოვდ სუფრასთან! ძვირფასო სტუმრებო! გთხოვთ!

ყველა გავემართეთ დიდი, ზოლებიანი ტენტისაკენ, რომელიც ფიჭვებს შორისაა გატიშული. მის ქვეშ მიჯრით იდგა გრძელგრძელი მაგიდები.

მეც იქ გახლდით, თაფლუქასა ვსვამდი...

ჩემი მონაყოლი რომ უსაფუძვლო არ მოგეჩვენოთ მეტი სიცხადისათვის თან ვურთავ იმ შეხვედრიდან შემორჩენილ დოკუმენტს — მენიუს.

სადილი: მარცვალა ხიზილალა, თავჩენილი ღვეზელი, დაფარული ფარგა, დუნაის ქაშაყი, ინდაური ხილით, ბოსტნეულის სალათა, ლუდში ჩაწყობილი კიბოები, ხორციანი ოკროშკა, ბულიონი ღვეზელით, თეთრ ღვინოში ჩაწყობილი კალმანი, მწვადი, ყვავილოვანი კომბოსტო ორცობილათი, ნესვი, ყავა, ნამცხვარი ასორტი, ხილი.

დასალევზე არაფერი ეწერა (ალბათ მოერიდათ).

წინა შეხვედრის მონაწილენი ამტკიცებდნენ, რომ მაშინ უფრო გამორჩეული და, უხვი სუფრა იყო.

თარგმან ვაჟა ახალაძემ. იხილეთა შემცირებით.

შენს ნასაყვანად მოვიძინე, გაქანოანო



ის ფეხზე მდგომელა ისროდა. „ვინჩესტერის“ სამიწის უყურებდა და ისროდა. მაგრამ რატომ-ღაც თავის პირველი გახროლის ხმა ვერ გაიგო. კონდახმა მხარი ატყინა. სამიწის კი ხედავდა, როგორ ასხლტდა ნაფოტი ღობის გაქე-რცილი მეხერზე. ეს მეხერი არასაიმედო ფარი აღმოჩნდა მის უკან მიმავალი პოლიციელისათვის. ლურჯქუდიანი თავი მკვეთრად გადახარა უკან. ირგვლივ კლდეები და ხეები თითქოს ერთხანად შეიკრუა. დანარჩენი პოლიციელები, შეშფოთებით ეძებდნენ რაიმე საფარს. ჰაერში ტკაცანით გაი-სხა მისი სიცილი. სროლის ექვსთან შეზარებული ეს სიცილი, მძულვარებითა და ძრწოლით გაუღენ-თილი, რაღაცნაირ ველურ კაჟფონიას ქმნიდა.

— კარგია, — თქვა შაშხანიანმა ახალგაზრდა აბორიგენელმა. — ისინი არ ელოდნენ, მე რომ ნამდვილი ავსტრალიელი ვიქნებოდი. შეიძლება ახლა მაინც გაიგონ.

თვალი მოავლო გარემოს. უკან, ქვიშაში, ფა-რთო ღრმული ჩანდა. კიდეც იქით კლდე და ფერ-დობი, რომელიც ციცაბო, წაგრძელებულ აღმართს ქმნიდა და დაბალი ტყით იყო დაფარული. ფერ-დობი ძნელად მისადგომი მწვერვალით მთავრდე-ბოდა. ფერდობებზე მიმოფანტულ კაჭარსა და გორა-გორად დახორავებულ კლდის ძველ ნაშხვ-რევებს შორის, გამოქვაბულის მსგავსი რაღაც შე-იმჩნევოდა. ქარისა და წვიმისაგან ყველაფერ ამას პირქუშ, მოყავისფრო-მორუხო იერი ედო, აბორი-გენის სახისა და ხელების ფერისა.

იცო, რაზე საუბრობენ ახლა ისინი? ისინი ნატ-რობენ: „ღმერთო, შენ ხედავ მას. მაშ, მოგვეცი იმდენი ძალა, მოვკლათ“. მათ იციან, რომ შენ მშობლიურ მხარეში ხარ, სადაც შენი წინაპარი საუკუნეების მანძილზე ამ ბორცვებს შორის ნა-დირბოდა, სადაც შენ, ჰერ კიდეც პატარა ბიჭუნა, მოქნილ ხელიკებს დასდევდი. ისიც არ გაუკვირ-დებო, შენ რომ იცოდე გზა, რომლითაც შეგეძ-ლება ქედზე მწვერვალის ავლით ხელიდან დაუ-სხლტე მათ. ისიც იციან, რომ შენ აქ იმალედი მთელი ერთი კვირა, სანამ ისინი შენს კვალს მოაგებდნენ. არც შენს მოხერხებულობაში ეპა-რებათ ექვი და შეუძლიათ. დადასტურონ, რომ შენ სამკაოდ მარჯვე შეკანინი ყმაწვილი ხარ. მაგრამ მათ არ იციან, რა იარაღი გაქვს და რამ-დენ ხანს გეყოფა ტყვია-წამალი.

ისიც მშვენივრად იციან ამ ძაღლთაპირებმა, ადრე თუ გვიან ძილს რომ ვერ წაართმევ თავს. მაგრამ იმის გავება არ შეუძლიათ, სად და როდის მოხდება ეს.

თუნდაც მოახერხონ და ღამით, კაჭრებს შო-რის, ზემოთაც ამოვიდნენ, სიხნელში თავდასხმის მაინც ვერ გახედავენ. ხომ შეიძლება შენ დამა-ლული იყო რომელიმე კუთხეში, ზუსტად მათ თავზე. ისინი გამუდმებით გაჰყვიროდნენ. აი რა ხდება მაშინ, როცა არსებობენ სხვადასხვა ჯუ-რის ილიოტები. როგორც ჩანს, ეს გველის წი-წილი თავის ჰკუაზე არ არის. ის ხომ ადრეც თავ-ზე ხელადებული იყო. ამიტომაც დასასხლტე-ლად უნდა გავგზავნათ არა გრაფტონსა ან კატი-ნგალში, არმედ ღვთისაგან მივიწყებულ მორისებ-ში...

დაიღალა თვალივალით, წინ იშლებოდა ღია სივრცე. დაახლოებით ტენისის კორტის ოდენა. გარშემო კი, ასე ორმოცდაათიოდ მეტრის მანძი-ლზე, გარემო ჯუჯა ტყით იყო დაფარული. სადაც იქ, ტყისპირზე, ამ ჯუჯა ხეებში იმალებოდა ოთ-ხი პოლიციელი. ოთხივე ჰერ კიდეც ქვევით, ვაკე-ზე შეამჩნია მანქანიდან რომ გადმოვიდნენ. აქ გზა მთავრდება. გაუკვირდა, რომ მანქანაში არა-ვინ დაუტოვებიათ რადიოკაზორის დასამყარებ-ლად. ახლა კი სახიფათო იყო მანქანაში შეხვალაზე ეფიქრათ. მთელი გზა ხელისგულივით ჩანდა აქე-დან და მათ ეს შესანიშნავად იცოდნენ.

ამაში რომ უფრო დარწმუნებულიყო, პირჯვა-რი გადასახა და კაპოტის უკანა ნაწილს დაუმიწნა. აი ასე, კარგია. ახლა ღრმად უნდა ჩაისუნთქო და გაქვავდე. დააპირო ხელი სახსლტს და, როცა ლულიდან ალი ამოიფრქვევა, გონების თვალ-დაინახავს ტანმორჩილ, ყვითელკანიან არსებებს, რომელთაც აღამაინებდა არც კი თვლიან. ესენი ხომ „მუკები“ არიან, ესე იგი, ცხოველები. ასე გვიბრებს ჩვენ, როცა ჯუნგლების ბარდნარში აღ-მოვჩნდით და გვაიძულეს გვებრძოლა. გახსენებაც კი ძნელია! ყუბარები სკდება. სულმოუთქმელად კაკანებენ ტყვიამფრქვევები. მაგრამ ყველაფერი წესრიგშია. ვანა თქვენ არ იცი, რომ ჩვენ თავი-სუფლებიისთვის ვიბრძვით? სიკვდილი შეიძლება ყველა მხრიდან მოვიდეს: ნაღმტყორცის ლული-დან, მაჩრეტს დარტყმით ბარდებში, ყუბარით, რომელიც ტანსაცმელში აქვს დამალული პატარა, სასაცილო, ნუშისთვალა მოზარდ გოგონას. ის ამბობს, რომ შენთან სეირნობა სურს და ხელს გკიდებს. ხვალ მას აღარ მოუწევს ნაპალმის მო-გიწვივო დასე გრეხვა, დღეს თუ მისი ყუბარა აფუთვდება.

...გადაიგრავინა ბოლო გახროლის ექვმ. შუბ-ლშეკმუნნილი უგდებდა ყურს ერთხანად ჩამომ-დგარ სიჩუმეს. ამ ადგილიდან, სადაც ის იდგა, მოჩანდა ფერდობზე შეფენილი, მზის სხივებისა-გან აციმციმებული ველობი, რომლის თავზეც დი-ლის ბინდი ამოდიოდა. იქვე იყო აგრეთვე ქვიშის გორა ევკალიტებით დაფარული ქედით. ქვევით, გზაზე, პოლიციის მანქანა. კაპოტზე დაქუცობილი ლითონი ბრწყინავდა ზუსტად საქარე მინის ქვეშ. იქ, საითკენაც მან ავტომობის ჯერი მიუშვა, საე-ჭვო ხელსაწყოები და რადიო უნდა იყოს დამა-ლული. სასაცილოა, მაგრამ ახლა ყველაფერი ეს სხვა თვალთ ჩანს. ყველაწინა შემთხვევაში, მე მგონია მივალწივით იმას, რაც გვიწოდებდა. მაშ, რა-ღაა სადარდებელი? ისღა დაგვჩინა, თვალყუ-რი ვადევნოთ იმ ორ ჯენტლმენს, ისე მარდად რომ ვედარ მოფოფხავენ უკვე ფერდობზე, ზემოთ.

ჰაერი ხარბად შეისუნთქა ნესტოებით და გა-რემოს შეგრძნების უნარაც მაშინვე გაუმახვილ-და. ცდილობდა, რაიმე უცხო სუნზე დაეკრა გეში. ფხიზლად უთვალთვალდა კლდეებსა და ბუჩ-ქებს, უსმენდა მიღამოს და ფიქრობდა. ფიქრობდა იმაზე, რომ კენჭუროს მსგავსი ეს ოთხი მღვეა-რი, ზუსტად იმ ჯიშისანი არიან, რომლისაც ის ორი, რედფერნ-სტრიტის ქუჩაზე რომ გადაეყარა და ხელბორკილები დაადეს. მაშინ ის მანქანაში ჩააგდეს და, როცა პოლიციას მიიყვანეს, ჰამრე-ბით გამოუბერტყეს ყურებიდან ქრისტეს რწმენა, დე-ას, ჩვენივის ცნობილი, ვინ იყვნენ ისინი... მაგრამ შენვე მარჯვები აღმოჩნდნენ და ამიტომაც მოუსვენს. ასე არ არის? შენ კი დაგიჭირებს...

ეტყობა „უოლაბები“ ანახლებენ ნადირობას, მაგრამ ძნელი სათქმელია, ვინაა მონადირე და

ვისზე ნადირობენ. ის ტიპი, სვეტის უკან რომ იმალებოდა, სერუანტის სამხრებით, ახლა ცოც-ხალი არ იქნება, თორემ უკან, ხეებში, მუცელზე ხოხვით გაბრუნებას არჩევდა. დანარჩენებს შეუ-ერთდებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწვეტ-და, როგორ მოქცეულიყო. მე ვიცი, დანარჩენი სამი სად მიიმალა ბარდნარში. კარგად შეინიღბ-ნენ და შეუძლიათ თავისუფლად იმოძრაონ. მაგ-რამ მათ მაინც დიდი სიფრთხილე მართებთ, რად-განაც მე შემძლია ყველაფერი დავინახო, მოვი-სმინო და ვიყენო...

მისგან მარცხნივ, ქვას მოხვდა ტყვია და სა-ცოდავი წივილით გვერდზე გაუხვია. ის შეეცადა გაეგო, საიდან ისროდნენ. შენიშნა კვამლის ბო-ლქვები და ერთიმეორეს მიყოლებით ორჯერ გა-ისროლა იმ ადგილისაკენ. მაშ ასე, იმათგან ერთ-მა გასცა თავი. მაგრამ იმანაც ხომ მოახერხა ლტო-ლვილის ადგილის აღმოჩენა?

ახლა ისღა დამჩნია, ველოდო, როდის წამო-ვლენ ისინი. ბოლოსდაბოლოს მე თითონ აქედან არსად წახვლას არ ვაპირებ. საოცარი გრძნობა გიპყრობს კაცს, როცა რაიმეს ელოდები, არა ისე, როგორც ახლა. მიკი ვილიამსმა — კეთილმა მო-ხუცმა, ერთხელ მაიძულა მსგავსი რამ განმეცა-და. შემდეგ ეს იანკები: ვიეტნამში კოკაინი რომ შემომთავაზეს და ჰოსპიტალში რაღაცეებითაც გაგვებრუნეს. მაგრამ ყველაზე საოცარი მაინც ისაა, ნარკოტიკები რომ აღარ მინდა. შემძლია მისი გარეშეც გავძლო. ლოცვებიც კი, ოდესღაც იქ, მისიაში, მეგონა მშველოდა. ღმერთო, რა დიდი ხნის წინ იყო ყოველივე ეს! კეთილო იესო, მშვი-ლი და მორჩილო, მოუვლინე შენი უსასრულო მაღლი პატარა შავკანიან წარმართს, რომ მან არ დაკარგოს წონასწორობა, როცა ჩვენ მის მიწას ვძარცვავთ, მამას ვუკლავთ და დას ნამუსს ვხდით.

მაგრამ მე თავი მაღლა ავწიე და კვლავ აღარ დავბრი. შეხედე, ბურთი მას მიაქვს. მიჭირს, ცდილობს საქარემო სას მიაღწიოს, იქ კი ის გა-რეწრები ელოდებიან. ისინიც გაქიქებულები არი-ან, მაგრამ ძალა არ ჰყოფნიან. ჩემს წინ მხოლოდ პატარა ნაპრალია, ორიოდ წამიც და იქ ჩავხვამ ბურთს, სადაც საჭიროა. ეს მათთვის კარგადაა ცნობილი და ნამდვილად არ მოსწონთ.

მიუხედავად ამისა, ადრე თუ გვიან, ეს მოხდე-ბა. მე მიზანში მოვარტყამ ბურთს. ბადეში ჩა-ვახვევ ზუსტად სვეტებს შორის. ბროს იღრიალებს და მომესალმება. ხალხი ფერად დროშებს ააფრე-ალებს ჰაერში. აღარ იტყვიან, ვინაა ეს ძინძლი-ანი შავკანიანიაო. თქვენ ხომ ლამის დაიჭერეთ, რომ ის თითქმის გმირია? თუმცა მაინც არ ისურვებ-დით, თქვენი და ცოლად გაჰყოლოდა რომელიმე მათგანს. ხომ სწორია?

ჩვენ ყველამ ვიცით, რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ეს. ასეა არა? მაგრამ სასაცილოა

მხოლოდ ის, რომ ეს უნდა დამთავრდეს აქ, ამ კლდეებსა და ხეებს შორის, სადაც ყველაფერი დაიწყო. კარგია, რომ ასეთი სიჩუქეა გარშემო და ლამაზად ფშვინავს ბუნება.

მე შემოდის წარმოვიდგინო მოხუცი ჩარლი პერკინსი თავისი მშვენიერი ხმით. ბევრი რამ მასწავლა ჩარლიმ. მანვე გამიღვივა სურვილი, ბრძოლაში მიმეღო მონაწილეობა. — შენ უნდა იბრძოლო მათ წინააღმდეგ თავითა და კუნთებით, — მეუბნებოდა ის. — კბილებით უნდა დაგლიჯო ეს არაკაცები.

შეხედ ჩვენს რიგებს: ჩვენს შორის არიან ძლიერებიცა და სუსტებიც, ჭკვიანებიცა და ისეთებიც, თავში ოფოფები რომ ჰყავთ. ლოთებიცა და ღარიბებიც, წნედაცემულებიც, წნედალენიც. არიან მომთმენნიც. მსურველები დახმარონ სხვებს, პოლიტიკოსებიც და, კიდევ მრავალი სხვა — ვინ უკეთესი, ვინ უარესი ისეთებიც, ძველებურად რომ სჯერათ, კაცთმოყვარე ჭრისტეს არ დავვიწყებდვართო. ზოგი არსებულ წესს შეურიგდა. ზოგიერთი არცთუ ცუდადა მოწყობილი. მერედა, ვის ხარჯზე: ასეთმა ადამიანებმა იქნება კიდევაც გვიღალატეს. და ასეთი ღალატი, ბოლოსდაბოლოს, შეიძლება არც კია საუკეთესო გამოსავალი.

არადა ბურკში, უოლდეტსა თუ ბრაში და იმის მსგავს სხვა ადგილებში, ჭერ კიდევ თავისებური სამყარო არსებობს. ცალ-ცალკე ლუდხანები შავებისა და თეთრებისათვის. ყველაფერი გაუღენთილია სიძულვილითა და შიშით ერთიმეორის მიმართ. ეს იმედდაკარგული ადამიანები, ბაღებში მოხეტიალე მოხუცები, ცხოვრებისაგან გატეხილი ხალხი, მშვირ-მწყურვალე ბავშვები... ერთი თეთრკანიანი ეუბნება მეორეს:

— შეხედე ამ უბედურებს, მათი დახმარება შეუძლებელია. ასე რომ, ჩვენ მიერ დაშვებული ერთადერთი შეცდომა იმაშია, რომ არ დავხოცეთ მათი უდიდესი ნაწილი ჭერ კიდევ მაშინ, როცა ეს ყველაფერი სპორტად ითვლებოდა. შენ კი, შავკანიანი, ითმენ, დიდხანს ითმენ, ხან ერთ ლოყას მიუშვრე, ხან მეორეს, და სანამ შენთვის რაიმე უკეთესის ძებნაში ხარ, ხლები აღწვოთების მიწეზე და სათავე. ეს აშინებს თეთრებს და ისინი კიდევ უფრო ძლიერად, უფრო გააფთრებით თელავენ ფეხქვეშ შენს სხეულს...

ტყვია ქვამ აისხლიტა, ამჯერად მისგან ახლოს, მომდევნო კიდევ უფრო ახლოს. სანამ ის მოინიშნავდა იმ ადგილს, საიდანაც ისროდნენ და დამიზნებან მოასწრებდა, კიდევ ორი გასროლა გაისმა. მან შეინიშნა, რომ ესროლა ერთდროულად ორი პოლიციელი, რათა დაეფარათ შესამე, რომელიც სადაც აქ, ძალიან ახლოს შემოპარულიყო. ალბათ ის შეეცდებოდა, დახორავებული კლდის ქანების მხარეს წამოვიდეს მარჯვნიდან, სადაც ეს შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს. აი ისიც. მისმა ცისფერმა მუნდარმა ტოტებს შორის გაიღვია. მოდის წელში მოხრილი და, რა თქმა უნდა, ფარფარა შარვლით. ახლავე მიიღებ შენსას. ბახ...

დაიგრილა შაშხანამ. ის გაქრა, ძნელი სათქმელია, მოვარტყე თუ არა. თუ ვერ მოვარტყე, ჩემთვის ძალიან სახიფათო იქნება, რადგან ის ძალიან ახლოსაა ჩემგან და შეუძლია კიდევ უფრო მომიახლოვდეს. მე კი ვერაფერს გავიგებ, სანამ თავს არ გამოამუღავნებს რაიმეთი.

ცისფერ, ამობრუნებულ ცის გუმბათში, ლაღად უფლის წრეს ქორი. შავკანიანი თვალს აღევნებს ფრინველს. რას აკეთებს ის იქ, იმხიმალეზე? ქორი მისი ტომის ტოტემია, მისგან იძენდნენ წინაპრები სიძლიერეს და თავისუფლებას, შეუპოვარ დიდებულებას, ცისა და წილის ერთიანობას. რწმენა მათთვის არასოდეს არ ყოფილა ისეთი შორეული მცნება, როგორც ახლა ეჩვენება მას. ისინი მუდამ იყენებდნენ ქორის სულიერ სიძლიერეს. როდის წაართვის მათ ეს რწმენა და ვინ გააკეთა ეს?

არ იქნებოდა ურიგო, გამერკვია, მოვარტყე თუ

არა იმ არამზადან. თუ ავაციდინე, ალბათ ძალიან მცირე მანძილზე, და საოცარია, რომ ასე მცირე მანძილს ასეთი არსებითი მნიშვნელობა აქვს. ჩემთვის ეს სრულიადაც არაა სულ ერთი. ყველაფერი ყველაფერი, მაგრამ მასაც რომ ჰყავს ცოლი და შვილები. ისინი ცხოვრობენ პატარა, ფარულალა სახლში, რომელსაც კარგად მოვლილი ბალი არტყია ირგვლივ. მიუხედავად იმისა, რომ ეს პოლიციელის ცოლ-შვილია, ცხოვრების კიბეზე მათ საქმოდ შესაძრევი ადგილი უჭირავთ, აბორიგენის ცოლ-შვილთან შედარებით. თუ მე მას მოვკლავ, ის ველარ დაბრუნდება დღეს საღამოთი სახლში. ვერ დაჯდება ტელევიზორის წინ ლუდით სახვტ ტოლჩით ხელში და ვერ მიირთმევს მეუღლის მომზადებულ ვახშამს. ბავშვები კი შეშფოთებული და გაოცებული იქნებიან, ამდენ ხანს რატომ არ მოვიდა მათი მამა. და ვის მივებმარებოდი მე? რა თქმა უნდა, არა საკუთარ თავს, რადგანაც მათ გადაუწყვეტიათ, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, შემიპყრონ. ხდება ხოლმე, ვიღაც ახერხებს, დააღწონს თავი სიკვდილის კლანჭებს, მაგრამ ეს ყველაფერი სხვანაირად ხდება.

მე თავისუფლად შემოდის ადამიანის მოკვლა. თქვენც მოახერხებთ ამას, მაგრამ რა ხდება, როცა თქვენ მას ჰკლავთ. იღუბება მხოლოდ ერთი ადამიანი. იქნებ გაანადგუროთ ათასი ადამიანი. სულერთია, თქვენ მაინც ვერ ამოძირკვით მათ იდეებს, რამდენადაც იდეები არაა მხოლოდ სხეული და არ გააჩნია ხორცი და გული. ამით ნიდაგს ამზადებთ იმისათვის, რომ მომდევნო თაობა უფრო ძლიერი იყოს.

მე არავის მოკვლა არ მინდა, არავისი ცული არ მინდა ამ ქვეყანაზე. მაშ, რაღა ეშვასად ვეხვრები მათ! გაცილებთ სახამაწო იქნებოდა შემთავაზებინა მათთვის ჭიკა ლული. როგორ ფიქრობთ, მოეწონებოდა მათ ეს? ეი, პოლიციელო, მოდი შევწყვიტოთ ეს ომი თეთრებსა და შავკანიანებს შორის! დაუარეთ შაშხანები, მეც მოვისვრი ჩემსას გვერდზე. ჩვენ, მამლის ტომი, თქვენს გამოჩენამდე დიდი ხნით აღრე ვცხოვრობდით აქ, მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავს. აქ საკმარისი წყალი და საზრდო. ჩვენ შეგვიძლია ისევე გავიყოთ ჩვენ-ჩვენი წილი ულუფა, როგორც ვიყოფთ, ჭიკა ლულს. ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ მე არ მიცდია ასე მოვქცეულიყავი? გულახდილად რომ ვთქვა, ბევრი ცდლობდა ამას. თუ თქვენთვის ცნობილია, მითხარით: რატომ არაფერი არ გამოგვივიდა აქედან. საიდუმლოდ შემატყობინეთ... რადგან წყუღიმიც ვიყო, თუ ეს ვიცოდე. თუ ასე არ მოიქცევით, გამოდის, რომ თქვენ უარს აცხადებთ, მოიქცეთ გონივრულად. ხომ ნედავს ღმერთი, რადაც უნდა გაკეთდეს.

საინტერესოა, როგორ შეიცვლებოდა ცხოვრება, მე რომ შემეძლოს სახლისა და ბაღის შექმნა, როგორც იმ პოლიციელს? რომელიც გნებავს ჩვენი შავტრა გოგობიდან, ყოველთვის შორიანლო რომ ტრაბლენდნენ ჩვენს გარშემო, როცა ჩვენ ფეხბურთს ვთამაშობდით, შეიძლება გამხდარიყო ჩემთვის მშვენიერი საცოლე. მე რომ შემხედებოდეს ასეთი კარგი გოგონა და შევიძლებდე მუდმივი სამუშაოს შოვნას, მეტი რაღა მინდა. ბატკანივით თვინიერი და დამჭერე გავხდებოდი. იაფხანისა ღვინით დავთარობდი ჩემს ლამაზ გოგონს და სანამ ის მოფიქრებან მოასწრებდა, დედად გავხდიდი. ეს არ იქნებოდა ცული. განა მე ვაუკაცი არა ვარ? ამის მაგიერ, შავკანიანი ბავშვები, წვირითა და ჩირქოვანი იარებით, ჭუჭყიან ქუჩაბანდებში გორაობენ. ახალგაზრდობა კი უმიზნოდ ატუშულა ლუდხანის კარებთან, დასავლეთ ავსტრალიაში. რა აზრი აქვს ამ დარბიბი, ყველასათვის წედმეტი მოხეტიალეების არსებობას, მითხარი გეთაყვა? სად წავიდა ხანგრძლივი მომხიბვლელი ხილამაზე სიყვარულისა მის ტომში, მის გვარში. სადაა სიკეთე და სიმართლე, რომელსაც ბავშვის დაბადება იწვევდა, ბავშვისა, რომელიც თითქოს შენი საკუთარი, კეთილი მიწიდან გაჩნდა? მაშინ, იმ დროს, მთელი დღეების მანძილზე არ

წყდებოდა ბავშვების სიცილი, თვალგაცეცხლულ მარჯვლარაზე რომ ნადირობდნენ.

მარცხენა ფლანგიდან ლურჯი უოლაბები ჩემს საფარს უფრო ახლოს მიეპარნენ. მოუხერხებელი გასროლა და ტყვიამ წედ ყურსმეტი ცხენისებრი ნივრული იქნება, სანამ საპასუხო ტყვიას გაუგზავნიდ, დაიღწო და კლდეს ამოეფარო. ღმერთო ჩემო, როგორ მოახერხა იმ პოლიციელმა იქ ასვლა? როგორც ჩანს, მაგრად ჩამთვლიმა! ასე არ გამოგვადგება, შეიძლება ჩათვლემის უფლება მისცე თავს, როცა შენ თითონა ხარ მონადირე. მაგრამ არა მაშინ, როცა შენვე ნადირობენ, მეგობარო. არა მაშინ, როცა შენვე ნადირობენ!

და მაინც ყოველთვის ეს უფრო მგავს აბორიგენთა ჩქარ ცეკვას, ვიდრე ნამდვილ ნადირობას. შენ თვითონაც იცი: ეს სამხედრო ცეკვა! ან სულაც საომარი ნადირობა! მხოლოდ ამჯერად ისინი არიან მეომარი მონადირეები, მე კი მოხუცი, ბრძივი სირაქლემა ემუ! ეი, შემომხედეთ: მე მოხუცი ბრძივი სირაქლემა ემუ ვარ და მაინც თქვენთვის მეტად ეშვავი გასლავართ... რას ეგლობებით, რატომ არ მოდიხართ და არ შემიპყრობთ?

მან შაშხანა მიწაზე დააგდო. ერთი ხელი მაღლა ასწია და ამით სირაქლემას თავი გამოსახა, მეორე ხელი კი უკან წაიღო კულის მსგავსად. ცდილობდა, რაც შეიძლება ზუსტად მიეხადა უფრო ფრინველისათვის და მაშინვე კლდეებს შორის სამი შაშხანა ერთად ალაპარკდა. მაგრამ ტყვიებს არ გაუგმირავთ ადამიანი, რომელიც გაშმაგებით აწყდებოდა აქეთ-იქით.

მაშინ ორი პოლიციელი წინ გავარდა, რათა შემოკლებინათ მანძილი დევნილად. მნიშვნელოვანი იყო ამის გაკეთება, სანამ ის შაშხანას აიღებდა და კვლავ აიძულებდა მათ ქვეების უკან დამალულიყვნენ. შემდეგ ისევ ყველაფერი გასუსხა. ისმოდა მხოლოდ მისი ზარბანი სიცილი, მაღალი და დაძაბული, შაშხანებიდან გასროლილი ტყვიების ექოს მსგავსი.

მოულოდნელად მან მწვავე მდგომარეობაში იგრძნო თავი და სიცოცხლე მოუნდა ისე, როგორც არასოდეს. მთელი სიფრთხილით გადინაცვლა თავშესაფრის ყველაზე დაშორებულ, ყველაზე უსაფრთხო კუთხეში. ჩაჯდა იქ და შეეცადა ფხიზლად ყოფილიყო. ყველა მხრიდან გარემოცულია და ისინი მოიწვევენ უფრო წინ. ჩვენ შენს წასაყვანად მოვედით, შავკანიანო, ამბობენ ისინი. ჩვენ დაგიპირეთ შენ, შავო მახინჯო, შეგიძლია დარწმუნებული ბრძანდებოდე. ეს შენც ყოველთვის იცილე, დაწყებული მისიაში ცხოვრებიდან, სადაც გასწავლიდნენ, ყოფილიყავი დამყოლი, სათნო და შორჩილი. ამას გრძნობდი შენ შენი საბრტული დიდების წლებში. ტრინუნებზე მაუბრებელთა ბრბოს აღტაცებას იწვევდი. ომის დროსაც კარგად გიგრძნოდა ეს. თეთრკანიანებს გვერდით უღედა და ეხმარებოდი. ვაბმული სმის პერიოდშიც ამაღ და დამამცირებელ წუთებში, შებოქილი იყავი მათგან. ცდილობდი შერიგებოდი ბატონებს და გემსახურა მათთვის. ყველაფერს განიცდიდი ლუდხანებში დებოშებისა და დემონსტრაციების დროს, უჭმი საუბრისა თუ ბრძოლის მოლოდინში. ანაირი იყავი შენ, სანამ წლების მანძილზე შეგუბებულმა დაძაბულობამ ბოლოს და ბოლოს არ გადმოხუტა ყოველგვარი სასლავარი. მაშინ შენ, გოგონებულმა და გამწარებულმა, პირდაპირ სახეში ატაკე გატეხილი ბოთლი გააფთრებულ მთავრობის წარმომადგენელს. ისინი შენკენ მოიწვედნენ მუდამ და ყოველთვის, სადაც შენ მოქმედი და მონაწილე იყავი. ისინი ვიახლოვდებოდნენ შენ ნაბიჯ-ნაბიჯ, გიხშობდნენ სუნთქვას და გთელავდნენ. და აი, ბოლოს აქ არიან, შავკანიანო, და სანამ არ შეგიპყრობენ, არ გაბრუნდებიან უკან.

უკვე ყველაფერი ძალიან გაგრძელდა. შენ იცი, არც ისინი, არც შენ თითონ, ოდნავადაც არა ხართ დაინტერესებული, რომ შენ უკან ცოცხალი მიგიყვანონ. და უცებ აუტანელი სევდა გეუფლება, რომ მეტად ვეღარ იხილავ მზის ამოსვლას

მიხაკები

ეროვნული
კინოთეატრი

სოფლის მეურნეობის კოოპერატივმა... რომელიც ბუდაპეშტთან მდებარეობს, ხელფასების გადახდის დღეს ტაქსი შეუკვეთა. მონგარიშე ქალიშვილებს უნდა შემოეცლოთ კოოპერატივის ობიექტები, კარ-მიდამოები და თანამშრომლებისათვის ხელფასები დაერიგებინათ.

ქალიშვილები დილის შვიდი საათიდან დღის ოთხ საათამდე მუშაობდნენ. ბოლოსთვის შემორჩათ სასათბურე მქურნეობა. დირექტორი ქალი დაინტერესდა, ყოფილა თუ არა მძლოლი დიდ სათბურებში, სადაც ყვავილები გამოჰყავთ.

მძლოლმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

— მაშინ წავიდეთ, გაჩვენებ ჩვენს მეურნეობას. ტაქსი პოლიეთილენით გადახურულ უზარმაზარ სათბურთან გაჩერდა. მძლოლს მოეჩვენა, რომ „ათას ერთი ღამის“ ჯადოსნურ სამყაროში მოხვდა. ირგვლევ თოვლია, სუსხი, ყინვა, ზამთარი. აქ კი ასობით, ასი ათასობით ყვავილი: მიხაკები, ვარდები, თეთრები, წითლები, ვარდისფრები... უსასრულო ჭრელი ხალიჩა...

დირექტორმა ჰკითხა მძლოლს:

— მოგეწონათ?

— ...

მძლოლი დუმდა. განცვიფრებისაგან ხმა ვერ ამოეღო.

— გყავთ მქულლე?

— რა თქმა უნდა, უკვე თორშეტი წელია.

— ხშირად ასაჩუქრებთ ყვავილებით?

— რა?.. ყვავილებით?.. ე... ჰმ... ეს როგორ... ერთი სიტყვით...

— გასაგებია, გასაგები. დღეს ჩვენ დაგეხმარებით.

ქალმა მოჭრა ორი ოცეული მიხაკი და თაიგული მძლოლს გაუწოდა, კაცმა ძლივს მოითმინა ხალამოდე, რომ ყვავილები. მეუღლისთვის გადაეცა.

როდესაც მან თაიგულით ხელში ბინის კარი შეაღო, შეცბუნებული მეუღლე სახტად დარჩა.

— რა არის ეს?

— ყვავილები. შენ...

— შენ ჰკუიდან ხომ არ შეიშალე! ახალი წელი დიდი ხანია გავიდა, ჩემს დაბადების დღემდე ჯერ კიდევ აღრეა. რასთან დაკავშირებით?

— უბრალოდ, მე შენ მიყვარხარ! შემიძლია თუ არა, ათასში ერთხელ ყვავილები მოგიღვანა? მოულოდნელად ქალმა ხელი მოიქნია და ქმარს სილა გააწნა.

— ყვავილები?! მეე?! გასაგებია რაც ჩაიღინე, გამცვალე ხომ?!
— შენ რა!!! ხომ არ გაგუდი... გეფიცები...

— შეიშალე? და ეს თებერვალში?! როცა თითო მიხაკი ოცი ფორინტი ღირს. მე კი თხოვ ფორინტს დაჯანკალე, ცუაირათიანობ, ვუფრთხილდები, მეშინია ჩემთვის კოლგოტები ვიყილო! თავს ვიმტვრევ, როგორ ავიღო ხორცი! ამხს კი, ერთი დამიხედეთ, თავი ბატონად მოაქვს, შენ ფსიქოდისპანსერში უნდა გაგაგზავნო! დიახ, დიახ!

— მოიცადე! ერთი წუთით გაჩერდი, მეც მათქმევიე ერთი სიტყვა — შეპლადადა გააპასებულ ქალს გაოგნებულმა მეუღლემ. — იცი, დღეს სად ვიყავი? ვერც კი წარმოიდგენ! შეკვეთით ვემხანურებოდი კოოპერატივ „ენქელანს“... მათ სათბურში ვიყავი... ცხოვრებაში ასეთი რამ არასოდეს მინახავს! დედამიწის სამოთხეა! ზღაპრული ბაღი!.. ასეული ათასი მიხაკი, ასეული ათასი ვარდი, საითაც არ გაიხედავ ედემია!.. გესმის?! დღეს მთელი დღე მათ დავატარებდი, პოდა, მათ მომცეს ეს მიხაკები.

ცოლმა ყურადღებიანი მზერით მხოლოდ ახლადა შეათვალიერა თაიგული; და აღტაცებით წამოიძახა:

— მერედა, ასე ცოტა?!
— თარგმან ნუნუ მალრაქმ.



ამ კლდეებს შორის, ამ უკაცურ ან რომელიმე სხვა ადგილას. მიუხედავად იმისა, რომ შენი სხეულის რომელიღაც კუნჭული კიდევ იმედოვნებს, რომ ყველაფერი კეთილად დამთავრდება, მოიძებნება გამოსავალი და არაფერია შესაშფოთებელი. მთლიანად შენს არსებას შეგნებული აქვს, თუ ასეთი სასწაული მაინც მოხდება და შენი ტომის ხალხი როდესმე თავისუფლად, ამოისუნთქავს, შენ პირადად მაინც არა გაქვს გამოსავალი.

ისევ გასროლის ხმა ქვემოდან. ის დაიძაბა და იარაღი ხელში აიღო. ამ მომენტში შევეული კლდიდან წამოფრინდა დიდი ქორი, ამაყად მოქანავე გაშლილ ფრთებზე. მან გადაუარა დევნილს და თავზე გადაავლო ჰაერის ტალღა, გამოწვეული ფრთების მიმოქნევით. შემდეგ აუჩქარებლად გააკეთა წრე მიუწვდომლობის ფარგლებს გარეთ სწორედ იმ ადგილიდან, სადაც აბორიგენი ხაფანგში მოხვდა.


დევნილმა თავი ასწია, უზარმაზარი ფრინველისთვის რომ შეეხედა და თვალები სიხარულით გაუბრწყინდა. ქორის ტომი — მისი ტომია. გონებაში არეული მოგონებანი წამოიშალნენ, მრავალსაუკუნოვანი თქმულებების ნაწყვეტები, ასე რომ ჰქონდა ღედის რძესთან ერთად შეწოვილი და არა თვალბებითა და ყურებით დანახული ან მოსმენილი. მოაგონდა სხეული, რომელიც განკუთვნილია მიწაში დასაბრუნებლად, მოაგონდა სული, რომელიც ზეცისკენა გასაფრენად მიმართული. მოაგონდა ცხოვრების სასწაულები, რომლებიც შეუდარებლად ძლიერია თეთრი ადამიანის კანონებსა და მის ციხფერ მუნდირში გამოწყო-

ბილ პოლიციანზე დაურდობილი... და აქ, სადაც სამყარო მთავრდება, აქ, ამ უკანასკნელი კლდის ნაგლეჯთან, ბოლოს ხედავს ქორს...

აბორიგენი აუჩქარებლად წამოდგა და ახლა ფეხზე დამდგარი უყურებდა მოლივლივე ფრინველს და მაღალ მთებს. შაშხანა კვლავ მიწაზე იდო. ის კი ამაყად გაეშურა მოედნის შუაგული-საკენ, ოდნავ შესამჩნევი სინარნარითა და ისე, როგორც დადიოდნენ ათასეული წლების მანძილზე მისი წინაპრები. პირველი ტყვია მხარში მოხვდა და დარტყმისაგან შეაქანა, ორი დანარჩენი მუცელსა და ოდნავ გვერდიდან, მკერდში. და შენ გაოცებს ის, რომ მაინც გაკვირვებული ხარ, თუმცა ნათლად გრძობ, რომ დასასრული მოვიდა. ეს არც ისე მტკივნეულია... ხომ მართალია?

შემდეგ მოკლე, თვალმოუკრავი გაღვების მანიძილზე, სანამ ქორი წრის შემოვლაზე მოცურავს თვალუწვდენელ სივრცეში, შენ წევხარ გაუნძრევლად, იმ შეგნებით, რომ ბრძოლა დამთავრებულია. და მთელი სხეულით ისრუტავ ამ ჰეშმარიტებასა და სილამაზეს, იმედს, სიყვარულს, დაპირებას, რომლებიც შენს წინაშე წამოიმართნენ ვარდისფერი მოქცევის ტალღაზე. ისრუტავ იმას, რაც შენია და შენშია მოქცეული. და ეს ყველაფერი, სანამ შუქი მორწყავდეს საყვარელს, კეთილ მიწას, ხელიდან გამოგეცლება და შეტი აღარასოდეს არ იქნება შენი...

თარგმან ქეთევან ჩხაიძემ.



სპეციალური დანართი

1898 წელს ავსტრიელი ოპერის მომღერალი ნელი მელბა იმყოფებოდა გასტროლებზე ლონდონში. მის პათივსაცემად გამართულ სადღესასწაულო სადილისათვის ცნობილმა ფრანგმა მწარეულმა მოამზადა სპეციალური დანართი, რომელმაც მომღერალზე უფრო მეტად გაითქვა სახელი. მას დაარქვეს „მელბა“.

როდის შენიშნეთ, რომ გაჩვენებთ...

როცა მორის შევალიე გახდა 75 წლის ერთ-ერთმა რეპორტიორმა ჰქითხა: — გვითხარით, როდის შენიშნეთ, რომ ბერდებით? — შარშან, — დიმილით უპასუხა შევალიემ. მე თვალი ჩავუყარი ერთ ახალგაზრდა ქალს, მაგრამ მან მწრუნველობით შემეკითხა ხომ არაფერი ჩამივარდა თვალში. ამ დროს მე ვიგრძენი, რომ უკვე დავბერდი.

მალაზია ცაციაბისათვის

მამბურგში გაიხსნა მალაზია ცაციაბისათვის. მასში ყველაფრის ყიდვა შეიძლება — სამეურნეო საქონლიდან დაწყებული დამთავრებული სასწავლო საგნებით. საქონელი კონსტრუირებულია ისეთიარად, რომ მოხერხებული იყოს მარცხენა ხელით ხმარებისათვის. მალაზია მასინვე გახდა პოპულარული იმ პირთა შორის, რომლებიც ცაციაბი არიან. ზოლო ასეთები გფრ-ში მიახლოებით ექვსი მილიონია.

მცენარე — ქამელეონი

მექსიკაში არის მცენარე, რომელიც დღის განმავლობაში რამდენჯერმე იცვლის ყვავილების ფერს. ვანთადისას ისინი თეთრია, შემდეგ ვარდისფერი, შუაღლით — მუქწითელი, საღამოს — მუქი იასამნისფერი, ღამე კი ისევ თეთრი. საინტერესოა, რომ სურნელი ამ ყვავილებს მხოლოდ მაშინ აქვთ, როცა ისინი თეთრი ფერისანი არიან.

კულსის სიხშირე

დადგენილია, რომ ყველა ძუძუმწოვრის სიცოცხლის ხანგრძლივობა გაზომილია, გულის შეკუმშვის რაოდენობით და თითქმის ერთნაირია. ვეშაპის გული მშვიდ მდგომარეობაში წუთში 15—16-ჯერ იკუმშება. თავის გული მიახლოებით 600-ჯერ, მაგრამ ამ მუშებერასაც და პატარა თავგსაც სიცოცხლის განმავლობაში გული ეკუმშებათ მიახლოებით 740 მილიონჯერ.

დაცვა რადიოთი

პარიზში ერთ-ერთი რადიოსადგური პირდება თავის მსმენელებს არა მარტო ინფორმაციასა და გართობას, არამედ დაცვას... კოლოს კენისაგან. ჩვეულებრივი გადაცემების პარალელურად რადიოსადგური ეთერში გადმოსცემს, ჩვენი სმენისათვის გაუგებარ ხმებს, რომლებიც დამლუპველად მოქმედებენ კოლოს მკბენარ მდებარეზე.

ტოსელის სერენადა

ერთ მშვენიერ დღეს დედოფალმა ლუიზა საკსონელმა გაწყვიტა ყოველგვარი კავშირი თავის ქმართან და დატოვა სასახლე, რამაც გამოიწვია დიდი სენსაცია მთელ გერმანიაში. განქორწინების მიღების შემდეგ, ის იწოდებოდა გრაფინია მონტინოზოდ.

იტალიაში გრაფინიამ გაიცნო კომპოზიტორი და ვიოლინოს ვირტუოზი ენრიკო ტოსელი, რომელიც თხოუმეტი წლით მასზე უმცროსი იყო. თავისი სიყვარულით ფრთაშესხმულმა კომპოზიტორმა დაწერა დღესაც ყველასათვის ცნობილი და პოპულარული სერენადა.

ალპერტო სორდი

მრავალრიცხოვან თყვანისმცემელთა შორის ალბერტო სორდისაკენ გზას იკვლევდა მოხუცი ქალი.

— სენიორ სორდი, ვერ მისცემდით თქვენ ავტოგრაფს ერთ მოხუც ქალს?

თავის ზრდილობით განთქმულმა სორდომ უპასუხა. — დიდი სიამოვნებით, — მაგრამ სად არის ის მოხუცი ქალი?

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდებზე: პარკიის კომპლექსი.

თარაზულად: 5. ბუნებისმეტყველების ერთ-ერთი ძირითადი დარგი; 6. მწერი განვითარების ერთ-ერთ პირველ სტადიაზე; 10. თანდათანობით, უწყვეტი ცვლილების პროცესი, რომელსაც უნდა მოყვეს თვისებრივი ცვლილება; 11. ბუნებრივ კალაპოტში მიმდინარე მცირე წყალი; 13. პოეტური ეპოსის, პოემის ერთ-ერთი ისტორიული სახეობა, ვრცელ ამბავზე აგებული ეპიკური უანრის ნაწარმოები; 14. მწერი ზოოოების ოჯახიდან, რომელთა ზოგიერთი სახეობის დედლებს აქვთ მანათობელი ორგანო; 15. თმის ბუნებრივი საღებავი; 17. ციტრუსი; 19. აღამიანის ბედის მკითხაობა მის ხელზე; 23. ციხისმაგრე და ქალაქი შუა საუკუნეების სომხეთში; 27 კაციაბიობა; 28. ღლობად ან გახსნილ ელექტროლიტში ელექტრული დენის გატარების დროს მიმდინარე ქიმიური პროცესები; 30. სხვადასხვა სითხის ნარევი; 31. ნიავი; 32. ზედამხედველობა მეთვალყურეობა რისამე შემოწმების მიზნით; 33. ბიბლიური ტრადიციის მიხედვით კაცთა მოდგმის მხსნელი, მსოფლიო წარდენის შემდგომი კაცობრიობის მამამთავარი; 36. ოპტიკური მინა; 37. ესპანელი ფერმწერი, გრაფიკოსი და გრაფიკორი XVIII-XIX საუკუნეებში; 38. XIX საუკუნის სოციალისტ-უტოპისტი; 41. მწიფე მარცვლეულის ღეროს მოჭრა ნაყოფითურთ; 42. სტუდენტის ცოდნის შეჯამებითი შემოწმება ნიშნის დაუსმელად; 43. უდაბლესი მცენარე, რომელიც სპორებით მრავლდება; 44. დადებითად ან უარყოფითად დამუხტული ატომი; 45. ჭუჭყე ვერდის ოპერა; 47. აუდუღარი რძის ნაღები; 48. იუდაისტური, ქრისტიანული და შემდგომ მუსლიმანური მითოლოგიის მიხედვით პირველი ქალი.

შპეულად: 1. პატარა ხის ნაგებობა, საყარაულო ან სავაჭრო; 2. სოფელი ქობულეთის რაიონში, შავი ზღვის ნაპირზე; 3. უმაღლესი მასივი დედამიწაზე ჰიმალაის მთებში; 4. შვეციის დედაქალაქი; 5. გამკვირვალე ნივთიერება, რომელიც მიიღება კვარცის სილის გადნობის შედეგად; 7. კაცი, რომელმაც ვასცა იესო ქრისტე; 8. სისხლის რეაქციის სინჯარე ანთებითი პროცესების დროს; 9. საზოგადოების ზედაფენა, „რჩეული“ ნაწილი, რომელიც ახორციელებს მართვის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების ფუნქციებს; 12. ბრმა ნაწლავის დანამატი — ქიანაწლავი; 16. XIX საუკუნის სოციალისტ-უტოპისტი; 18. მკლავის ზედა ნაწილი იდაუვიდან ღავივის ძვლამდე; 19. გზა, რომელსაც ორმხრივი ნარგაობა მიუყვება; 20. იტალიის დედაქალაქი; 21. ჩლიქის მოყვანილობის რკინის სქელი ფირფიტა; 22. ხელეკიდების ელინისტური სახელმწიფოს — სირიის მეფეების სახელი; 24. სინათლის ვიწრო ზოლი; 25. გარემო, რომელშიც არ არის ნივთიერების ან ფიზიკური ველების ნაწილაკები; 26. „რომეო და ჯულიეტაში“ ორი მოქიშე ოჯახიდან ერთ-ერთის უფროსი; 29. უმარტივესი ერთფუძიანი კარბონოჰაჰა მეთანოჰაჰა; 34. დასავლეთ ევროპის ერთ-ერთი უდიდესი მდინარე; 35. სურნელ-სანელებელი ბოსტნეული მცენარე; 39. მუხის ნაყოფი; 40. შემოკავებული მიწის ნაკვეთი, სადაც სახლი და დამხმარე ნაგებობანი დგას; 42. მარამწვანე ბურქი; 44. ქიმიური ელემენტი; 45. სარწყავად გაყვანილი პატარა არხი; 46. ცოლქმარში ერთ-ერთი შვილი მეორის მიმართ.

შეადგან სთუნა ვალაზუვილა

მე-7 ნომერში გამომავალი კრისპორლის პასუხები

თარაზულად: 1. კომედია; 5. ჰენდელი; 9. ტბა; 10. რონდო; 11. ნუკრი, 12. ეივე; 13. მისია; 15. ნევა; 18. იგავი; 19. დაირა; 20. ფორტუნა; 21. ჰოკეი; 23. ნიშვა; 26. რონა; 27. დაისი; 30. აფრა; 33. კრეტა; 34. რემბო; 35. ლეი; 36. ედისონი; 37. ანალიზი. შპეულად: 1. კარტეჩი; 2. მორავია; 3. დონი; 4. ატომი; 5. ჰანგი; 6. ნეკი; 7. ენისელი; 8. ინდიანა; 14. სანტიმი; 16. ფიფია; 17. ადანი; 21. ჰერაკლე; 22. კონაკრი; 24. მუფლინი; 25. არაგონი; 28. ალალი; 29. სირია; 31. პესო; 32. ალა.

გადაეცა წარმოება 12. 06. 89. ხელმოწერილია დასაბეჭდად 31. 07. 89. უე 09409 ქალაქის ზომა 70x1081/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაზხა 5,89. ტირაჟი 50.000 შეკვეთა 1323. ფასი 35 კაბ. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების 9328-42, 99-01-39, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში უამრული მასალა აპტორს არ უზრუნველბა.

თამარის ხიდი

2013

საქართველოს
საზღვაო ნავსადგომი



